# ძველის ფეთი

საქართველოს
მწერალთა
კავშირის
გაზეთი
№5 (301)

15 მაისი –
15 ივნისი 2023

ფასი 1.50 ლარი

გამოდის
თვეში ერთხელ


## გვესაუბრება რევაზ მიშველაძე

**– ბატონო რევაზ, ორიოდე სიტყვით როგორ შეაფასებდით თანამედროვე ვითარებას?**

- მსოფლიო დიდ განსაცდელშია. ომის პარტიები მას მესამე მსოფლიო ომისკენ მიაქანებენ. ახლა საქართველოს დიდი ჭკუა-გამჭრიახობა სჭირდება, რომ აქლემების ჭიდილში კოზაკივით არ გაიჭყლიტოს.

**– თქვენ, როგორც ყოველთვის, ახლაც განგაშის ზარს რეკავთ. ვის დააბრალებს ისტორია თუ, ღმერთმა ნუ ქნას და, მესამე მსოფლიო ომის ხანძარი დაინთო?**

- უპირველეს ყოვლისა, ამერიკას. ამერიკას შეეძლო ქმედითი დახმარებით სამ თვეში გაეძევებინა აგრესორი უკრაინის მიწიდან, მაგრამ ჯო ბაიდენმა ფეხი აითრია. სწორედ მისმა „დაყოვნების პოლიტიკამ“ წარმოშვა ახალი რეალობა. ვირთხასავით კუთხეში მიმწყვდეულმა პუტინმა, რომელიც ომის დასაწყისში თითქმის მარტო იყო, სული მოითქვა და მოკავშირეების ძებნა დაიწყო. აი, შედეგიც: დღეს რუსეთის გვერდზე დგანან ჩინეთი, ინდოეთი, ირანი, პაკისტანი და კიდევ რამდენიმე პატარა ქვეყანა. ეს უკვე დიდი, საშიში ძალაა. მსოფლიო ისევ ორპოლუსიანი გახდა. ეს იმას ნიშნავს, რომ რუსეთ-უკრაინის ომი კარგახანს გაგრძელდება, თუ მესამე მსოფლიო ომში არ გადაიზარდა.

**– ამ დროს საქართველოს ადგილს სად ხედავთ?**

- მიუმხრობლობის პოლიტიკაში. მხოლოდ დაბალანსების დიპლომატია გადაგვარჩენს. მხარს ვუჭერ საქართველოს ხელისუფლების იმ გადაწყვეტილებებს, რომლებსაც დღეს ამ აბურდულ პერიოდში კბილით უჭირავთ მშვიდობა ჩვენს ქვეყანაში. საკმარისია ერთი შეცდომა და ჩვენ სახელმწიფოებრივი გაქრობის საფრთხის წინაშე აღმოვჩნდებით. ჩვენ ჩვენი მოკრძალებული ადგილი უნდა ვიცოდეთ. დიდ პოლიტიკაში მოთამაშის ილუზია უნდა ამოვიღოთ თავიდან. სხვის საქმეებში ჩარევა და არამკითხე მამიდობა უნდა დავივიწყოთ. არაერთი უადგილოდ მოყვანცალე გაუჭყლეტია ულმობელ ისტორიას და, მამაჩემსა აქვს ცხონება, ჩვენც ისე არ მოგვიდეს.

**– ახლა შინაც შემოვიხედოთ: როგორ უყურებთ პარლამენტში პოზიციასა და ოპოზიციას შორის გაჩაღებულ მარათონს ორი საპარლამენტო კომისიის შექმნის პრობლემაზე, კონკრეტულად, სანქცირებული მოსამართლეების და კეზერაშვილის დანაშაულებათა გამოძიების შესახებ?**

- გითხრა სიმართლე, მე კატეგორიულად არ ვემხრობი მოსამართლეების მუდმივად, სიკვდილამდე არჩევის პრინციპს. ბებერ ევროპაში შეიძლება ეს წესი ამართლებდეს, მაგრამ საქართველოში არამც და არამც არ შეიძლება. ჩვენ სრულიად სხვა მენტალიტეტის ქვეყანა ვართ. ჩვენი ტრადიცია არ იძლევა იმის საშუალებას, რომ მოსამართლე სიკვდილამდე გულარხეინობის და ხელშეუხებლობის ჯავშანში ჩასვა. მე, გარდა იმისა, რომ მწერალთა კავშირის ხელმძღვანელთაგანი ვარ, უნივერსიტეტის პროფესორიც გახლავართ და ყოველი 4 წლის გასვლის მერე შიშით ვკანკალებ, ვაითუ, არ ამირჩიონ და ცოლ-შვილი შიმშილით დამიწყდეს-მეთქი. მე რუსთაველის პრემიის ლაურეატი და 89 წიგნის ავტორი ვარ. მოსამართლე რა წითელი კოჭია ისეთი, რომ სიცოცხლის ბოლომდე ხელშეუხებლობის გარანტიას ვაძლევთ?

**– მართალი ბრძანდებით.**

- ახლა, რაც შეეხება საპარლამენტო კომისიებს. მე ხუთი წელი ვიყავი პარლამენტის წევრი და არაერთი კომისიის მუშაობას ვაკვირდებოდი. ხატზე შემიძლია დავიფიცო, რომ არცერთ კომისიას არცერთი გამოსაძიებელი საქმე ბოლომდე არ გამოუძიებია. არადა, ახლა ესენი რომელი შერლოკ ჰოლმსები ან კომისარი მეგრეები მყვანან, რომ ეს ურთულესი საქმეები გამოიძიონ? ეს კომისიები, თუ იცით, რისთვის აინტერესებს ოპოზიციას? ევროკავშირში კანდიდატის მინიჭების საკითხი რომ დადგება, აი, მაშინ იყვირებენ: არ მიანიჭოთ, საქართველოს კანდიდატის სტატუსი, ჩვენ აგერ ახლა მოსამართლეთა დანაშაულს ვიძიებთო. აი, სად მარხია ძაღლის თავი.

**– ბატონო რევაზ, თქვენ ორი წლის წინ თქვენს მშობლიურ სოფელს სამი ათასი უნიკალური წიგნი და თითქმის ამდენივე ჟურნალ-გაზეთი აჩუქეთ. რა ბედი ეწია თქვენს საჩუქარს?**

- ჩემს მშობლიურ სოფელში - მარტვილის რაიონის სოფელ თარგამეულში გაიხსნა ბიბლიოთეკა, რომელსაც ჩემდა საამაყოდ, ასეთი აბრა ამშვენებს: **„საქართველოს სახალხო მწერლის, რუსთაველის პრემიის ლაურეატის რევაზ მიშველაძის სახელობის ბიბლიოთეკა“.** ბიბლიოთეკას უნარიანად ხელმძღვანელობს ბატონი ბურდა პირტახია.

**– მართლაც, რომ დიდებული ფაქტია, ბატონო რევაზ, რამდენადაც ვიცი, არცერთ ქართველ მწერალს არც ამ და არც გასულ საუკუნეში თავისი სოფლისთვის ასეთი ისტორიული საჩუქარი არ მიუძღვნია.**

- მარტვილის საპატიო მოქალაქე გახლავართ და ამ ფაქტს დიდ მნიშვნელობას არ ვანიჭებ. მე მხოლოდ ჩემი ვალი მოვიხადე იმ კუთხის წინაშე, სადაც ჩემი სიყრმე ჩატარდა და რომელსაც სიკვდილამდე ვეთაყვანები.

**– მამაპაპისეული სახლი გაქვთ თარგამეულში?**

- სამწუხაროდ, არა. ჟამთასვლამ და დიდთოვლობამ ჩვენი ძველი ოდა იავარჰყო, მაგრამ შემრჩა პატარა მიწის ნაკვეთი ბაბუაჩემის და მამაჩემის დარგული ხეებით. თუ ღმერთმა დამაცალა, მინდა, ჩავდგა მამა-პაპის ნაფუძარზე პატარა ფიცრული ოდა. ღამღამობით მესიზმრება ჩემი ბავშვობა, ტეხურის პირას ვზივარ ანკესით ხელში, იქნებ ოდესმე ეს სიზმარიც ავიხდინო.

**– რატომ ოდესმე? ალბათ თქვენი სურვილი არც ისე ძნელი შესასრულებელი უნდა იყოს...**

- სათქმელად ადვილია, საქმეა ძნელი. ვისაც ღმერთმა ფინანსური საშუალება მისცა, ის პატარა ფიცრულს კი არა, ცაზე მისადგმელ კიბესაც გააკეთებს. თუმცა, სინათლე მაინც ჩანს გვირაბის ბოლოს. იმედის ნაპერწკალი ის გახლავთ, რომ მარტვილის რაიონს ახლა ხელმძღვანელობს უნიჭიერესი ორგანიზატორი, ჭეშმარიტი ინტელიგენტი, გულისხმიერი, უანგარო ახალგაზრდა კაცი **თორნიკე ჯანაშია** და მისი ყურადღებიანობა მასულდგმულებს. აქვე დავსძენ, რომ თარგამეულში ცხოვრობენ ჩემი მკვიდრი ბიძაშვილები, სოფლის მეურნეობის ჩინებული მცოდნეები და ჩემი ჭეშმარიტი გულშემატკივრები ნუგზარ, დუტუ და როსტომ მიშველაძეები. ასე რომ, ჩვენმა გაერთიანებულმა ძალისხმევამ იქნებ ჩემი უკანასკნელი ნატვრა ამიხდინოს.

**– ღმერთმა ქნას, ბატონო რევაზ, თქვენი სამიათასი წიგნით თქვენ ხომ ისეთი ჩირაღდანი აანთეთ თარგამეულში, რომლის ნათებაც ათწლეულებს გადაწვდება და თაობებს ქართული წიგნისკენ, ცოდნისკენ, ეროვნული ფენომენისკენ მოაბრუნებს. სწორედ ამიტომ და სხვა მიზეზთა გამო, არა მგონია, მარტვილელებმა არ იცოდნენ მშობლიური კულტურის ანეულში თქვენს მიერ გატანილი კვალის ფასი.**

- დიდი მადლობა.

ესაუბრა *მანანა გორგიშვილი*

## რევაზ მიშველაძე

(დასაწყისი „მწერლის გაზეთი“ 2021 №3,4,5,6; 2022 №1,2,3,4,5; 2023 №1,2,3,4)

### მემუარები

# როგორ ირწეოდა ხომალდი

22/II-8/III 93

კონფერენციის მეორე დღეს „თბილისში“ გამოვაქვეყნე ინტერვიუ: „ერთმანეთისკენ მორცხვად გავაპარეთ თვალი“. ვწერდი: ზოგმა ინტელიგენტმა თავი შეირცხვინა; ამ კონფერენციის ინიციატორები, ლამის მტრებად გამოაცხადა-მეთქი. ხელისუფლებაც ძალიან შეშინდა, დაიწყეს შემოქმედებითი ინტელიგენციის დაბარება და ხვეწნა — „გვიშველეთ“-მეთქი, მზე ჩრდილოეთიდან არასოდეს ამოვა-მეთქი. როგორც ჩანს, ეწყინა ხელისუფლებას, რადგანაც მწერალთა კავშირის ერთმა ხელმძღვანელმა შეშფოთებით მითხრა: „რას ჩააცივდი ხელისუფლებას. შევარდნაძემ კი არ დაგვიბარა, ჩვენ თვითონ მივედითო“.

უვაჟკაცო კაცია-მეთქი ამის მთქმელი, ვერ ვიტყვი, მაგრამ, ეტყობა, დაავალეს, ეს სიტყვები მოწმეთა თანდასწრებით ეთქვა ჩემთვის.

გაზეთ „ხმა ერისას“ მარტის ნომერში ინტერვიუ მაქვს. იქაც ვთქვი ჩემი სათქმელი: „დაგომისი“ და „3 სექტემბერი“ ჩვენი დიპლომატიის მარცხი იყო-მეთქი.

5 მარტს უნივერსიტეტში გავმართეთ ლიტერატურული საღამო.

როინ მეტრეველმა ქართული მწერლობის ფასი კარგად იცის. ჭეშმარიტად ეროვნული პიროვნებაა. ცოტა ენერგია როდი დახარჯა, რომ საღამო ღირსეულად ჩატარებულიყო.

მოვიწვიეთ თითქმის ყველა ცნობილი ქართველი მწერალი — ანა კალანდაძე, შოთა, გრ. აბაშიძე, მორისი, ფანჯიკიძე, რ. ჭეიშვილი... მოკლედ, უმრწემეს ქართველ მწერლებამდე.

დარბაზში ნემსი არ ჩავრდებოდა. როინმა საღამოს თავმჯდომარეობა მე დამავალა.

ეს მეორე ღონისძიება იყო როინის და ჩემს მიერ ჩაფიქრებული საქართველოს გასაერთიანებლად.

7 მარტს საღამო ტელევიზიამ მთლიანად გადასცა.

8/III-21/III 93

16, 17 მარტს რუსეთმა სასტიკად შემოუტია სოხუმს.

რუსის თვითმფრინავებმა ჯერ დაბომბეს, მერე საარტილერიო ცეცხლით იავარჰყვეს საქართველოს ეს ულამაზესი ქალაქი.

ორი ღამე ცეცხლი წვიმდა სოხუმის თავზე.

შევარდნაძე სოხუმში ჩაფრინდა.

როგორც იქნა, დარწმუნდა, რუსი გვებრძვისო და მსოფლიოს გასაგონად გამოაცხადა რუსული აგრესიის შესახებ.

სამასამდე ქართველი დაიღუპა. მათ შორის ჩემი ბიძაშვილის შვილი — ლევან თოდუა.

დაზაფრული დავდივარ.

ამ დილით (19—ში) რუსეთის თავდაცვის მინისტრმა გამოაცხადა (გრაჩოვი); ქართველებს ჩვენ არ ვებრძვით, თვითონ ბომბავენ სოხუმს და ჩვენ გვაბრალებენო.

შეიძლება, წარმოიდგინო უფრო დიდი სიგიჟე?

რუსის გონების სიმწირეს, მართლაც, რომ საზღვარი არა აქვს.

22/III-5/IV 93

1 აპრილს რუსებმა კვლავ დაბომბეს სოხუმი. 110 კაცი დაიღუპა და რვაასი საცხოვრებელი სახლი დაინგრა.

პარლამენტმა მოითხოვა, დაუყოვნებლივ ვამცნოთ ის ბარბაროსული აქტი მსოფლიოს, მივმართოთ დასავლეთს და გაეროსო.

შევარდნაძე კატეგორიულად წინააღმდეგი გამოვიდა.

რა მნიშვნელობა აქვს, გაერო მაინც არ გვეხმარებაო.

ტელევიზიას მითითებას აძლევს. ნუ გაამახვილებ ყურადღებას აფხაზეთის ომზეო.

სწორედ ესაა მიფუჩეჩების პოლიტიკა.

უფრო მეტიც, ერის ღალატი.

მეათასეჯერ ვიმეორებ: ახლა ყოველ ხუთ წუთში მსოფლიოს უნდა მივმართავდეთ.

2 აპრილს ხელოვნების მუშაკთა სახლში საზოგადოებას წარვუდგინე 5 ახალგაზრდა პოეტი: მიხეილ ღანიშაშვილი, სევარიონ ნადირაძე, ტრისტან მახაური, ზურაბ ჯაფარიძე და მურღვა არდოტელი (ნიკო ზვიადაური). ეს უკანასკნელი ვერ ჩამოვიდა ხევსურეთიდან, მაგრამ მისი ლექსები წავიკითხეთ. მიხარია-მეთქი, ვთქვი შესავალ სიტყვაში, ამ უბედურების ჟამს ლექსისთვის რომ მოიცალეთ და მობრძანდით-მეთქი. ამ ხუთ ახალგაზრდა პოეტს შემოქმედებითი პრინციპები, საქართველოსადმი სწორი დამოკიდებულება აერთიანებთ-მეთქი. ეს დღე ისტორიულ დღედ უნდა ჩაითვალოს, რადგანაც ეს პოეტური დასი ორგანიზებულად პირველად გამოდის-მეთქი ასპარეზზე. გზას ვულოცავ ჩემს უმრწემეს ძმებს და შემოქმედებით გამარჯვებებს, ერის სამსახურს ვუსურვებ-მეთქი.

5 აპრილს ჭაბუა ამირეჯიბი, ლევან სანიკიძე, თამაზ წივწივაძე და მე დიდუბის სამხედრო კომისარიატს ვეწვიეთ, წვევამდელებს ვესაუბრეთ, სამშობლოს წინაშე თავიანთი მხედრული ვალი მოვაგონეთ.

6/IV-10/V

იოსებ ნონეშვილის გახსენების საღამო მოვაწყვეთ ჯერ მწერალთა კავშირში და მერე — კარდენახში (გურჯაანი).

კარდენახში, რატომღაც, სამიოდე მწერალი აღმოვჩნდით.

ეტყობა, იოსების მიმართ ქიშპობის, შურის პროცესი დღესაც გრძელდება.

მწერალთა კავშირში ერთხელ კიდევ ვცადე „ვეფხისტყაოსნისთვის“ მეშველა (ერთხელ უკვე გადავყევი ამ საქმეს), მაგრამ, როგორც ვატყობ, ახლაც ამაოდ.

შევქმნათ-მეთქი კომისია „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის შემსწავლელი.

მოიწვიეს გურამ კარტოზია. „ვეფხისტყაოსნის“ დამახინჯების აქტიური მონაწილე.

ჯერ მე ვილაპარაკე, მერე კარტოზიას მისცეს სიტყვა.

რა თქმა უნდა, კარტოზიას არც ერთი ფრაზა მართალი არ იყო, მაგრამ მ. ლებანიძის და გ. ფანჯიკიძის გარდა არავინ გამომექომაგა.

კომისიის შედგენა მომავალი კვირისთვის გადაიდო (?)

19-ში ჭაბუა ამირეჯიბის 70 წლისთავის იუბილე მინდა გავმართო.

ჭაბუა თანახმაა. მადლობელი ვარო, ჩემო რეზო, არ მეგონა, თუ ასე გიყვარდიო.

ჩემო ჭაბუა-მეთქი, სამოციანი წლების ქართველი კაცის ფსიქიკაზე არცერთ ნაწარმოებს იმხელა გავლენა არ მოუხდენია, „დათა თუთაშხიამ“ რომ მოახდინა-მეთქი.

ახლა საქართველოს თავზე ახალი დამოკლეს მახვილი გაჩნდა.

შევარდნაძემ კიტოვანი და იოსელიანი ფაქტიურად ჩამოიცილა.

ღმერთმა ჰქნას, აწი მაინც წაიყვანოს წაღმა საქმე.

8 მაისს ახალგაზრდა მწერალთა წრის წევრები სოფელ გომბორს ვაწვიე.

კარგი ლიტერატურული ბავშვები არიან: გულწრფელნი, სუფთანი: ს. ნადირაძე, მ. ღანიშაშვილი, ტ. მახაური, ქ. დოლიძე, ზ. ჯაფარიძე, ი. შიოლაშვილი და სხვანი.

11/V-20/V 93

14 მაისს მოსკოვში დაიბარა შევარდნაძე ელცინმა. დაიბარა, როგორც ვასალი, როგორც ცეკას მდივანს დაიბარებდნენ ურდოში კომუნისტური რეჟიმის დროს.

შევარდნაძეც გახარებული ეახლა პატრონს და აღუთქვა — სოხუმიდან მძიმე ტექნიკას და არტილერიას 20 მაისიდან გავიყვანო.

ეს კი მეტისმეტია.

დაგომისის ხელშეკრულებით შევარდნაძემ გასცა სამაჩაბლო, 3 სექტემბრის ხელშეკრულებით მტერს ჩააბარა გაგრა-ლესელიძე, განთიადი და ახლა მრავალტანჯულ, დანგრეულ-გაპარტახებულ სოხუმს აბარებს.

ჰაერში ღალატის სუნი ტრიალებს.

15 მაისს „შანსის“ კორესპონდენტმა, მარიამ კახაძემ, ინტერვიუ ჩამომართვა. პირდაპირ განვაცხადე: შევარდნაძის პოლიტიკამ ვერ გაამართლა, ეს კაპიტულანტური პოლიტიკაა და დაუყოვნებლივ უნდა გადადგეს-მექთი. დღეს ოცია. ვნახოთ, დაბეჭდავს თუ არა „შანსი“ ჩემს ინტერვიუს.

19 მაისს მწერალთა კავშირში ჭაბუა ამირეჯიბის დაბადების 70 წლისთავის აღსანიშნავი საიუბილეო საღამო ჩავატარეთ. საღამოს ინიციატორი მე გახლდით. როგორც არ უნდა ვეთანხმებოდე ჭაბუას დღევანდელ პოზიციას, „დათა თუთაშხია“ მაინც მეოცე საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოში უპირველესი რომანია. ბოლო ხანებში არც ერთ წიგნს არ მოუხდენია საქართველოს სულიერ ცხოვრებაზე ისე დიდი გავლენა, როგორც „დათა თუთაშხიამ“ მოახდინა.

გურამ ფანჯიკიძემ გახსნა საღამო. მოხსენება მე გავაკეთე. სიტყვები: გრიგოლ აბაშიძე, მურმან ლებანიძე, რეზო ჭეიშვილი, გიგა ლორთქიფანიძე, ჯანსუღ ჩარკვიანი, ელგუჯა მაღრაძე, არჩილ სულაკაური, ტარიელ ჭანტურია, გენო კალანდია, ოთარ ჭილაძე, ილია რურუა, დავით მჭედლური, გიზო გაბისკირია, ბორის დავითაია, ზაურ ბოლქვაძე. ჭაბუამ დიდი მადლობა გადაგვიხადა,

26/V-1/VI 93

26 მაისის გაზეთ „შანსში“ გამოვაქვეყნე ინტერვიუ — „შევარდნაძე დამსახურებულ პენსიაზე“.

ძალიან გახმაურდა.

ღმერთი, რჯული, შევარდნაძის დიდი იმედი მქონდა და აღარც ვაპირებდი ხელისუფლებასთან ახალ დაპირისპირებას, მაგრამ დუმილი ვერ შევძელი.

რომ არ მეთქვა, გული გამისკდებოდა.

ელცინთან შეხვედრისას ყველაფერი ნათელი გახდა.

შევარდნაძე მტრისთვის სოხუმის ჩაბარებას აპირებს.

მთელი თბილისი „შანსს“ დაეძებდა.

„ზვიადისტებმა“ ამიკლეს ქებით, „შევარდნაძისტებმა“ — გინებით.

მე არცერთ მხარეს არ მივწეპებივარ. მე ჩემი — რევაზ მიშველაძის გზა მაქვს.

გამსახურდიას პრეზიდენტად ჩამოყვანას მივესალმები, შევარდნაძე კი უსათუოდ უნდა გადადგეს-მეთქი.

31 მაისს, ორშაბათს, ტელევიზიამ ჩემზე ქება-დიდება გადასცა რუბრიკით — „წარდგენილია აკაკი წერეთლის პრემიაზე“.

გამიკვირდა.

ან არ წაუკითხავთ „შანსი“, ან კოჭი გამიგორეს.

დღეს 1 ივნისია. მწერალთა კავშირში პრეზიდიუმის სხდომა გვქონდა.

არც ერთ მწერალს კრინტი არ დაუძრავს არც „შანსზე“, არც წუხანდელ ტელეგადაცემაზე.

შური! „წუხილი სხვისა სიკეთესა ზედა“.

პრეზიდიუმმა დაამტკიცა „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დამდგენი კომისია: რ. მიშველაძე (თავმჯდომარე), გურამ ფანჯიკიძე, გრიგოლ აბაშიძე, ნოდარ გრიგალაშვილი, კობა იმედაშვილი, ანა კალანდაძე, ზაურ კალანდია, დავით მჭედლური, ჯანსუღ ღვინჯილია, მურმან ლებანიძე, ემზარ კვიტაიშვილი, შოთა ნიშნიანიძე, თამაზ წივწივაძე, ვახტანგ ჯავახაძე, მურმან თავდიშვილი, გრიგოლ ჯულუხიძე, ზაზა ალექსიძე.

2/VI-18/VI 93

დღეს 18 ივნისია.

12 საათზე სიტყვა ვთქვი ყოველთა ქართველთა მსოფლიო კონგრესის პირველ კონფერენციაზე.

3 საათიდან ტელევიზორთან ვზივარ, პარლამენტის სესიაზე შევარდნაძის გადადგომის საკითხი დგას.

ირაკლი წერეთელი და ნოდარ ნათაძე აყენებენ შევარდნაძის გადაყენების საკითხს.

ზოგი მომხრეა, ზოგს შევარდნაძე კვლავ „ბრძენ“, „შეუცვლელ“ კაცად მიაჩნია.

ბოლოს მაინც ვერ შეთანხმდნენ.

შევარდნაძე „ცეცხლოვან“ სიტყვას ამბობს. დაპირებების კორიანტელს აყენებს. ამჯერად გადარჩა.

16 ივნისს აკაკი წერეთლის პრემიის პირველი ლაურეატი გავხდი.

არ ველოდი, სიმართლე გითხრათ.

მეწყინა, რომ შ. ნიშნიანიძე „გააშავეს“. ცხრა კანდიდატიდან ყველაზე მეტად შოთას ეკუთვნოდა ეს პრემია.

17 ივნისს უნივერსიტეტში შეხვედრა მოვუწყვე ომის მონაწილე ქართველ მწერლებს: ნანა კანდელაკს, აკაკი გეწაძეს, თეიმურაზ ჯანგულაშვილს, ვახტანგ გორგანელს, ლადო სულაბერიძეს, ვასი გვეტაძეს.

ამ დროს ზოგი ჩემი კოლეგა რადიო-გაზეთ-ტელევიზიიდან შევარდნაძეს ეხვეწება: გამკაცრდი, ნუ ხარ ასეთი გულჩვილი, დასაჯე ოპოზიციონერებიო.

19/VI-14/VII 93

ომით, ტკივილით, მტანჯველი, მოლოდინით გავიდა ეს თვე (ცხრამეტი ივნისიდან — 14 ივლისამდე).

ორ ივლისს მტერმა სასტიკად დაბომბა სოხუმი.

ტამიშთან 600-კაციანი დესანტი გადმოსხეს. ჩვენებს, როგორც ჩანს, ღრმა ძილით ეძინათ.

წაგვართვეს სოხუმთან ორი სოფელი: ახალშენი და შრომა.

ჩვენც ვუტევთ, რაც შეგვიძლია.

შევარდნაძე 10 დღეა აფხაზეთშია.

13 ივლისს თავდაცვის მინისტრმა, ყარყარაშვილმა, აფსუას მხარეს გამოუცხადა — 24 საათში თუ ბრძოლას არ შეწყვეტთ, შეტევაზე გადმოვდივართო.

შეიძლება ასე გააფრთხილო და მოამზადო მოწინააღმდეგე?

ამ განცხადებამ მთელი ჩრდილოეთ კავკასიის აღშფოთება გამოიწვია.

დღეს (14/VII) გადის ულტიმატუმის 24 საათი.

ვნახოთ, ხვალ რა იქნება.

13-ში მორის ფოცხიშვილი დავასაფლავეთ.

დავკრძალეთ სამთავროს ტაძრის ეზოში, მცხეთაში.

დავწერე ორი გამოსათხოვარი წერილი. ერთს მწერლების გვარი მოვაწერე („თბილისში“), მეორეს — ჩემი („საქართველოს რესპუბლიკაში“).

ოფიციალურ ნეკროლოგში მწერალთა კავშირს ჩემი გვარი „გამორჩენია“. არა და მორისის უახლოეს მეგობართა შორის ვითვლები.

მჭედლურმა საიდუმლოდ მითხრა, ჩანს, შეეშინდათ, შევარდნაძესთან შენი ხელმოწერისა, იციან, რომ შევარდნაძეს არ უყვარხარო.

რაც მთავარია, მავიწყდებოდა: 8 ივლისის „ლიტერატურულ საქართველოში“ გამოვაქვეყნეთ (ჩემი დაწერილია) მიმართვა გამომცემლობებისადმი. ხელს ვაწერთ გ. ფანჯიკიძე, მე, ანა კალანდაძე, შოთა ნიშნიანიძე, მურმან ლებანიძე, თ. წივწივაძე, ჯ. ღვინჯილია, ვ. ჯავახაძე, ნ. გრიგალაშვილი, ე. კვიტაიშვილი...

როგორც იქნა, დაგვირგვინდა „ვეფხისტყაოსნის“ დამახინჯების წინააღმდეგ ჩემი ბრძოლა იმით, რომ გამომცემლები გავაფრთხილეთ: არ დაუშვან აკადემიური ტექსტის დამდგენი კომისიის მიერ დაშვებული შეცდომების გამეორება მასიურ გამოცემებში.

ივნისში გამოვიდა ეროვნული იდეოლოგიის პარტიის გაზეთი „მეობა“. ჩემი ვრცელი ინტერვიუა დაბეჭდილი.

ამ გაზეთში ყოფილი ზვიადისტები არიან, მაგრამ, რაც მთავარია, საშუალედო პოზიცია უჭირავს გაზეთს.

15/VII-31/VII, 93

27 ივლისს შევარდნაძის თანხმობით ვ. გოგუაძემ ხელი მოაწერა რუსეთთან და აფხაზეთთან შეთანხმებას „ცეცხლის შეწყვეტის საკითხებზე“.

სინამდვილეში, ჩემი ფიქრით, ეს არის კაპიტულაცია.

შეთანხმებაში პირდაპირ წერია: „საქართველოს შეიარაღებული ძალები 10-15 დღეში დატოვებენ აფხაზეთის ტერიტორიას“...

თითქოსდა, აფხაზეთი სხვა სახელმწიფოა. ჩვენ კი ოკუპანტები ვიყავით.

არც ერთხელ არ წამოცდა შევარდნაძეს სიმართლე, რომ ჩვენ ჩვენს მიწა-წყალს ვიცავდით რუს და აფსუა გადამთიელთაგან.

მანამდე 3-4 დღით ადრე მწერალთა კავშირში შევარდნაძე მოვიდა.

ჩემი კოლეგების მლიქვნელური სიტყვების ფონზე საკმაოდ მწვავედ გავაკრიტიკე. არ მოაწეროთ-მეთქი ხელი ამ „შეთანხმებას“, მაგრამ „შეაყარე კედელს ცერცვი“. გაძლევთ პირობას, რომ სოხუმში თოფი აღარ გავარდებაო, შევარდნაძემ. აფხაზეთის საქმეს ჩემს თავზე ვიღებო.

თუ სამაჩაბლოს ვარიანტი განმეორდა (საქმე იქითკენ მიდის), საბოლოოდ ვირწმუნებ, რომ ჩვენი პოლიტიკა, რბილად რომ ვთქვა, მცდარია.

28 ივლისს „თბილისს“ ვაახლე წერილი იმის თაობაზე, რომ არ ვეთანხმები „შეთანხმებას“, მაგრამ არ დაბეჭდეს.

ჩანს, დაბრუნდა კომუნისტური წყობა, მხოლოდ იმას ბეჭდავენ, რაც „ცკ-ს მდივანს“ ესიამოვნება.

30 ივლისს „ლიტერატურულ საქართველოში“, როგორც იქნა, დაბეჭდეს ჩემი ნოველა „ძიძგი, ძიძგი, მამალო“.

1/VIII-29/VIII 93

საქართველოში საშინელი შიმშილი მძვინვარებს.

დღითი-დღე ვრწმუნდები, რომ ეს დაგეგმილი შიმშილია.

საქართველოს დაჩოქება (ესენგეში ჩოქვით შესაყვანად) გრძელდება.

ჩემი წერილი რუსეთ-არძინბასთან კაპიტულანტური შეთანხმების დადების შესახებ არ დაბეჭდეს: „თბილისმა“, „ივერია-ექსპრესმა“, „7 დღემ“, სადაც კი ხელი მიმიწვდება, გამოვთქვამ პროტესტს, მაგრამ ვის ესმის. ვგრძნობ, რომ ვკარგავთ აფხაზეთს.

25 აგვისტოს მწერალთა კავშირში გვესტუმრა ქუთაისის მერი თემურ შაშიაშვილი.

გაგვაცნო გეგმა-მარიამობის დღესასწაულის — შერიგების დღის აღნიშვნისა 28 აგვისტოს:

ილოცებს ილია II და მერე სიტყვას იტყვის სახელმწიფოს მეთაურიო.

28-ში მწერალთა კავშირის ავტობუსით რ. ჭეიშვილი, ო. ჭელიძე, ვ. ჯავახაძე, ი. ბაზაძე, ნ. გრიგალაშვილი, ლ. სანიკიძე, ა. სალუქვაძე და მე ქუთაისს გავემგზავრეთ.

როგორც ვიწინასწარმეტყველე, ისე გამართლდა ყველაფერი.

28 აგვისტოს, დილით, 5 საათზე, ლოთი ქობალია 300-კაციანი რაზმით სენაკში და აბაშაში შევიდა. დაამხეს იქ შევარდნაძის ხელისუფლება და სამტრედია-ფოთის ასაღებად ემზადებიან.

ვაი, ჩვენს თავს!

30/VIII-11/IX, 93

ლოთი ქობალიამ მთელი სამეგრელო დაიკავა და 6 სექტემბერს გალში შევიდა.

ზუგდიდში ჩატარდა სესია. ჩამოვიდა პრემიერ-მინისტრი გუგუშვილი და შეუდგა მოვალეობის შესრულებას.

ცხენისწყალთან კბილებამდე შეიარაღებული ქართველები ერთმანეთის პირისპირ დგანან.

საქართველო ფაქტიურად ორ ცალკე სახელმწიფოდ გაიყო.

სანამ იქნება ასე?

შევარდნაძის მხარე გაჰყვირის რადიო-ტელევიზიაში: მეგრელებმა გზა გადაკეტეს და თბილისელთა შიმშილით დახოცვა უნდათო.

სამეგრელოს მთავრობა ამტკიცებს — სიცრუეა, გზა გადაკეტილი არ არის. ჩვენ მხოლოდ სამეგრელოს მარბიელ შევარდნაძის შეიარაღებულ ლაშქარს არ შემოვუშვებთ სამეგრელოში. ეს არის და ესო.

ქობულეთში დაიწყო მოლაპარაკება ექსპრეზიდენტის წარმომადგენელსა და შევარდნაძის წარმომადგენლებს შორის ასლან აბაშიძის შუამდგომლობით.

ნუთუ ზვიადმა და შევარდნაძემ არ იციან, რომ სამოქალაქო ომის დაწყება ორივესთვის სავალალოდ დამთავრდება?

რუსმა მარიონეტები საქართველოს ესენგეში შესაყვანად გამოგზავნა. ამავე მიზნით დაამხო რუსმა აზერბაიჯანში ელჩიბეის ხელისუფლება და იქაც ყოფილი ცეკას მდივანი ალიევი დანიშნა.

ალიევმა უკვე განაცხადა, მალე აზერბაიჯანი ესენგეში შევაო. ამასვე მალე გააკეთებსო შევარდნაძე.

ქართველთა მსოფლიო კონგრესის პრეზიდიუმის სხდომაზე მე და გურამ შარაძემ სასტიკად გავაკრიტიკეთ საქართველოს ხელისუფლების გამყიდველური პოლიტიკა.

კიდევ ერთი საწყენი საქმე. უეფას თასის გათამაშებიდან გამოაგდეს თბილისის „დინამო“ და ორი წლით დისკვალიფიკაცია მისცეს მსაჯს ქრთამი შეაძლიესო.

ავი ბედი გვდევს, მოსვენებას არ გვაძლევს!

რატომ არ ცხადდება საყოველთაო მობილიზაცია? რით ავხსნათ საქართველოს ტელევიზიის უმოქმედობა მტრისადმი ეროვნული ზიზღის გაღვივების და რუსეთთან ომის საერთო-საყოველთაო ომად მიჩნევის საქმეში?

12/IX-28(IX, 93

27 სექტემბერს სოჩის შეთანხმებიდან (27/VII) ზუსტად ორი თვის თავზე რუსმა, ჩეჩენმა და აფსუა მკვლელებმა სოხუმი წაგვართვეს.

სისხლისგან დაცლილმა ჩვენმა ჯარმა უკან დაიხია.

რით ვანუგეშო ჩემი ტანჯული ხალხი?!

რუსმა დაგვსაჯა თავისუფლების სურვილისთვის.

საქართველოს წაგლიჯა იმპერიამ საუკეთესო ისტორიული ნაწილი: ჯერ სამაჩაბლო, მერე აფხაზეთი.

დაგვრჩა 45 ათასი კვ.კმ-67-დან.

ესეც შევარდნაძის „ბრძნული“ პოლიტიკა.

მსოფლიომ ყური დაიყრუა ჩვენს უბედურებაზე.

ჩემი შვილი 15 დღეა იბრძვის აფხაზეთში. არ ვიცი, ცოცხალია თუ არა.

თუმცა ჩემი უბედურება რა მოსატანია იმასთან, რაც გვჭირს.

შევარდნაძემ 26 სექტემბერს დეპეშა გაუგზავნა ელცინს, საქართველო თანახმაა სნგ-ში შემოვიდესო, მაგრამ უკვე გვიან იყო.

რუსმა დამსჯელობითი ექსპედიცია არ შეაჩერა.

52%-დან (შვიდასი ათასამდე) არც ერთი ქართველი აღარ დარჩება აფხაზეთში.

მტერმა სისხლის ნიაღვარი დააყენა.

გუშინ დილით (27/IX) ველაპარაკე ვახტანგ გოგუაძეს, იმედის წყალი გადაწურული არ ჰქონდა. ორ საათზე კი სოხუმი დაეცა.

ახლა ნაძირალა პოლიტიკოსები ჩიფჩიფებენ; მეგრელებმა გვიღალატეს, თორემ ომს მოვიგებდითო.

ჯერ ერთი, ლოთი ქობალია, ალბათ, ვერ გადავიდა რუსის მიერ გამაგრებულ კოდორზე და მეორე, ვის მოვუგებდით ომს — რუსს?

კიდევ კარგი, კოდორსგამოღმა დარჩენილი ქართველთა ჯარის მცირე ნაწილიც რომ არ მივახოცეთ რუსის გამძვინვარებულ ჯარს.

შევარდნაძის ბოლო მიმართვა ქართველი ერისადმი ცრემლით და ტკივილითაა სავსე.

ჭეშმარიტად ტრაგიკული პიროვნებაა.

მეცოდება.

მაგრამ „სხვა ვინ არ არის ცოდო...“

29/IX-5/X, 93

3 ოქტომბერს ჩემი აჩიკო დაიღუპა.

ჩეჩენგ-აფსუას დაგებულმა ნაღმმა იმსხვერპლაო, ფაცაციამ. ოღონდ არ იცის სად და როდის. მე მგონი, სოხუმიდან გამოსვლისას დაიღუპაო, მეუბნება.

ჩემზე უბედური კაცი აღარ არის ამ დუნიაზე.

ერთადერთი შვილი, ერთადერთი იმედი.

ჩემი აჩიკო...

იქნებ შენმა სიკვდილმა წამით მაინც ჩააფიქროს, შვილო, ის, ვინც ძმათა შორის სიკვდილს თესავს.

ვის ჰქონდა უფლება ჩემთვის ერთადერთი შვილი წაერთმია.

ქუთაისში გავფრინდით მე და ნათელა აჩიკოს ჩამოსასვენებლად.

თბილისიდან ოთარ ფაცაცია და ირაკლი მენაღარიშვილი გაგვყვნენ.

თვალებში ვატყობდი ორივეს, რომ აჩიკო აღარ იყო ცოცხალი. დაჭრილიაო, ეუბნებოდნენ ჩემს ცოლს.

აჩიკო სოხუმიდან სასიკვდილოდ დაჭრილი ჩამოიყვანეს და ქუთაისში გარდაიცვალაო, ფაცაციამ.

9/X — შაბათი, 93

ღამის პირველი საათია.

სასტუმრო ოთახში ჩემი შვილი ყინულის საწოლში წევს.

ლამის ერთი კვირაა მდუღარე ცრემლებით, მოთქმით დავტირით.

დღეს კუბოში ჩაასვენებენ და 2 საათზე პროცესია სასაფლაო გზას გაუყვება.

მე ვერ გიყურებ კუბოში, შვილო!

გაზეთები აჭრელებულია შენი სურათებით.

თურმე, მართლა გმირი ყოფილხარ!

10/X-30/X, 93

ნუთუ, ყველაფერი დამთავრდა ჩემთვის.

ნუთუ, წელში ვერასოდეს გავიმართები.

სახლიდან გამოსვლა არ მინდა.

არა მგონია, ოდესმე კალამს მოვკიდო ხელი და ნოველები ვწერო.

ყველაფერმა აზრი დაკარგა.

ეს რა დედალგულა ვყოფილვარ.

დღედაღამ ვტირი.

მინდა, რაც შეიძლება ჩქარა გავიდეს დრო, ჩქარა დავბერდე და მოვკვდე.

აჩიკოს სიკვდილს, ალბათ, ვერ გადავიტანთ.

რაც დრო გადის, უარეს დღეში ვარ.

გვერდით მიდგანან ჩემი უახლოესი მეგობრები: სოსო ბუხაიძე, გივი გამსახურდია, სოსო სიგუა და მურმან თავდიშვილი, მაგრამ რაღას მიშველიან.

ნათელა რომ არ მეცოდებოდეს, თავს მოვიკლავდი.

არ მინდა მარტო დავტოვო ჩემი უბედური, ბებერი ცოლი.

მოგიკვდა ჩემი თავი, შვილო!

1/XI-23/XI, 93

მწუხარე, თალხისფერი დღეები.

ჩემი სახლი, ჩემი მთავარი საზრუნავი აჩიკოს სასაფლაოა.

თვალს ვარიდებ კედელზე მის ლამაზ სურათს.

სად გაექცევი ხსოვნას, ნივთებს... აჩიკოს დახეულ ფეხსაცმელებს, მის პერანგ-შარვლებს.

საითაც გავიხედავ, ყველაფერი აჩიკოსთან მაკავშირებს: სახლი, გარაჟი, სტადიონი, კუს ტბა...

ჩემი თავი მხოლოდ აჩიკოს გვერდით მახსოვს.

ყველაფერს მისი ხელი ატყვია, მისი ურჩი და ძლიერი ნება მმართავს ახლაც მე, დასუსტებულს და სასომიხდილს.

გაზეთები ყოველდღე ახსენებენ აჩიკოს სახელს.

ამით უფრო მემატება ცრემლი და ურვა.

რა უნდოდა შენთან სიკვდილს — ჩემო მიმინოსავით შემართულო, ფრთალაღო ბიჭო.

დიდებული ლექსები დაწერეს ჩემს დაღუპულ შვილზე შოთა ნიშნიანიძემ, გრიგოლ ჯულუხიძემ და ემზარ კვიტაიშვილმა.

საქართველოში კვლავ უბედურება ტრიალებს.

აფხაზეთი და სამაჩაბლო ისევ მტრის ხელშია.

რუსეთმა დაგვიმონა, დაგვაქცია და გაგვთელა.

გუშინ მე და ვაჟა აბაკელიამ მანქანა გავუჩერეთ მათხოვარ დედაბერს. გავესაუბრეთ, ნიკო კეცხოველის და აღმოჩნდა.

ვაჩუქეთ ცოტა ფული.

24/XI-15/XII, 93

იწურება ეს საზიზღარი წელი.

ყველაზე უბედური წელი საქართველოს ისტორიაში.

საქართველოს უბედურება ჩემზეც განაწილდა, რომ უფრო მეგრძნო საშინელება, რაც რუსეთმა თავს დაგვატეხა.

საშინელი შიმშილი და განუკითხაობა ტრიალებს ირგვლივ.

ყაჩაღობა, მკვლელობა...

დაჩოქილ საქართველოს მღვდელ გაპონივით შეუძღვა ესენგეში შევარდნაძე.

სამასი ათასი ლტოლვილი, აფხაზეთიდან რუსის ჯარის მიერ თხებივით გამორეკილი ქართველები, ყოველ ფეხის ნაბიჯზე მხვდებიან. მოთქვამენ... გამკითხავი არავინ არის.

მსოფლიო გაუყუჩდა ამ საუკუნის ტრაგედიას. რა დავაშავეთ?

გავედი სახლიდან. ლექციებს ვკითხულობ.

ჟურნალზეც ვზრუნავ.

მწერალთა კავშირშიც დავდივარ. სიტყვაც ვთქვი პავლე ინგოროყვას იუბილეზე, მაგრამ ამას ყველაფერს რობოტივით, მექანიკურად ვაკეთებ.

გული მაქვს ამოცლილი.

დილით რომ გავიღვიძებ, მინდა ყველაფერი სიზმარი იყოს.

მივაყურადებ, იქნებ დაბრუნდა, იქნებ ჩემი ცისფერთვალება ბიჭის ჩახველება გავიგონო.

ნათელა წავა-წამოვა ოთახში და ისევ აჩიკოზე იწყებს ლაპარაკს.

სულ აჩიკოს ხსენებაშია.

ადრე მაშინებდა აჩიკოს ტანსაცმელი, ახლა პირიქით, მინდა მისი ჩანაცვამი ჩავიცვა. ასე მგონია, ასე ურფო ახლოს მყავს გულთან.

ლამაზი სასახლე-სასაფლაო გავუკეთე ჩემს ანგელოზს.

ჩემი სასაფლაოც ეს არი.

მოვიდა აჩიკოს შეყვარებული გოგო-ნატო.

ხუთი საათი გაუჩერებლად ტიროდა.

შენც დამნაშავე ხარ, შვილო, შენც... შენ მაინც რატომ ვერ გააჩერე-მეთქი.

ყველას გაეპარა.

„სიბერეს და მომავალ ცოლ-შვილს“ გაეპარა, როგორც შოთა ნიშნიანიძემ დაწერა.

მკვდარი, ალბათ, ყველა საყვარელია, მაგრამ ვინც მხვდება, სასწაულებს ამბობს მის სიკეთეზე, ვაჟკაცობაზე, მიმნდობ ხასიათზე, სიალალე-გულუბრყვილობაზე.

თურმე, მეც არ გიცნობდი კარგად, შვილო.

რომ იცოდე, მშობელმა რა საშინელებაა შვილის სიკვდილი, ფრჩხილებით დაკაწრავდა-მოსპობდა ყველა იარაღს დედამიწაზე.

გურჯაანში ვიყავი ნათესავებთან, თვალმიხელაშვილებთან. ცრემლები მაღრჩობდა იმ ადგილებში რომ გავიარე, სადაც შარშან მე და აჩიკო ვნადირობდით.

16/XII-93 — 12/II 94

პირველ ახალწელს შევხვდით აჩიკოს გარეშე.

რომ ყოფილიყო, ნაძვისხეს მოაწყობდა, სახლს გაალამაზებდა, ბიჭებს დაუძახებდა, იქეიფებდა. შემეხვეწებოდა: ახლა ეს მოყევი, ახლა ეს იმღერეო.

იცინებდა, იხითხითებდა თავისი ლამაზი სიცილ-თვალებით.

მუმიებივით ვიჯექით მე და ჩემი ცოლი გალიგვებულ რადიატორთან.

ხანდახან ჩუმად, უსიტყვოდ გავხედავდით ერთმანეთს.

ახლა უფრო მიყვარს ჩემი ცოლი, ვიდრე ოდესმე.

მიყვარს და მეცოდება.

დამნაშავედ ვგრძნობ თავს, რომ ვერ დავიფარე, ვერ შევინარჩუნე, აჩიკო. გამოვაქვეყნე "საქართველოს რესპუბლიკაში“ აჩიკოზე ნოველა „სიზმარი“.

„ლიტერატურულ გაზეთში“ გრიგოლ ჯულუხიძის მშვენიერი, ამატირებელი ლექსია აჩიკოზე.

ოპერაში დაგვიძახეს და შევარდნაძემ დაღუპული ბიჭების 12 მშობელს ორდენები გადმოგვცა.

ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენი — ჩემი შვილის სიცოცხლის ფასად.

რა სასაცილოა სიამაყეც და გულზე პატრიოტულად ხელის ბრაგუნიც ახლა ჩემი მდგომარეობიდან.

ვკითხე, თქვენ ხომ იცოდით, ბატონო ედუარდ, რომ შიშველი ხელებთი (და საერთოდაც) ჩვენი შვილები რუსებს ვერ დაამარცხებდნენ, რატომ წაიყვანეთ, რატომ გასწირეთ-მეთქი.

მდუმარედ შემომაცქერდა. რა უნდა ეპასუხა.

3 თებერვალს ელცინი (იმპერატორი) თბილისს ეწვია. დიდი პატივით (როგორც მეფეს ეკადრება) მიიღეს. დაასაჩუქრეს, დაბადების დღე მიულოცეს და რუსეთთან სამშვიდობო ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს.

რუსეთს სამხედრო ბაზების უფლება მივეცით საქართველოს ტერიტორიაზე, სამანეთო ზონაში მიღებაც ვთხოვეთ.

მოკლედ, ისევ შევბრუნდით იმპერიაში.

ამ სასაცილო პომპეზური მასპინძლობიდან სამი დღის შემდეგ (7 თებერვალს) აფსუა-ჩეჩენ-რუსთა გაერთიანებულმა ბანდამ სასტიკად დაარბია გალში დარჩენილ-დაბრუნებული ქართველობა.

რვა სოფელი გადაწვა, ორასამდე ქართველი დახვრიტა. ოთხი ათასამდე გამორეკა ამ ცივ ზამთარში და წალენჯიხის ტყეებში შეყარა, რათა ორ მეტრომდე თოვლში, ყინვაში წამებით დახოცილიყვნენ.

8,9,10 თებერვალს გაწამებული ხალხის ნაწილმა წალენჯიხაში ჩამოაღწია. თან მოჰქონდათ მკვდრები, გაყინულ ხელ-ფეხს ძლივს მოათრევდნენ.

ისევ დევნა, ისევ გოლგოთა. მეექვსეჯერ გვიმუხთლა რუსეთმა. ახლა მაინც რაღას იტყვის მეექვსეჯერ მოტყუებულ-გაცურებული შევარდნაძე?

7-ში მწერალთა კაშვირში ჯაბა იოსელიანი მოვიდა.

პრეზიდიუმს შეგვხვდა. შექმნილ ვითარებაზე გვესაუბრა.

სხვათა შორის, გულახდილად, ვაჟკაცურად ილაპარაკა. მიკიბვ-მოკიბვის და ფაქტების შელამაზების გარეშე.

ჩემს კითხვაზე — ხომ შეგვათრიეს ესენგეში, ხომ დაგვაჩოქეს საბოლოოდ, ახლა მაინც რაღა საჭირო იყო გალის დარბევა-გადაბუგვა, რატომ დუმს რუსეთი-მეთქი, გვიპასუხა: მე თვითონაც ვერ ვხვდები, რაშია საქმეო. იქნებ ელცინმა არც იცის, რაც გალში ხდებაო.

ჯაბა ისე მიამიტი კაცი არ არის, რომ მართლა სჯეროდეს, რაც გვიპასუხა.

მსოფლიო? რატომ აგვიანებს ასე საეჭვოდ გაერო რეაგირებას?

12/II-5/III 94

პირველ მარტს პარლამენტის სხდომას დავესწარი.

როგორც პრესის წარმომადგენელს („ღიმილის“ მთავარ რედაქტორს), მოსაწვევი ბარათი გამომიწერეს.

როგორ შემეძლო არ დავსწრებოდი ამ კრებას, რომელზეც საქართველოს ბედი წყდებოდა.

ეს იყო ერთ-ერთი უსაშინლესი სანახაობა, რაც ჩემს ცხოვრებაში მინახავს.

ყელის გამოღადვრამდე იხვეწებოდა, ჰყვიროდა, იმუქრებოდა ოპოზიცია (ნ. ნათაძე, თ. პაატაშვილი, მ. ურიდია, ფ. საყვარელიძე, ი. სარიშვილი, ლ. შაკიაშვილი, ა. ბობოხიძე, ი. მელაშვილი...), როგორმე გადადებულიყო კენჭისყრა. „სამშობლოს გამყიდველებს“, „ერის მოღალატეებს“, „კომუნისტებს“ უწოდებდნენ სადისტური სიმშვიდით მხსდომ რუსეთუმეებს, პარლამენტის მორჩილ უმრავლესობას. ვაი, რომ გამყიდველთა შორის რამდენიმე მწერალ-დეპუტატიც იჯდა.

ხელისუფლებას ყველაფერი გათვლილი ჰქონდა და ამიტომაც მშვიდად იყო.

ბოლოს წყალწაღებული ოპოზიცია ხავსს ჩაეჭიდა — მოითხოვა, თანამდებობაზე დანიშნული დეპუტატები მაინც ნუ მიიღებენ მონაწილეობას კენჭისყრაში, ისინი ხომ წესდებით პარლამენტის წევრებად აღარ ითვლებიანო.

არც ამ სრულიად ბუნებრივ მოთხოვნაზე დათანხმდა სპიკერი.

შედგა კონსტიტუციურად სრულიად უკანონო კენჭისყრა და „უმრავლესობამ“ გაიმარჯვა.

საქართველო სნგ-ში შევიდა.

კიდევ ერთი სამარცხვინო ფურცელი გადაიშალა ქართველი ერის ისტორიაში.

არა და, არ არის საქართველო ამის ღირსი.

ესენგეში შესვლისთვის რომ „მოემზადებინათ“, დაამარცხეს, დაარბიეს, დაამშიეს, ხერხემალში გადატეხეს საქართველო, ერის მოაზროვნე ნაწილი (და მე მგონი, უმრავლესობაც) არ არის რუსეთის იმპერიის წიაღში შებრუნების, დამოუკიდებლობის დაკარგვის მომხრე.

პარლამენტზე მაღლა ხომ რეფერენდუმი დგას, ჩაატაროს რეფერენდუმი შევარდნაძემ და ნახავს, რა სურათსაც მიიღებს.

წყეული იყოს 1994 წლის პირველი მარტი.

იგი შავი ასოებით ჩაიწერება საქართველოს ისტორიაში.

ვინ იცის, კიდევ რამდენი წლით შევყავით თავი მონობის ყულფში.

იმედი! იმედი!

მთავარია, თავისუფლებისთვის ბრძოლა არ შევანელოთ. მთავარია, დამოუკიდებლობის სურვილი არ ამოვიღოთ გულიდან.

კულუარებში ვისაც კი მივწვდი, ავუხსენი, რომ ესენგეში შესვლა ჩვენი ხელით ჩვენი დამოუკიდებლობის დასამარებას ნიშნავს. ხელისუფლებიდან ერთადერთმა რ. ბერიძემ (პარლამენტის სპიკერმა) მისცა ხმა სნგ-ს წინააღმდეგ.

რა პასუხს გასცემენ შთამომავლობას საქართველოს დამოუკიდებლობის დაკარგვისთვის ხმის მიმცემი დეპუტატები?

6/III-21/III 94

უსიხარულო დღენი მიჰქრიან.

16 მარტს შევარდნაძეს შევხვდი.

დაახლოებით ერთ საათს ვიჯექით პირისპირ, მის კაბინეტში.

თბილად მიმიღო. მეუღლის ჯანმრთელობა მკითხა.

უნდა გაუძლოთო. ხომ არაფერი გიჭირთო.

მადლობა მოვახსენე, ძალიანაც რომ გვიჭირდეს, თქვენ არ შეგაწუხებთ, თქვენ ჩვენთვის სადა გცალიათ-მეთქი.

ვისაუბრეთ საქართველოს ბედზე...

ვკითხე, ესენგეში შესვლის წინააღმდეგი გახლავართ, თქვენ ეს იცით-მეთქი.

გასაგებია, ეს შენი რწმენაა, რასაც ძალიან ვაფასებო. შენ ის კაცი არა ხარ, შენი შეხედულებანი კონიუნქტურაზე ააშენოვო.

თუ გქონდათ-მეთქი ჩამოსვლის დროს განზრახული ესენგეში შესვლა?

არაო. თუ დააკვირდები, ბევრი ვეცადე, არ შევსულიყავიო.

რუსებმა ორჯერ გამწირესო — ერთხელ სოხუმში, მეორედ, გამსახურდიას სამტრედია რომ ააღებინეს და თბილისისკენ მოჰყავდათო.

თბილისთან ძალაუფლებისთვის საშინელი ხოცვა-ჟლეტა გაიმართებოდა და მთელი საქართველი დაიღუპებოდაო.

თუ გაქვთ იმედი, რომ აფხაზეთს დავიბრუნებთ-მეთქი.

ადრე მეტი იმედი მქონდა, ამერიკაში ვიზიტმა ცოტა არ იყოს, შემაფიქრიანაო.

არძინბა დასავლეთმა მხარედ აღიარა და არა საქართველოს შემადგენელი ტერიტორიის ექსტრემისტ წარმომადგენლად. ეს იმას ნიშნავს, რომ დიდი სიძნელეები გველისო.

თანაც, ახლა ელცინი ძალაუფლებას მთლიანად ვერ ფლობს, რუცკოი და ხაზბულატოვი ციხიდან მისი სურვილის წინააღმდეგ გამოუშვეს, პარლამენტი თვითნებობს, ასეთ შემთხვევაში, მე მგონი, წართმეული აფხაზეთის დაბრუნება გაგვიჭირდებაო.

თუ ასეა, თქვენ უნდა იზრუნოთ იმაზე, რომ თქვენი გვარი მაინც გადაარჩინოთ, თუ გინდათ აგცდეთ სერგო ორჯონიკიძის ხვედრი, თუ მარტის ბოლომდე ვერ დავიბრუნეთ აფხაზეთი, უნდა გადადგეთ და გააკეთოთ აღსარების მსგავსი განცხადება იმის შესახებ, თუ როგორ მოგატყუათ ვერაგმა რუსეთმა და როგორ დაიპყრო ამ საუკუნეში მეორედ საქართველო-მეთქი.

რეზო, შენ მართლა პრეზიდენტი ხომ არ გგონივარ. როცა მოისურვებს ამ კაბინეტიდან გამიყვანს რუსი და სადმე ხევში გადამაგდებსო.

გაფართოვებული, ნაღვლიანი თვალებით მიმზერდა.

ტკბილად გამომაცილა.

22/III-29/IV 94

ვაკის პარკის გვერდით, ჩასასვლელთან, ქუჩას აჩიკოს სახელი მიანიჭეს. აჩიკოს სახელი მიანიჭეს მის მშობლიურ 54-ე სკოლასაც.

იქნება თბილისში არჩილ მიშველაძის სახელობის სკოლა და არჩილ მიშველაძის ქუჩა.

მეტი რა შეეძლო გაეკეთებინა ოცი წლის ბიჭს თავისი სამშობლოსთვის და თავისი თავისთვის.

სიცოცხლე მისცა სამშობლოს.

სამშობლო კი უბედური ბედის წყალობით კვლავ თავდაღმა მიექანება.

ოთხ ადგილას ვმუშაობ, რომ ლუკმაპური ვიშოვო და აჩიკოს საფლავის მომვლელ ქალს ორიოდე კაპიკი გადავუხადო.

მხოლოდ დიდვაჭრები და ბანდიტები ირჩენენ დღეს თავს საქართველოში.

21 აპრილს „შანსში“ ინტერვიუ მქონდა. კიდევ ერთხელ გავიმეორე: ნუ ვეძებთ ჩვენში მოღალატეებს და ჩვენს თავში ომში დამარცხების მიზეზებს. დროა, ამ ომს თავისი ნამდვილი სახელი — რუსეთ-საქართველოს 1992-93 წლების ომი დავარქვათ-მეთქი.

ხელისუფლებას არ მოეწონა ჩემი ინტერვიუ. ვახტანგ რჩეულიშვილმა — არ გეთანხმებიო. გიგა ლორთქიფანიძემ — შენი, ინტერვიუ რომ წავიკითხე — წნევამ ამიწიაო. დავანებოთ თავი რუსის გაღიზიანებას, თორემ უარესს გვიზამსო.

29 აპრილს, პარლამენტში, დიდი შეხლა-შემოხლა, გაწევ-გამოწევა გაიმართა. ნათაძემ რჩეულიშვილს „სიყვარულით“ ნაბიჭვარი უწოდა, რჩეულიშვილმა სახეში „ბორჯომი“ შეასხა.

შეფურთხებას „ბორჯომი“, რასაკვირველია, სჯობს.

30/IV-30/V 94

14 მაისს საქართველომ აფხაზეთთან ხელი მოაწერა ხელშეკრულებას, რომლის ძალითაც ენგურზე შეიქმნა ოცდაათკილომეტრიანი „სამშვიდობო“ ზონა. ამ ზონაში რუსის ჯარი ჩადგება. ამავე ხელშეკრულებით საქართველომ დალის ხეობიდან დაუყოვნებლივ უნდა გაიყვანოს პარტიზანული შენაერთები. ე.ი. „აფხაზეთის სვანეთიც“ გაიყიდა, მტერს ჩავაბარეთ.

რა შეიძლებოდა მომხდარიყო ამაზე უარესი?

თურქეთთან (სხვა სახელმწიფოსთან) ჩვენ გვაქვს ასმეტრიანი საზღვარი, ხოლო ევროპის სახელმწიფოებს ერთმანეთთან საზღვარი საერთოდ არა აქვთ. ჩვენ კი, დამპყრობელმა რუსეთმა აფხაზეთთან (ჩვენს მიწასთან) ოცდაათკილომეტრიანი საზღვარი დაგვიდო. ესე იგი, მთლიანად და სავსებით მოგვწყვიტა აფხაზეთი.

და ამ დამამცირებელ, კაპიტულანტურ ხელშეკრულებას ხელს ჩვენივე ხელისუფლება უწერს რუსეთს.

საქართველოში მაისში ორი ზეიმი ჩატარდა: 23-25 მაისს უნივერსიტეტის იუბილე, 26 მაისს — დამოუკიდებლობის 76 წლისთავი.

თუ უნივერსიტეტის იუბილეს, როგორც ცოდნის ტაძრის, ეროვნული ინტელიგენციის აღმზრდელი დაწესებულების ზეიმს, კიდევ აქვს რაღაც გამართლება, 26 მაისს თავისუფლების მოედანზე დამარცხებული ჯარის პარადის გამართვა ყოვლად გაუმართლებელია.

ტრიბუნაზე კომუნისტურად, ყელმოღერებით მდგარი ბელადები — გამარჯვებულის იერით მდგარი შევარდნაძე და გოგუაძე დამშეულ, კუპონით გაუბედურებულ ხალხს ხელისაწევით ესალმებოდნენ.

რას ვზეიმობთ? დამოუკიდებლობის დაკარგვას? 30 ათასი ბიჭის წართმეულ სიცოცხლეს? 300 ათასი უსახლკარო ქართველის სიბეჩავეს თუ წაგლეჯილ 25 ათას კვადრატულ კილომეტრს?

სიბრაზისგან გული კინაღამ გამისკდა, ტელევიზორში პარადს რომ ვუცქეროდი.

25 მაისს საერთაშორისო სიმპოზიუმზე მოხსენებით გამოვედი. ვისაუბრე იმაზე, თუ როგორ „სძულდათ საუკეთესო ქართველ მწერლებს დამპყრობელი რუსეთის იმპერია. ბოლოს სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოსულ მეცნიერებს შენიშვნის სახით მოვახსენე — რატომ გაიმეორეს თქვენმა ქვეყნებმა 1921 წლის შეცდომა, რატომ მოხდა, რომ დასავლეთმა და ამერიკამ ერთი საპროტესტო ნოტაც კი არ გაუგზავნეს რუსეთს, რომელმაც ასე უმოწყალოდ ფეხქვეშ გათელა-მეთქი საქართველო 1992-93 წლების რუსეთ-საქართველოს ომში-მეთქი.

თავები ჩაქინდრეს.

ერთმა „ფხიზელმა“ ლიტერატორმა პროტესტი გამოთქვა ჩემი მოხსენების პოლიტიკური მიმართულების გამო.

შესვენების შემდეგ შევაჩერე დერეფანში — მე მამაშენს — ელიზბარ უბილავას და შენს მეუღლეს ნიკა ანდრონიკაშვილს პატივს ვცემ და როგორ ვნანობ, რომ ასეთი შეზღუდული გონების „ლიტერატურათმცოდნე“ ყოფილხარ-მეთქი.

1/VI-22/VI 94

მამუკა წიკლაურმა და მე მუხათწყაროში ღარიბულ სუფრასთან შუაღამემდე ვისაუბრეთ.

ჯიუტი ერთგულება დასახული მიზნისადმი. შეუპოვრობა ერის მოღალატეებისადმი, მათი დაუმორჩილებლობა რუსული ალიკაპის მიმართ — ახლა ესაა მთავარი.

თავიდანვე რომ სწორი პოზიცია დაეჭირა დასავლეთის მიმართ ზვიადს, ალბათ, რუსეთი ასე უტიფრად და ულმობლად ვერ გაბედავდა ჩვენს დასჯას.

აჩიკოზე მშვენიერი ლექსები დაწერეს ჯანო ჯანელიძემ და აკაკი გეწაძემ.

სკოლამ (54-ე) და ინსტიტუტმა (აჩიკო უნივერსიტეტთან ერთად ფიზკულტურის ინსტიტუტშიც სწავლობდა) ხსოვნის საღამოები გაუმართეს ჩემს გმირ შვილს.

ლევან სანიკიძე, შოთა ნიშნიანიძე და მე ვესწრებოდით. ბევრი ვიტირე.

უჭირს საქართველოს.

მატყუარა ხელისუფლება ხელს არ ანძრევს, ქვეყანა სიდუხჭირისგან რომ იხსნას. ოთხ ინსტიტუტში ვკითხულობ ლექციებს, რომ ორი კაპიკი ვიშოვო და ოჯახი გამოვკვებო.

ჩვენი თავი ჯანდაბას, ოჯახის ახალ წევრს, შიო მიშველაძეს (უკვე 5 წლისაა), რომ მოშივდეს, სირცხვილით დავიწვები.

დიდი იმედით შეჰყურებს თავის „მწერალ ბაბუას“ შიო.

რუსეთი კვლავ დაგვცინის. ენგურთან თავის სახლში დასაბრუნებელი ქართველების გადარჩევა დაიწყეს.

აფსუს!

23/VI—20/VII 94

19 ივლისს მორის ფოცხიშვილის გარდაცვალების წლისთავი იყო.

ახალგაზრდა მსახიობებმა რუსთაველის თეატრში მორისის პოეზიის საღამო გამართეს.

შოთა ნიშნიანიძე და მე ერთად წავედით.

დუღდა და მქუხარებდა სცენაზე მორისის პოეზია.

ბევრი ლექსი, თითქოსდა, დღევანდელი დღისთვის — დღევანდელ დღეზე იყო დაწერილი.

ერთ ლექსში ბრალს სდებდა ერის მოღალატე ქართველს, რომელმაც ისევ დათვს ჩაუგდო ხელში საქართველო.

პირდაპირ ზედგამოჭრილი იყო...

მაყურებელმაც იგრძნო ეს.

დარბაზში ტაშმა იგრიალა. ფეხზე წამომდგარნი უკრავდნენ ტაშს მორისს და მსახიობებს.

20/VII-20/VIII 94

იწურება ეს ზაფხულიც.

კიდევ ერთი მწუხარე ზაფხული საქართველოსთვის.

საქართველოს მთავარი პრობლემა ისევ გადაუწყვეტელია.

„სამშვიდობო ძალებმა“ კიდევ ერთხელ მწარედ მოგვატყუეს.

უფრო სწორად, მოატყუეს შევარდნაძე, მე თავიდანვე ვიცოდი, რა სამშვიდობო ძალებს გამოგვიგზავნიდა რუსეთი.

აღარა აქვს საზღვარი საქართველოს დამცირებას.

რუსის ჯარისკაცებმა მავთულხლართები გაავლეს ზუგდიდის გასწვრივ. აფხაზეთი საბოლოოდ მოსწყვიტეს საქართველოს.

19 აგვისტოს ათი ათასამდე ქალ-ბავშვი მშვიდობიანი მსვლელობით აპირებდა გალში, თავის სახლებში დაბრუნებას.

რუსმა ჯარისკაცებმა ისინი კონდახებისა და პანღურის ცემით უკან გამოაბრუნეს.

რა საშინელებაა უღონობისა და უილაჯობის განცდა.

ახლახან ტვინში სისხლი ჩაექცა საქართველოს უბედურების გადამკიდეს — გრიგოლ აბაშიძეს.

სიონიდან გამოვასვენეთ.

რატომ მწერალთა კავშირიდან არ უნდა გამოვასვენოთ-მეთქი, ამით ხომ მწერალთა კავშირის მნიშვნელობა მცირდება, რომელი ეპისკოპოსი ან ბლაღოჩინი იყო-მეთქი გრიგოლ აბაშიძე, მწერალთა კავშირის ბიბლიოთეკაში ჩემთვის ჩავილაპარაკე, იქ იმ დროს ერთი სუკის აგენტი მწერალი იჯდა, და ეს საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ „საქართველოს რესპუბლიკაში“ გრიგოლ აბაშიძის ნეკროლოგიისათვის ჩემი გვარი არ მიეწერათ. არა და — ბ-ნი გრიგოლი უსაზღვროდ მიყვარს და კარგი მეგობრებიც გახლდით.

მაგრამ ეს არაფერი.

მე საქართველოს დარდი მკლავს. რა ბედნიერია ჩემი აჩიკო, რომ რუსის მიერ (და რუსის დაქირავებულ ქართველთა მიერ) საქართველოს განადგურებას ვერ მოესწრო.

იმპერიის აღორძინება იმაშიც ჩანს, რომ თითქმის ყველა თანამდებობაზე (რაიონებშიც გამგებლად) ყოფილი პარტიული ფუნქციონერები დასვეს.

რუხთან, ზუგდიდთან სხედან ლტოლვილები, მოშიმშილეები და მოთქვამენ — დააბრუნონ თავიანთ სახლებში.

აფხაზეთის იარაღით დაბრუნების ილუზია გაქრა. ახლა იქ რუსის მრისხანე ჯარი დგას საქართველოს ხელისუფლების მიერ მოწვეული და ხელდასხმული.

ბოლომდე გაიყიდა საქართველო.

ახლა, სანამ ეროვნული ძარღვი კიდევ ფეთქავს, სასწრაფოდ უნდა შეიკრიბოს პარლამენტი და სასწრაფოდ უნდა გაუქმდეს 14 მაისის ხელშეკრულება, გაყვანილ უნდა იქნან რუსის „სამშვიდობო ძალები“ საქართველოს ტერიტორიიდან.

რუსეთის ანექსიას ჩვენ მაინც ნუ დავეთანხმებით.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

თინათინ ჭედია

# ნოველა და ნოველისტი

ბატონმა რევაზ მიშველაძემ თავისი წიგნი მაჩუქა, რომელშიც ოცდათხუთმეტი ნოველაა შეტანილი, წიგნს ქვია „წარღვნა“. წიგნი დაჭმუჭნულია, არ ვიცი რატომ და მუხლებზე რომ დავიდე, გადავშალე და კითხვა დავიწყე, წიგნის სუნთქვის ხმა გავიგონე. სხვა დროს წიგნის სუნთქვა არასდროს ჩამსმენია, მაგიურ წიგნად აღვიქვი და შევუდექი რიგით პირველი ნოველის გაცნობას, რომელსაც ასევე „წარღვნა“ ქვია. მივყევი, მივყევი და გული ბატონი რეზოს ხმითა და დიქციით ამიმეტყველდა.

აი, დავხურე მაგიური წიგნი. სათითაოდ ნოველას გაანალიზება-განხილვა შედარებით ადვილია, ვიდრე ყველაზე ერთად წერა, დამეთანხმებით, მაგრამ სანამ ამ შესანიშნავი წიგნის შესახებ მოგახსენებდეთ, გავიხსენოთ, რა არის თავად ნოველა.

როცა ნამდვილ, კარგ ნოველას ვკითხულობ, თვალწინ დამიდგება ულამაზესი მელია, ღუნღულა კუდით, მოქნილი სხეულით და დაცქვეტილი ყურებით, ვინაიდან ნოველა უნდა იყოს მოქნილი თავისი ნატურით, ამიტომაა ძნელად დასაწერი, ის თავისი ფორმატით მცირე ასპარეზს გთავაზობს. ნოველა ესაა წამი, გაელვება ადამიანის, კონკრეტული ქვეყნის თუ კაცობრიობის ცხოვრებიდან. ნოველა ეპიზოდია, რომელსაც შევადარებდი იმპრესიონისტ მხატვართა შემოქმედებას, სადაც მრავალი მკვეთრი ფერი ლივლივებს, შევადარებდი ფოტოგრაფიულ ხელოვნებასაც, შავთეთრ ფოტოს და ფერადსაც, რომელიც ასახავს და აფიქსირებს მხოლოდ მნიშვნელოვანს, თუნდაც ადამიანის პორტრეტი იყოს, კარგი ფოტოგრაფი ისე გაჩვენებს სახეს, სადაც ყურადღებას შენდაუნებურად მთავარ შტრიხებზე გაამახვილებ. ნოველა ადამიანის მიერ განვლილი ცხოვრების გზიდან ამოგლეჯილი მნიშვნელოვანი მომენტია, ნოველა აფიქსირებს კაშკაშა ან შავბნელ გაელვებას წარსულიდან ან აწმყოდან. ნოველისტის კალამი კაცობრიობის, კონკრეტული ქვეყნის, საზოგადოების გარკვეული ფენის, ინდივიდის ისტორიის დაუვიწყარი, უმნიშვნელოვანესი პერიოდების დამფიქსირებელია, რომელსაც ზედ ერთვის მწერლის გემოვნება, ცოდნა, ანალიტიკური, ორიგინალური აზროვნება, ფანტაზიის უნარი, ნიჭიერება. წამთან პირისპირ დადგომა და მისი შეჩერება არაა ადვილი საქმე. თავად ბატონ რეზოს სიტყვებს გავიმეორებ, შესაძლოა ნოველის სამოცდაათი პროცენტი წაკითხული გქონდეს და ვერა და ვერ ხვდებოდე, რაგვარად შეიძლება, რომ დასრულდეს. ოსტატის ხელით დაწერილ ნოველას შეუძლია მკითხველის შოკში ჩაგდება მოულოდნელი დასასრულის გამო, თანაც მწერალმა „გრძელი სიტყვა მოკლედ ითქმის“ პრინციპით უნდა მიიტანოს მკითხველამდე სათქმელი. ნოველას მკაცრი კანონები აქვს და წესებს თუ არ მისდიე, მის შექმნას ვერ მოახერხებ.

რევაზ მიშველაძე დიდი კაცია, ასაკით, ცხოვრებისეული გამოცდილებით, ღვაწლით. მის ნოველებში ასახულია საქართველოს ცხოვრების სხვადასხვა მნიშვნელოვანი პერიოდი. მისი შემოქმედება მკვეთრად ქართულია, მაგრამ საქართველო მსოფლიოს ნაწილია, თავისებურად ხიბლიანი, მრავალფეროვანი. მაგალითად, ესაა ქვეყანა, სადაც ჯანდაცვის მინისტრი ტელევიზიით ხალხს ამცნობს, უახლოეს თვეებში ქათმის გრიპისგან ყოველი მესამე დაიღუპებითო. სხვა, ნორმალურ ქვეყანაში რომ გამოეცხადებინათ მსგავსი რამ, ქუჩებს შიშით აგნიასებული ხალხის ხმაური წალეკავდა. საქართველოში კი ამ განცხადებას არანაირი პანიკა არ გამოუწვევია. მხოლოდ აქ, ჩვენთანაა შესაძლებელი პოეტს ბულბულს, უგვირგვინო მეფეს უწოდებდნენ, სიყვარულს ეფიცებოდნენ, იუბილეს უწყობდნენ და მერე მისი შინ წაყვანა ავიწყდებოდეთ ან შეეძლოთ იუბილის დამთავრების შემდგომ გაძარცვონ, დააყაჩაღონ... აქაა შესაძლებელი იყო აღიარებული, ცნობილი, კარგი მუშაკი და მაინც მშიერი დაიარებოდე. თუ აქამდე გაუგონარი იდეა დაგებადა, გაახმოვანე და ამხანაგების გვერდში დგომა გჭირდება და თანამოაზრეების გამოჩენა, ახალი მეგობრების შეძენა, ჩანაფიქრის განსახორციელებლად, არვინ გაგეკარება, დაგცინებენ ზურგსუკან ან გიჟად გამოგაცხადებენ. საქმეს წამოიწყებ რაიმეს სარფიანს, ყველასათვის სახეიროს და დაგესევიან თავისდა სასარგებლოდ, შენს ხარჯზე ასაშენებლად, უშრომელად ფული რომ იშოვონ. მხოლოდ საქართველოშია შესაძლებელი 25 იანვარს მოსული თოვლი აღიქმებოდეს მოულოდნელ მოვლენად და რუსმა ყოველნაირი სინდისის ქეჯნის გარეშე დენი და გაზი არ გამოუშვას შენსკენ შუა ზამთარში მხოლოდ იმიტომ, რომ შენი სამშობლოს პრეზიდენტი შვეიცარიაშია სასრიალოდ გამგზავრებული და არავინ დაუტოვებია პასუხისმგებლად პრობლემის მოსაგვარებლად. ამიტომ ახალგაზრდა და სიმპატიური პრეზიდენტი თვალცრემლიანი ბრუნდება, აბა, ხალხს ხომ არ მიატოვებს გასაჭირში?! მაგრამ ზამთარში რომ ადამიანებს ერთი თვით უპურ-გაზ-უშუქოდ დაარჩენ, ამას არავინ გაპატიებს და ჩათვალე, რომ უკვე დამთავრებულია ასეთი მეთაურის პრეზიდენტობის ისტორია. ამ ქვეყანაშია შესაძლებელი, დღისით, მზისით, გენიოსი პოეტი საავადმყოფოს ფანჯრის რაფიდან გადმოფრინდეს და მიწას დაენარცხოს. ამ ქვეყანაში შესაძლებელია მოხდეს ის, რომ უნივერსიტეტის პროფესორმა, ლექტორმა, აუდიტორიიდან გამოსვლისთანავე ჯიბიდან ნახევარლიტრიანი ბოთლი ამოიღოს და შიგ ჩასხმული ნავთი გადაისხას, მერე კი ასანთს გაჰკრას, რომ ცოცხლად ამოიბუგოს, მაგრამ ვერ მოკვდეს, ვინაიდან სტუდენტი გადაარჩენს, შემდგომ, საავადმყოფოში მწოლიარეზე ექიმები იტყვიან კლიმაქსი აქვსო, კიდევ დააბრალებენ, რასაც ზედ ნევროზიც დაემატაო და ის ქნა, რაც სახეზეაო. აქ სახელოვანი მშობლის შვილობა, მეტადრე თუ ის ბელადიც იყო და სახელმწიფოს თავგანწირული წინამძღოლი, ასეთი კაცის შვილობა სასჯელი უფროა ვიდრე საამაყო. არავინ პატივს არ გცემს, მეტიც, მაგალითად, იოსებ სტალინის ქალიშვილს მუშაობის უფლებას არ აძლევენ, არც რაიმე გასაქანს და პატიმარივით აცხოვრებენ.

ამ წიგნში ბიბლიურ ამბებსაც გადაეყრებით, რაც უკვე წაკითხული გვაქვს ახალ აღთქმაში და ვიცით, მაგრამ ბატონი რეზოს ნოველაში ამბავი სხვა რაკურსითაა გადმოცემული ანუ ნაცნობი სურათი ნაჩვენებია სხვაგვარად. ყველამ ვიცით, რომ იესო იერუსალიმს ვირით შევიდა, მაგრამ არცერთ ჩვენგანს არ გვიფიქრია იმ ბიბლიურ ვირზე, რომლის ზურგზეც მაცხოვარი იჯდა, აი, ნოველაში, რომელსაც „ვირი“ ქვია, გაიგებთ თუ როგორ მოიპოვა უფალმა ეს სახედარი, ვისი საკუთრება იყო და მაინცდამაინც დედა ვირი რატომ ამოარჩია, რომელსაც კუნტრუშით ახლომახლო თავისივე პირმშო მოსდევდა.

ჩვენ არ გვიყვარს იუდა, რომელმაც მაცხოვარს ამბორით უღალატა, მაგრამ ბატონი რეზოს ამ მეტად საინტერესო ნოველაში იუდა გამართლებულია. სახალხოდ და საყოველთაოდ ისე გამოჩნდა, რომ მოღალატე და უფლის გამწირველია, მაგრამ ის კაიაფამ მოატყუა, თავად იუდას გულში ღალატი ფიქრადაც არ გაუვლია. კაიაფამ დაარწმუნა, რომ ქრისტეს შეპყრობა ქრისტესავე განსადიდებლად უნდა განხორციელებულიყო და იუდაც გაბრიყვდა. კაიაფამ იუდასთვის სინედრიონს ოცდაათი ვერცხლი გამოაყოფინა, ვინაიდან იუდა ხელმოკლედ ცხოვრობდა, ამიტომ ფული ხელებში შეაჩეჩეს და გამოუშვეს. დაპირებისამებრ, იუდამ აკოცა უფალს, რომელიც შეიპყრეს, ჯვარზე გააკრეს, წამებით მოკლეს. გამწარებული იუდა მივიდა გაიძვერა „მწიგნობართან“ და მოახსენა, „დაიბრუნე ჩემი ამბორის საფასური, რა დაგიშავე, რომ ასე გამწირე, კაიაფა!“ მაგრამ გვიანი აღმოჩნდა იმ ოცდაათი ვერცხლის დაბრუნება. კაიაფამ იუდას უთხრა, რომ თავადაც მოტყუებულია... მერე, რაც იუდამ თავის თავს გაუკეთა, თქვენც იცით!

მწერალი თავისი შემოქმედებით გვახსენებს 90-იან წლებს, აი, მხედრიონელობა რომ იყო, ქურდობა და ყაჩაღობა რომ ყვაოდა. მართლა როგორი საშინელი განუკითხაობა ბატონობდა. დღისით თუ მანქანას ქუჩაში არ წაგართმევდნენ, ღამით მოგპარავდნენ პირდაპირ გარაჟიდან და ერთ პერსონაჟს, რომელსაც მსუბუქი მანქანები უყვარდა და ვოლგის შესაძენად დიდხანს ფულს აგროვებდა და რიგშიც ორჯერ დგომამ მოუწია და როცა უნდა შეეძინა მანქანა ფული არ ეყო, მაგრამ მაინც მოახერხა და იყიდა, მერე მას, როგორც ცოცხალ არსებას ესათუთებოდა, უვლიდა, მისი ტარებაც კი ენანებოდა და ასეთ კაცს, სიმწრით შეძენილ ბორდოსფერ „ვოლგას“ რომ მოპარავ, თანაც ბორბლებდახსნილს და ქვებზე შეყენებულს, დილით მანქანის ადგილას მხოლოდ ოთხი უზარმაზარი ქვა რომ დაგხვდება, გაგიჟდები ან გული გაგისკდება. ჰო, და გაუსკდა ის ერთი გული იმ ადამიანს. აი, ამგვარ დროებაშიც უცხოვრიათ ქართველებს. ბატონი რეზო ნოველებში ყურადღებას ამახვილებს მეტად საჭირბოროტო თემაზე, როცა ადამიანი თავს ზედმეტად გრძნობს თავის ქალაქში, სოფელში, სამშობლოში, არადა, ამ დროს საჭირო და სასარგებლო პიროვნებაა და აფასებენ თანამემამულეები? პასუხია: - არა!

მწერალი გვიხსნის, რატომაა შეუძლებელი, რომ ქარავანს არ აყვე და თეთრი ყვავის მდგომარეობაში არ აღმოჩნდე.ბატონი რეზოს კეთილი ზნე უკეთ მაშინ იცნობა, როცა ის ადამიანურ, სასიამოვნო გრძნობებს

ეხება, განსაკუთრებით ქალისა და მამაკაცის ურთიერთობებს. დაშვებული შეცდომების გამო ადამიანებს არ კიცხავს, პირიქით, ამართლებს. ზოგჯერ ჩადენილი შეცდომა ხავსჩაჭიდულობაა, იმედია, სიხარულია, ნუგეშია, სიცოცხლისკენ შემობრუნებაა. არის მომენტი, როცა კაცი ცოლს ღალატობს უნებლიეთ და პირიქითაც ხდება ხანდისხან, ქალიც გაიხედავს სხვისკენ, მაგრამ ეს არ ნიშნავს ცოდვილობას. თუ ერთ ჭერქვეშ ნორმალური ქალი და მამაკაცი ანდამატივით იზიდავენ ერთმანეთს, მოსახდენი უნდა მოხდეს და დასძენს, იმ ქალისა და კაცის ჩახუტებაზე ფიქრს გვიჯობს წარღვნაზე ვიფიქროთო. წარღვნას ყველა კითხვაზე აქვს პასუხი მომზადებული!

ბატონი რეზოს ნოველებში ყველა წეს-კანონი დაცულია, ამიტომაცაა ის სიცოცხლეშივე კლასიკოს მწერლად აღიარებული, რომელიც მცირე მასშტაბის ფარგლებში თავის სათქმელ-სატკივარსა თუ სიხარულს სრულად, უნაკლოდ და მოქნილად გვეუბნება, მკითხველის სულის სიმებს ეხება, მაგრამ ამ ადამიანის ნიჭიერება ზღვარსაა გადასული, ვინაიდან სძალუძს ნოველის კანონებიც დაარღვიოს და ნაწარმოები მაინც ნოველად დაარჩინოს. მან, როგორც მწერალმა ერთ ნოველაში აკაკი წერეთლის მთელი ცხოვრება ხელის გულზე დაგვიდო, ბოლოს მოაკვდინა კიდეც, ვინაიდან ისიც ადამიანი იყო და პოეტის სიცოცხლესაც ერთხელაც ერთი დიდი შავი წერტილი ესმება, მაგრამ რა გინდა რომ თქვა, „სავალალო ამბავი“ არის ნოველა და არა მოთხრობა. ბატონმა რეზომ შთამბეჭდავად მოგვითხრო გალაკტიონის გარდაცვალების კი არა, მართლა სიკვდილის შესახებ, რომელიც საავადმყოფოს ფანჯრიდან გადმოფრინდა და ამგვარად დაასრულა სიცოცხლე, წაიკითხავთ და საშინელი სინანული დაგეუფლებათ ამის გამო. ბატონმა რეზომ ტერენტი გრანელზეც შექმნა ასე ვიტყოდი, პიეს-ნოველა, ლიბრეტო პანტომიმის თეატრისთვის, რომელიც სამი სურათისგან შედგება. შეგასხენებთ, რომ ლიბრეტო იტალიური წარმომავლობის სიტყვაა და ნიშნავს წიგნაკს. მთავარი პერსონაჟები ამ ნოველაში არიან ტერენტი, მარო მაყაშვილი და ყვავილი მიხაკი.

მარო მაყაშვილსაც ქონდა უბის წიგნაკი, რომელშიც ჩანაწერებს აკეთებდა, თავადის ქალი იყო, განათლებული, ღირსეული, მჭერმეტყველი, მწერალ კონსტანტინეს, მწერალთა კავშირის ერთ-ერთი დამფუძნებლის ასული და ასევე მწერალი ქალის, ეკატერინე გაბაშვილის შვილიშვილი (დედის მხრიდან). მიუხედავად იმისა, რომ უნივერსიტეტის სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის კურსდამთავრებული იყო, გაწევრიანდა წითელი ჯვრის ორგანიზაციაში და მედდად იქცა, ასე სჯობდა მისთვის, სამშობლოს უკეთ რომ დახმარებოდა, ფრონტზე წავიდა ქართველ იუნკრებს გვერდით დაუდგა, მაგრამ რუსებმა სასიკვდილოდ დაჭრეს კეფაში და ის იქცა სამშობლოს დამოუკიდებლობისთვის ბრძოლის დროს პირველ მსხვერპლ ქალად, ქართველ ჟანა დარკად. მაროსა და ტერენტის სულები დაკავშირებულები არიან ამ ნოველაში.

ბატონი რეზო წუხს იმის გამო, რომ საქართველოში მხატვრული ლიტერატურის მკითხველთა რაოდენობა მცირეა, და თუ ქვეყანაში მკითხველი თითქმის აღარ გყავს მხოლოდ მწერლების ბრალი არაა. საერთოდ დედამიწაზეა შემცირებული მკითხველთა რაოდენობა და თავი და თავი ჩვენი უწიგნურებად ქცევისა არის ის, რომ ჩვენ, ქართველები გალახულები ვართ, დაჩოქილები, დამარცხებულობის სინდრომი გვთრგუნავს და იმედს გვაცლის. წელში გვტეხს სამარცხვინო ახლო წარსული და აწმყო უპატიო გამოქცევები აფხაზეთ-სამაჩაბლოდან და დავამატებ, აწმყოში ზღვარსგადასული ემიგრანტობაც. გულს მიძგერებს ბატონი რეზოს ნოველებში გამოხატული მგზნებარება, რომელიც მაიძულებს მახსოვდეს ვისი შთამომავალი ვარ, ვისი და მღვდელი თევდორესი, სამასი არაგველის, ცოტნე დადიანის, მეფე დავითისა, მეფე თამარისა და ზოგადად სახელოვანი წინაპრებისა, რომლებმაც შექმნეს სახელმწიფო ქართული, თავისებური პოლიტიკით, კულტურით, რელიგიით, დროშით, ენით და ყველასგან განსხვავებული ანბანით, თანაც სამი გვაქვს, გახსენდებათ რომელიმე სხვა ერი, რომელსაც სამი ანბანი ქონდეს? მე პირადად არა და ამიტომ არ გვეკადრება აწმყოში დადედლავება, არც ქვეყნის მიტოვება და უკეთეს ადგილას გადახვეწა.




რევაზ მიშველაძის შემოქმედებაში ასახულია ქვეყნის ცხოვრების სხვადასხვა ეპიზოდები. ფაშისტური გერმანიის საკონცენტრაციო ბანაკებში მომხდარ ამბავსაც წაიკითხავთ ამ წიგნში (ყველაზე სასტიკი, უზარმაზარი სიკვდილის ქარხანა რომ იყო დედამიწის ზურგზე), რომლებიდანაც უმეტესობა ცოცხალი ვერ გამოვიდა და ვინც იქ სიკვდილს გადაურჩა, სამუდამოდ დახეიბრებული და სულიერად ტრავმირებულად დარჩა, რომლებმაც პაწა ხანს იხანხალეს და წამებულები გავიდნენ ამ წუთისოფლიდან. იმნაირი ერთ-ერთი ბანაკიდან თერთმეტი ქართველი ტყვე გაიპარა, მაგრამ ზონიდან ვერ გააღწიეს. იპოვეს გერმანელებმა, დახვრეტა მიუსაჯეს და ერთად შეყარეს კამერაში და იქ ქართველები ამღერდნენ და მრავალხმიანი ქართულით გადარიეს ფაშისტები. ერთ-ერთ ტყვეს მხსნელად ბანაკის ექიმი ოტო შვარცი მოევლინა და ის ქართველი თავისი საქციელით ცოტნე დადიანს მიემსგავსა. მადლობა გადაუხადა ექიმს, მაგრამ სიცოცხლეს ვერ ვიჩუქებ, როცა ჩემი ათი ამხანაგი ხვალ დილით დაიხვრიტებაო. ცოტნე დადიანის ამბავივით კეთილად არ დასრულებულა ეს ისტორია, თერთმეტივე დილით სიცოცხლეს გამოასალმეს.

ბატონ რეზოს შეცნობილი აქვს თავისი ერის სული, მუხტი, ენერგია, პოტენციალი და მძაფრად შეიგრძნობს თავის გენს, ამიტომ, ძალზედ ძველი ამბების ნოველებად ქცევაც ხელეწიფება. შეუძლია ძველ საუკუნეებშიც გვამოგზაუროს და ჩვენი წინაპრების ყოფა დაგვანახოს, მაგალითად მე-17 საუკუნის კოლხეთში ცუდი ვითარება ყოფილა იმ მხრივ, რომ თურქეთიდან შემოპარული თულები იტაცებდნენ მეგრელებს, მეტადრე ქალებსა და ბავშვებს, შემდგომ სტამბულის ბაზარზე ყიდდნენ, რაც იყო ქვეყნის დასუსტების ერთ-ერთი უმძლავრესი მიზეზი.

ღმერთო ჩემო, კიდევ რამდენი რამის თქმა მსურს ჩვენს, საქართველოს შვილ ბატონ რევაზ მიშველაძეზე, მაგრამ ამჟამად აქ შევჩერდები, ვინაიდან, წერა რომ გავაგრძელო ეს წერილი რეცენზია ვეღარ იქნება, რეცენზიასაც თავისი წეს-კანონები და ჩარჩოები გააჩნია... თქვენის ნებართვით ერთსაც ვიტყვი, ბატონი რეზო ბავშვების მწერალიც რომაა, მათთვის ზღაპარ-ნოველები შექმნა სიკეთის ქვაზე და ძაღლ ბომბორაზე, რომელიც ჯაჭვით ეზოში დააბეს პატრონებმა, მაგრამ ღვთის ნებით, მან ჟაჭვთან ერთად ტყვეობას თავი დააღწია, ტყეში გაიქცა და იქ ბალახიჭამია ცხოველებს დახმარება გაუწია, რომლებმაც გაჭირვებაში არ მიატოვეს კეთილი ბომბორა, პატრონებმაც იპოვეს, შინ წაიყვანეს, აკოცეს, მოეფერნენ და მას მერე აღარც დაუბამთ.

ბატონო რეზო, გილოცავთ ჯემალ აჯიაშვილის პრემიის ლაურეატობას. გილოცავთ, თქვენს სულში უბერებელი სიჭაბუკის, მზე ჭაბუკის მსგავსის სახლობას.

## მიმოზა ცანავა

### შენ ხარ, მამულო!

მზე, როგორც სიცოცხლის წყაროა,
მაცოცხლებელი, შენ ხარ, მამულო!
როგორც რუსთველს უკვდავი წიგნი,
გზის გამკვალავი შენ ხარ, მამულო!
როგორც დავითის უთქმელი სევდა,
ფიქრთა დამტევი შენ ხარ, მამულო!
ვით სულხან–საბას სიბრძნე, გონება,
დამრიგებელი  შენ ხარ, მამულო!
როგორც აკაკის მდუმარე ლანდი,
მათრთოლებელი შენ ხარ, მამულო!
ვით ლელთ ღუნიას მართალი სიტყვა,
დიდი ილია შენ ხარ, მამულო!
ვით ნიკორწმინდა ცამდე აწვდილი,
გალაკტიონი შენ ხარ, მამულო!
,,ის გაუთლელი ლერწამის ღერო,“
ო, ტიციანი შენ ხარ, მამულო!
ვაჟას დაჭრილი ლუხუმის კვნესა
და მთის არწივი შენ ხაარ, მამულო!
პატარა კახის გონების ძალა
და აღმართული ხმალი მტრისაკენ
შენ ხარ, მამულო!
და დიდოსტატის მოჭრილი მკლავი,
კონსტანტინე ხომ შენ ხარ, მამულო!
შინმოუსვლელთა საფლავები,
ძაძად ქცეული ქართვლს დედაი,
შენ ხარ, მამულო!
ჩემი გრანელის უსაზღვრო სევდა,
განცდა, ტკივილი, შენ ხარ, მამულო!
სხვათა ცოდვათა მიმტევებელი,
გმირთა გამზრდელი და დამმარხველიც
შენ ხარ, მამულო!
გადაგლეჯილი დედის ძუძუი ასე წამებით,
გაუძლის დღეთა ვაი–ვიში შენ ხარ, მამულო!
თვალს რომ მიხელ და თანაც მიბნელებ,
გრძნობას რომ მართმევ,განცდას მიმატებ,
ღამეს უძილოს მათევინებ და გულის
გულამდე
მათქმევინებ მხოლოდ სიმართლეს,
აი, ვინა ხარ, ჩემო მამულო!
წმინდად ნაკურთხი ნასათუთარი,
ღმერთისგან ასე დალოცვლი ძლიერი ერი,
დიდი ტაძარი რწმენის და ლოცვის,
შენ ხარ, მამულო!
ვერ დაგარბიეს, ვერ მოგხარეს,
მაგრამ ვაი, რომ სიმი გაწყვიტეს,
ის გაწყვეტილი სიმთა კვნესა შენ ხარ,
მამულო!
აფხაზეთი და სამაჩაბლო, ჩემი იარა,
ჩემი ჭრილობა შენ ხარ, მამულო!
ჰაი, დედასა! რა ყოფილა სიკეთის ძალა,
ვერ მოერია მუმლი მუხას, ვერ მოერია,
ვერ შევეგუე ამ შინაურ შურსა და ღალატს!
გიფარსადანეს! ძმამ გადაგკრა მწარედ
მათრახი,
მაგრამ გონება არ დაკარგე და დარჩი
ბრძენად,
ვერც პირფერობით, ვერც მახვილით,
ველარც მუქარით
ცელარ წაგართვეს ქართული ენა!
დგახარ ამაყი, ვით მზის ტაძარი,
დაარეკვინე მოყვასთა შენთა სხივთა
ზარები,
შემოიკრიბე ერთგულები, რომ დაგიკოცნონ
ნამიანი სველი თვალები,
შენი შვილები შველას ელიან, მამულო ჩემო,
ნუ გეშინია, გაშალე შენი ძლიერი ფრთები,
არცროს მოკვდები!უძლეველი ხარ,
უძლიერესი!
ვერ შეგიცვალა მტერმა იერი,
რომელი ერთი გაგიხსენო, მამულო ჩემო,
ქალები გინდა?–ქეთევანი! მეფე თამარი!
რწმენის კედელი, ურყევი ძალა! იყავ
სულდიდი,
იყავ თამამი და ამიტომაც ერევი ღალატს.
ვერ მოგეფერე საკადრისად, ვერ
გითხარი ჩემი სათქმელი:
მაცოცხლებელო, მაამებელო,
მიმტევებელო,
ლუკმის გამყოფო, შემფარვებელო,
თვალმარგალიტო,
აუწონავო განძო ურიცხვო, ფიქრთა
დამტევო,
ასე ზღაპრულო, ასე ნატრულო,
ცეცხლოვანო,
დალოცვილო, გაზაფხულის ვარდო
უჭკნობო,
ხან სემოდგომის ჩუმო სიყვითლევ,
სიზმარო მწარევ,
თანაც ტკბილო, ახდენილო და აუხდენელო,
დიდო სიმაღლევ, სულის წუხილო, მზის
ნათელო და
ხან ღამის ჩრდილო, შფოთვავ და
შვებავ, არმოსაწყენო
სიტყვავ და ქნარო,ვარსკვლავთ
ნათებავ, მარადისობავ,
უსასრულობავ, დღევ საოცრებავ, დღევ
სასწაულო,
ჩემო რწმენავ და ჩემო იმედო, აი, ვინა
ხარ, ჩემო მამულო!

### ჩვენ ვართ საქართველო!

ლაფში ამოსვრილა კაცის ღირსება,
ვიღაცას ვიღაცის იმედი უქრება,
შენ ხარ საქართველო, მე ვარ საქართველო,
ჩევენ ვართ საქართველო და ჩვენ გვაქვს
უფლება!..
წინაპრის ნათელი საფლავი ფლიდობით,
სიავით, სიმრუდით ურცხვად არ გათელო,
შენ ხარ საქართველო, მე ვარ საქართველო,
ჩვენ ვართ საქართველო!
ნაკლებად მაშინებს გარეშე მტრები,
მტრობა შინაურის უფროა ძნელი,
ღმერთი არ გაგიწყრეს მტრისკენ არასოდეს,
არასდროს აღმართო ლაჩრულად ხელი!
ცოტანი შემოვრჩით მშობლიურ
სამშობლოს,
გაფანტულები ვართ სხვადასხვა მხარესმ
ჩვენ ვართ საქართველო, ჩვენ ვართ
საქართველო,
მოშურნეს, გამყიდველს ნუ გავახარებთ.
წიფელმა ყლორტები უმალ ამოყარა,
დაჭრილი გულები ნდობით გავამრ-
თელოთ,
დიდი  თაყვანი და დიდი მოკრძალება,
ახალგაზრდობას–ახალ საქართველოს!
ერეკლეს,დავითის,თამარის გენია,
ასე რომ აენთო, ასე კახაბერობს,
ალგეთს ჯიშიანი ლეკვნი დაზრდილან და
ფეხზე წამოდექი ტურფა საქართველოვ!
ერთი ცის, ერთი მზის შვილები გვქვია და
ერთად გავიტანოთ ერთგულად ლელო,
ღვთისმშობლის წილნაყარ მშობლიურ
მიწას,
სიცოცხლით დავიცავთ, ჩენ ვართ
საქართველო!

### სამშობლო

სამშობლო ერთია, ერთადერთი,
ოდეს მოფარფატე არწივულად,
ტოტებაჩეხილი, სულთმბორგავი,
მოღალატეთაგან განწირულა!...
ნაგვირგვინალი და დანაწური
ვაზი ნაკუწ–ნაკუწ აჩეხილა,
ციხე შიგნიდან გატეხილა,
ახლა სევდას აჩენს, გმეხავს ხილვა...
ყველა სამართალი გათელილა,
მუმლი შესევია იმედს დღეთა,
ვალი წინაპართა დაგროვილა,
ჩემო ტანჯულო და, ჩემო ერთავ!
დამდუღრებულა ამოსაკვირტებლად,
ძალა დაუკარგავს ჯანსაღ ფესვებს,
ნაოხრ–ნაცუნამარ ველს მაგონებს
და ნირი შეცვლია ადათ–წესებს!...
ჰო, დაუშანთავთ შინაურ მტრებს
ოდეს მოქარგული მიწა–წყალი,
ზვინად აღმართულა სადარდელი,
ახლა დაბარბაცებს, როგორც მთვრალი..
არა, არ გველევა გასაჭირი,
თავზარდაცემული ზმუის ხარი,
აღარაფერია საიმედო,
აღარაფერია გასახარი1..
ისევ აჩხრიალებს იუდას ვერცხლს
ნიღაბაფარებულ კაცთა კასტა,
ამოუძირკვავი სარეველა,
როგორ მოსდებია, საზღვარს გაცდა!..
მტერი მაწყევარი ჩვენს ბედს ხლართავს,
ბედუკეთურობა ახალია?!..
მახრა შემოგვიჩნდა, მღრნელი მახრა,
როგორ შევეჩვიო  მახარია!
დანაშაულია გაჩუმება,
და–ძმის კაენობა ავის ნიშანია,
დაჰქრის შურთა ქარი გამძვინვარებული,
ნეტავ ჩანაფიქრი რა აქვს ამ შარიანს!..
ბევრჯერ ამღვრეულა მდინარენი,
ბევრჯერ გათელილა ბედის კალო,
მაგრამ არასოდეს დაცემულხარ,
ფეხზე წამოდექი ნატვრისთვალო!
ჩემი უმწეო და სუსტი მხრებით
მინდა გიყავარჯნო,, შეგეშველო,
ჩემო სამუდამო საბუდარო,
ჩემო სარდალო და ჩემო მცველო!
ახლა მობარბაცე საყრდენს ეძებ
და ეს საყრდენი ხომ ჩვენ ვართ შენთვის,
ჩემო ნაღვლიანო მოლაღურო,
როგორ, როგორ მესმის შენი
გულისფეთქვის!
მინდა მოგიშუშო იარები,
გათითოკაცებამ გული დაგისერა,
არა, უიღბლობა აღარ დამიჩემო,
შენი გაბრწყინების მართლა მჯერა!
მტერი აკაწკაწებს კბილებს სიმწრით,
ქურდულ ააპარებ მზერას მალვით,
თავზე შაბარდუხი თავს დაგჩხავის,
მაინც ვერ წაგართმევს ლუკმას ძალით!..
ახლა მობჟუტავე კანდელს ჰგავხარ,
ნელა იღვენთები,იწვი ნელა,
ვარსკვლავ–მორბედივით მოწყვეტილო,
ჩემო საწუხარო, ჩემო ყველავ!
ხელზე ბორკილები ვინ დაგადო,
ან ვინ დაგიწესა დღე საზარი,
ვაგლახ, სავალალო არ ილევა,
გამაყრუებელი რეკავს ზარი!..
ისევ იქართველებს საქართველო,
წყლულიც მოშუშდება ერთგულებით,
ვიცი, სამზეოდან მზე ამოვა,
არ ვარ უიმედო,სანამ მეგულები!
ასე ტოტებაჭრილს რომ გიყურებ,
შენით დატყვევებულს სევდა მძალავს,
შემთვის ამორძალი სუნთქვას შევიჩერებ,
ერთი ქართველისგან, თუ ეს კმარა!

### ჩემი ცის მადლის მჯერაო!..

*„ჩონგური საქართველოა,*
*სიმები ჩვენ ვართ ყველაო!“*
*აკაკი*

გულ–ღვიძლი მეწვის, მამულო,
თავს გვესხმის ტურა–მელაო,
ვისაც კი ხელეწიფება,
გვწეწავს და გვწეწავს ყველაო..
სიმღერა მსურს და ვერ ვმღერი,
რას გარგებს ჩემი მღერაო,
ბევრჯერ გულს ჩაგცეს ლახვარი,
ვერ წაგაქციეს ვერაო!
გამიუცხოვდა სამშობლო,
გულს მიწვავს სხვათა ცქერაო,
ჩემი მიწა–წყლის სურნელის,
ჩემი ცის მადლის მჯერაო!
მამულისათვის დაფერფლილს,
თავზე გესხმოდა ძერაო,
მაგრამ ვერავინ ჩაახშო
ერთგული გულის ძგერაო.
მა, შენი სულის ცხონებამ,
არვინ ჩანს შენი ხელაო,
ვით მზის ამოსვლა ლამაზი,
უკვდავ სახელით ელავო.
არ ვიცი რას შეგადარო,
როცა გიყურებ ვღელავო,
ღამეს მაგონებს მგოსანო,
სამშობლოს ბედისწერაო.
შენმა უკვდავმა სულიკომ
მსოფლიო აამღერაო,
მამულის სადიდებელი,
ქართველმა შეიფერაო.
ნაწამებ– ნაბორძიკალი
მტერმა ვერ გადაგვთელაო,
არ გვემღერება, ვმღერივართ,
,,ოდელა, დელა, დელაო“.
მშობელი  მიწა წაგვგლიჯეს,
დრო უღვთოდ გაიწელაო,
,,ჩონგური საქართველოა,
სიმები ჩვენ ვართ ყველაო1“
მარგალიტებად ასხმული
შენი სიტყვების მჯერაო,
სიმის გაწყვეტას ქართველნი
ვერ შევეგუეთ ვერაო.
სამშობლოს საგანძური ხარ,
მამულის მთების ხელაო,
გამთლიანდება სიმები,
ერთად ვიქნებით ყველაო.
...სწორედ შენებრმა შვილებმა
ანათეს არე–მარეო,
,,ცა ფირუზ, ხმელეთ ზურმუხტო,
ჩემო სამშობლო მხარეო!“

### სამშობლო

მნგრეველი ხო ბევრი გყავდა,
სამშობლოვ ტანჯულო, წვა ხარ,
შენ ერთი ხარ, ერთადერთი,
სხვას არაფრით არა ჰგავხარ!
ტან–ლერწამი, თვალ–ალმასი,
დაფლეთილი,  სულით მტკიცე,
ბევრი უგულოდ მოგექცა,
მაგრამ წამოდექი ისევ.
აღარ შეგაშინა გრგვინვამ,
დე, გქონოდეს ჯანი მრთელი,
საქართველოვ, შემეყაროს
ყველა სატკივარი შენი!

## გური ოტობაიას

# ეპიკური პოემა „ოდოია“

მართალია, გური ოტობაიასთან სატელეფონო საუბრების მიხედვით ვიცოდი, რომ ის დიდი ხანია ეპიკურ პოემაზე მუშაობდა, მაგრამ ვერაფრით წარმოვიდგენდი, ამხელა მოცულობისა და სიღრმის ნაწარმოების გასრულებას თუ ვინმე მოახერხებდა დღევანდელ საქართველოში. ეპოსმა ხომ თითქოს ამოწურა თავისი თავი და ადგილი დაუთმო ე. წ. ლირიკულს.

ჰენრი ლონგფელოს (1807-1882) „სიმღერა ჰაიავათაზე“ (ინლისურიდან თარგმნა ოთარ ჭილაძემ) ეპოსის ბილო აკორდების ნათელი გამოხატულებაა. ცნობილმა ამერიკელმა პოეტმა ინდიელთა ტომების ლეგენდები ერთ ციკლად შეკრა და მთავარი გმირის, ჰაიავათას გარშემო გააერთიანა. მასში განსაკუთრებით მბეჭდავადაა გადმოცემული კაცობრიობის ისტორია, ადამიანის უმაღლესი ზნეობრივი ფასეულობები: კაცთმოყვარეობა, სიკეთე და მეგობრობა. თუმცა ლონგფელო მაინც მეცხრამერტე საუკუნეა, როცა ეპოსი ჩვემშიც ამაღლებულ პოეტურ ძეგლებს ქმნიდა: აკაკის „გამზრდელი“, ვაჟას: „სტუმარ-მასპინძელი“, „ალუდა ქეთელაური“, „გველისმჭამელი“. ეპოსმა უკანასკნელად მეოცე საუკუნეში მოიქნია წვალებით კუდი და სამუდამოდ მიჩუმდა თითქოს. ესენია: გალაკტიონის მონუმენტური „მშვიდობის წიგნი“, ოთარ ჭელიძის „ჩემი მაგნიტური არე“ (1969), შოთა ნიშნიანიძის „აქილევსის ქუსლი და ფარი“ (1971), თუმცა, როგორც მოსალოდნელი იყო, ისინი ვერ შეწვდნენ ტრადიციულ სიმაღლეებს. მალე ეპიკურმა ლექსმა ინტონაცია შეიცვალა: ოთარ ჭილაძის: „თიხის სამი ფირფიტა“, „ადამიანი გაზეთის სვეტში“, „სინათლის წელინადი“, ტარიელ ჭანტურიას „ორი ნაპირი“, ბესიკ ხარანაულის „ხეიბარი თოჯინა“, ლია სტურუას „წრეში“. აქ პოეტურ ტილოებში განწყობილებასთან ერთად შეცვლილია პოეტური ინვენტარი, ისინი უმეტესწილად ვერლიბრით, თეთრი ლექსით გადმოსცემენ სათქმელს.

ამ დროს გური ოტობაია ჯოუტად რუსთაველის შაირისა და 14-მარცვლიანი ბესიკურის ნაცად გზას. დისტანციურად უყურებს ელიოტის „უნაყოფო მიწას“, ეზრა პაუნდის „პიზის კანტოებს“, ქმნის კლასიკურ ეპიკურ სხეებს და სივრცეებს, სადაც სამერთიან დროში, კონტინუუმში განიხილება კაცი — სახელმწიფოს, კაცი — საზოგადოების, კაცი — სამყაროსმონოლითური მეობა.

ბოლო დროს ჩემი კოლეგა კრიტიკოსები უფრო თხზულების შინაარსის გადმოცემით გადიან ფონს, მაგრამ ესთეტიკის მეტრებს თუ დავაკვირდებით —არისტოტელეს, ჰეგელს, ისინი კალმის ერთი მოსმით გაგვაცნობენ ხოლმე თხზულების ფაბულას და უფრო მეტ დროს უთმობენ ნაწარმოების უმთავრეს ტენდენციებს, რისთვისაც იგი შექმნილა.

ტროას აღწლიანი ომის მერვე წელს ილიონის ქალაქ-სახელმწიფოში კოლხეთიდან ჩადის დაახლოებით 200 მჭედელი ჰალიძონი / ხალიბი აიეტ-მეფის შვილიშვილი ოდის წინამძღოლობით და რადგანაც ტროა ალყაშია მოქცეული, საბრძოლო იარაღი მათ ადგილზე უნდა გამოჭედონ.

ტროას მეცხრე წელიწადს შემოეკედლება ქურუმ ქრისეს ქალიშვილი ქრისეიდა. იგი აგამემნონის ტყვეა, მხევალი წლების განმავლობაში. გამოსასიდით მისულ ქალიშვილს არ აძლევს მამას და ამის ნიადაგზე წაეკიდებიან კიდეფ ერთმანეთს აგამემნონი და აქილევსი.

ქურიმი ქალი ქრისეიდა ოდის სატრფო ხდება. ომის კანონები აღარ დაეძებს უცხოს თუ შუნაურს, აღარ დაეძებს მჭედელა თუ გუთნისდედას და მალე საომარ ველზე გასული ოდიც აგამემნონის ნასროლო ჰიროლით (შუბი) განიგმირება (სასიკვდილოდ დაიჭრება).

ჰალიძონების 100 რჩეული ვაჟკაცი დაქცევის პირას მისული ტროიდან საიდუმლო გვირაბით გახიზნავს კოლხეთის სულთმობრძავ უფლისწულს. ისინი რის ვაი-ვაგლახით ჩააღწევენ ეგვიპტის მზის ქალაქ ონში — ჰელიოპოლისში, ოდის აიეტ-ბაბუის ძმასთან, აქციუსთან. ჰელიოპოლისის მკურნალები სასიკვდილოდ დაჭრილ ოდის მოარჩენენ და მალე ფარაონ რამზეს მეორის სიძე ხდება. ფარაონი გემებს მისცემენ ოდის აიეტის დასამარცხებლად. მაგრამ გზაში ამხანაგები აუმხედრდებიან და ოდი კოლხეთის მაგივრად სკანდინავიაში ანოჰყოფს თავს. იგი აქაც ჯეროვნად განისწავლება სკანდინავიელ ქურუმებისგან — დრუიდებთან. შემდგომ გემი ნოათუნიოთ მთელს ოკეანეთს მოივლიან და წლების შემდეგ ჩადის სამშობლოში, რომელიც გაპარტახებულ-გაოხრებულია.

აიეტ-მეფე და დედამისი სათანეი გვაშა ოდის ორეული კას მიერ კოლხეთის დალაშქვრას ზეზეურად შეწირვიან. ოდი ხვდება, რომ ბოროტების სათავე ბაბუის ნახევარძმა აქციუსია, დაავლებს ხელს ჰელიოპოლისის ბენ-ბენს და აიეტის ძვლებთან ერთად სფინქსის ნაგებობას მიადგებს. იქ, სასაკლაოში აქციუსი ქვიშისგან იხრჩობა, ოდი კი რაღაც სასწაულებრივად გადარჩება და კვლავ კოლხეთს მოაშურებს, რათა ახლა ჭარმაგობაში მაინც აისრულოს ბავშვობის წლებში აუხდენელი ოცნება — ხვამლის უკვდავების ტბის მონახულება. იდის უმთავრესი მიზანი ხომ ბერძნების მიერ დანაკუწებული მამა აფსაროსის მკვდრეთით აღდგენაა. მხოლოდ ამ პირობის შესრულების შემდეგ მიეცემა მას შანსი მარადიულ უკვდავებას ეზიარეოს.

პოემის მთავარი წარმართველი ძალა გახლავთ ნაწარმოების გმირი ოდი. მან იცის რომ კოლხეთის სამეფო კარის მოურჩენელი ზადი ინცესტური წარმომავლობაა: შეურაცხადი ბიძა ალოვი, წინდაუხედავი და მიამიტი, გულფიცხი მამამისი აფაროსი, ეთქებადი მამიდები — მედეა და ქალკიოპე სისხლის აღრევით გაჩენილან: აიეტს ცოლად ესვა — ძმიშვილი ჰეკატე. ამ ქორწინების ჩაშლის მცდელობას ემსხვერპლა აიეტის ნახევარძმა აქციუსი, რომელსაც ჰეკატ-ეს ბრძანებით ქურუმები დასაჭირისებენ. ის ღვთიური ძალის შემწეობით ეგვიპტეში ჩააღწევს. აარსებს ჰელიოპოლისს, მზის სათაყვანებელ ქალაქ ონს და მისი ბენ-ბენი, მთავარი ქურუმი ხდება.

ოდის ძირითადი საზრუნავი ამ ინცესტის გვერდითი მოვლენების განეიტრალებაა, რომელიც გადაულახავ ბედისწერასავით დაჰყვება თითოეულს ფეხდაფეხ — მამამისი პირველსავე ხმობაზე მარტოდმარტო ავა არგონავტების გემზე, ენდობა ცბიერი მტრის სიტყვას და დაანაკუწებულს ზღვაში ჩაყრიან თევზების გასაძიძგნად. ოდის დაუმარხავი მამის გაპატიოსნება სწადია, თუმცა რანაირად გინდა შეამთლიანო წლების წინათ დანაკუწებული სხეული?! არადა, ამის მიუღწევლად ვერაფრით ეღირსება ოდი უკვდავებას. ეს ლაიტმოტივი წოთელი ზოლივბით გასდევს მთელ ნაწაროებს.

ერთი შეხედვით, თითქოს ისტორიულ, ეთნოგრაფიულ პოემასთან გვაქვს საქმე და ამავდროულად იგი განთავისუფლებულია დრიოს ლოკალური არტახებისგან.

არისტოტელე მიუთითებდა ნაწარმოებში ადგილის, დროის და მოქმედების ერთიანობის აუცილებლობას. ეს უმთავრესი მაჩვენებელი პოემა „ოდოიაში“ თავისებურადაა დაცული, ოღონდ აქ დრო, სივრცე და მოქმედება ერთ ადამიანშია განივთებული, მთავარ გმირში, უფლისეწულ ოდში. „ცნობიერების ნაკადის“ უკვე განცდილ-გარდახდილის რესტავრაციის ხერხით და ხვამლის უკვდავების ტბასთან მომავლის სურათების გამოცხადებებით გამოიძერწება ნაწარმოების სამერთიანი დრო, რომელიც მოიცავს თანად სივრცესაც და უწყვეტ მოქმედებასაც. ამ კუთხით მეტად ორიგინალურია პოემა „ოდოია“. მან ქართულ და ამავდროულად მსოფლიო ბელეტრისტიკაში შეავსო პლანეტარული ცივილიზაციის ბიოგრაფიის ამსახველი ნაწარმოების პრობლემა. ამასთან იგი მთელ კაცობრიულ ცივილიზაციებს განანათლებს ქართული ფასეულობებით, რიმელსაც პროგრესისკენ მიჰყავს ჩვენი პლანეტარული ძალისხმევა.

ნაწარმიების მთავარი გმირი, აიეტ-მეფის შვილიშვილი ოდია (ოდი — ღმერთი ძველკოლხურად), რომელიც აფსაროსს ნართების ასშვილიან ქალისგან ,სათანეი გვაშასგან შესძენია. სამეფო კარს მათი გაგონებაც კი არ უნდა, მაგრამ არგონავტების ხელით უფლისწული აფსაროსი რომ აღესრულება, აი, მაშინ გაახსენდებათ უკანონოდ გაჩენილი შვილიშვილი, წაართმევენ დედას და სასახლეში მოჰგვრიან კოლხეთის მგლოვიარე მეფეს. ბაბუა და შვილიშვილის მერნინდელ დიალოგში თვალნათლი იშიფრება კოლხებისა და ნართებს შორის კოლოსალური განსხვავება. კოლხებმა გამოადნეს ქვიშიგან რკინა, მიაღწიეს ქიმიის მეშვეობით ოქროსა და ვერცხლის მოპოვებას. ამდენად ისინი საგრძნობლად დაწინაურებულან დროსა და სივრცეში, თუმცა ამ დაწინაურებას მსხვერპლად შეწირვია მამაპაპური ზნეობანი, ოქროს და რკინის მოპოვების ცოდნამ მოიტანა საყოველთაო გაუტანლობა და შური, ღალატი და განზე მაცქერლობა, ჯანდაბა და დოზანა, როცა ნათების თემი ჩარჩენილია ტრადიციულ ყოფიერებაში, მესაქონლეობას და მინათმოქმედებას მისდევენ, ალალი ოფლით ირჩენენ თავს, და შესაბამისად მათი ოჯახებიც და ადამიანებს შორის ურთიერთობანიც ანკარაა, წარუყვნელი, სუფთა.

გური ოტობაას პოემას, მართალია, მთხრობელი ერთი ჰყავს — უფლისწილი ოდი, იგივე ოდიოსი და ოდინი, მის ხასიათში გაერთიანებულია სამი პლასტი: კოლხური, ბერძნული და სკანდინავიური, და მაინც სათანეი დედისგან იგი სახელდებულია ოდოიად. ასევე მიმართავს ოდის რამდენიმეგზის უზენაესი ხმა; ასე უმღერიან ჰალიძონები თავიანთ წინამძღოლს, მის სადიდებლად შექმნილ „ოდოიათი“. თუმცა ტერმინი „ოდოია“ ნაწარმოების მიხევით სულაც არ შეიცავს რაიმე ამაღლებულ შტრიხებს. პირიქით, ოდოია ღვთაებრივი ოდის კინონბითი ფორმაა, რომელიც გაუთლელს, მოუხეშავს, ფლეგმატიკურს შეესატყვისება. ოდი, დიახაც, გოლიათური აგებულებისა ჯერ კიდევ ჰომეროსის ინფორმაციით, იგი უშველებელი სხეულით გამოირჩევა როგორც კოლხებში, ისე ბერძნებში. ძალზე ზანტია, გვიან აღიქვამს მოვლენებს ფიცხი აფსაროსისგან განსხვავებით. მასში ძალზე მცირე დოზითაა მოცემული პატროფილური მუხტი, რაღაც ნაპერწკლის ოდენობით. იგი კოსმოპოლიტიკური მსოფლმხედველობის პიროვნებაა — არ დაეძებს ადამიანებს შორის ეთნიკურ განსხვავებულობებს; ის არ განარჩევს ადამიანებს ფერის და სოციალური მდგომარეობის მიხედვით, და მაინც მამულიშვილობის ნაპერწკალი არ ისვენებს მის ნედლ სხეულში. თანდათან ღვივდება იგი და ბოლოს იქამდე აღიგზნება მასში სამშობლოს ცნება, რომ ხვამლის ტბის უკვდავების ბალახით ხელმეორედ სულჩადგომილი, ხელის ერთი მოსმით მიატოვებს მორჭმულ მდგომარეოვბას, და გაპარტახებულ, იავარქნილ სამშობლოს მოაშურებს, რათა მისი და მისთანების შინაგანად გაჩანაგებული მამული ფეხზე წამოაყენოს, გახადოს ძველებურად პურდიდი და სულდიდი.

„ოდოიაში“ წამყვანი გამთამაშებელი ხარანაულისებურად თავად ოდია, ოდის გონება, ოდის „ცნობიერების ნაკადი“. მაგრამ ჩვენ წუთითაც არ უნდა დაგვავიწყდეს ერთი არსებითი პოსტულატიც, რომ ოდის მეობის განმსაზვრელი მამოძრავებელი მუხტი აიეტ-მეფის დაკვალიანება ან მისი ნახევარძმა — აქციუსთან განსწავლა კი არა, კაცობრიობის სინდის-ნამუსის სიმბოლოს, ხვამლის კლდეზე ნიჯაჭვული არამხუტუს მეობაა. არამხუტუს პრომეთესეული მითოლოგიური გაგება ქართულ ფოლკლორში არც კი იძებნება. იგი მეგრულ ხალხურ პოეზიაში გვხვდება გილიათური აგებულებთ, რომელიც ქვასავით შეუძლის უშველებელი ლოდების გატყორცნა, მაგრამ გური ოტობაიას ახალი პრომეთე სჭირდება, და ამ უხეშ ძალას ახალი სული შთაბერა, მასში განასახიერა პლანეტარული ცივილიზაციის ლოცმანი, ზევს ღვთაებრივ ვცეცხლს რომ მოსტაცებს ოლიმპოს მთიდან და მისმიერვე შექმნილ ადამიანებს უწილადებს ოჯახური ბედნიერების მოსაპოვებლად.

ამ ღვთიურული ცეცხლის მეშვეობით მოახერხებენ ხალიბები ქვიშის მაგნიტიტისგან რკინის გამოდნიბას, ოქროსა და ვერცხლის მომრავლებას, და დროთა მსვლელობაში მიაღწევერ კიდეც სრულ სულიერ პარტახს, გაუცხოვებას, არადა, განწმენდის, კათარზისის გზა არ ჩანს. მხოლოდ არამხუტუმ, იგივე პრომეთემ და ამირანმა ქართული მითოლოგიიდან, იგივე ჩეჩენ-ინგუშების ფჰარმათმა და ყაბარდოელების ნასრენ ჟაკენ, იგივეს სიმხების მჰერმა და ალბანების ალბანმა, ანუ სრულიად კავკასიის პრომეთეები ტროაში შეყარა ავტორმა რაოდენობრივად ათჯერ აღმატებული ბერძნების საპირწინედ.

პრომეთემ იცის ზევსის აღსასრულის საიდიმლო: თუკი ნიმფა თეტისას ღმერთი შეეწყვილება, მათი ურთიერთობისგან გაჩენილი ღვთაება ჩამოაგდებს კიდეც კრონიდს ტახტიდან. თუმცა საკმარისია თეტისას მოკვდავი დაეუფლოს, რომ ამ ურთიერთობას კი მოჰყვება გმირთაგმირი, მაგრამ არა ზევსის სამეფო ტახტის მოცილე.

ამას გაუცხადებს მონიბის სამარცხვინო ჯაჭვისგან ამხსნელ ჰერაკლეს არამხუტუ. თუმცა რა ერგება სანაცვლოდ? უფრო მეტი ტანჯვა-წამება კოლხეთიდან ოქროს ვერძის გამტაცებელი ბერძნებისგან. ამ ვერძის ტყავზე, დიახაც, არამხუტუს მიერაა გადატანილი ყველა საკრალური წეს-კანონი, საიდუმლო და მოსთხოვენ მის წაკითხვას. ოქროს საწმისი ვერ გაუშიფრავს გულთნისან მედეას, ვერც ჰელიოპოლისის ბენ-ბენ აქცუიუსს და ვეღარც მსოფლიო ქურუმ-მოგვობას. მაგრამ არ გასცემს ამ საიდუმლოს არამხუტუ, თუმცა ახალ-ახალი ტანჯვა უმრავლდება ქალკიდეა- და ფრიქსეს შვილებისგან.

არამხუტუს სისხლით იხატება ლაბირინთის კედლებზე ის ფორმულა-კრიპტოგრამები. და ასე, ტანჯვა-წამებაში ამოხდება სული კაცობრიობის უწინარეს ტიტანს. ეს უმთავსერი საიდულო კი ოქროს დაბრტყელებაა, ოქროს მონეტად მოჭრა. ერთ კოლოგრამ რკინას ათი კილოგრამი ოქროს ყიდვა შეუძლია, და ათასი საპალნე ხორაგ-სანოვაგესი, მაგრამ დაბრტყელებულ ოქრის მონეტს უკვე თავისუფლად შეეძლება მთელი კაცობრიული სულის ყიდვა. და აი, ამას არ გაამხელს არამხუტუ, აი, რის გამო უძლებს აუტანელ წამებას მისი გმირული სული.

ოდის თაობელების წინაშე მიყოლებით იხატებიან მაკედონელები და კეისრები, ჩინგიზ ხანები და ჯალალედინები, ბონაპარტეები და ჰიტლერები, ხელისგულზეა დალაგებული მათ მიერ გაჩაღებული ბარბაროსული დამანგრეველი ომიები, ჰიროსომა და ნაგასაკი, დახაუ და ოსვენციმები. ამ თანაგუნდელების წინაშე ჰყვება ოდი მათთვის უხილავი პერსონაჟებისგან გადმოცენულ ამბებს, აქ განსაკუთრებით გამოკვეთილია ლაზარე-ზვიად გამსახურდის ხატი, რომელიც თავისი არსით სქართველის მეტაფორაა დროსა და სივრცეში.

აღარაფერი რჩება მოუხილველი ოდი-ოდოიას სულს. ყველა სფეროს და გრძედ-განედს გადამწვდარა იგი: კაციჭამია ველურებისთვის ზნეობრივი ნორნები უქადაგია, როგორც მგლის თავზე სახარება. მსხვერპლთათვის გულისამომცლელი ქურუმები თავად დაუწვენია ქვა-ტახტზე გულების ამოსაცლელად.

უხილავს ხელოვნურად დალაი ლამების შექმნა ბიჭუნებისგან დანით გადასერილ შუბლში მცენარის ნაყენს რომ უტენიან მესამე თვალის ასახელად. ასეთი თვალი ერთადერთ არამხუტს გააჩნია მიწისქეშეთში და კიდევ სიჭარმაგეში დაბრმავებულ ოდის მიენიჭება სიცოცხლის მიწურულს.

თავად ეს პროცედურა კი შემდეგნაირად წარიმართება. სულდგმული ოდი ვერაფრით ახერხებს ხვამლის ტბის ფსკერში ჩაღწევას, სადაც უკვდაბის ბალახი ხარობს და რომლისაგან უნდა გადაეცეს მარადიული სასიცოცხლო ენერგია ოდის. აქ ჩინებულადაა გათამაშებული სკანდინავიური „უფროსი ედას“ პასაჟი, რომლის მიხედვით ოდინს კლავს მგელი ფერნირი. ეს მომენტია ჩაქსოვილი დასახელებულ პასაჟში,. ავტორი გასაოცარ ვირტუალობას ავლენ გეოთესებურად არსებული ფაქტებით ახალი რეალობის შესაქმნელად. სკანდინავური მითოლოგიის დედალ მგელს შეეწყვილება ხვამლის გამოქვაბულში ოდის თამნხლები არამხუტუს ხვადი ქორძო. მათი ნაშიერიდან ერთ-ერთ ლეკვს ამოარჩევს და აი, ფიქრებისა და ხილვების პრიცესში გახირულ ოდის ყელის სლექას დაჩვეული ლეკვი გაჰკრავს კბილს საძილე არტერიაზე. სისხლდადენილი ოდის გობნება ებინდება, ტბის ფსკერში ჩაქანდება. მისი მშველელი არავინაა. მეგობრები, უკვდავებას რომ მეზიარნენ, უკლებლივ გაიკრეფილან თავიანთი ქვეყნების საშველად, რადგანაც მიხვდებიან უკვდავება სამშობლოს გარეშე არ არსებობს. ოდის შველა აღარ ძალუძს ტბის ნაპირას დარჩენილ სახედარს, მამალს, ქორძოს, თუ ყორნებს — მუნინს და ჰუგინეს. ეს უკანასკნელინიც სკანდინავიური მითოსიდან გადმოსახლებულან ოდის პოემაში. ისინი ოდის მარადიული მხებლები არიან ყველგან და ყოველთვის. სხვათა შირის კაცობრიობისგან შერისხული ეს ყორნები, შორეეული წლებიდან მოჰყვებიან ადამიანთა ნაშიერს, ჯერ კიდევ არამხუტუს / პრომეთეს მიერ ოლიმპოდან ღვთიური ცეცხლის მოტაცების პერიოდიდან. აი, იქიდან მოყოლებულ სულ ოდისთან ტრიალებენ, მიწისქვეშეთი ჰადესია იგი, სამსხვერპლო სფინქსი და ლაბირინთი თუ აგანგის გაშლილი წყლები, სადაც ოდი ქელეურით — ძველკოლხური ხელამართული ცურვით მიუყვება მის ტალღებს და ნაპირზე გაღწეულს ღმერთკაცად შერაცხავენ ეგრევე არიელების მრევლი.

ამ პოემაში დიდი ოსტატობით, ვიტყოდი, იუველურადაა ერთმანეთში შეეწნულ-შედუღაბებული კაცობრიული ცოდნა, პლანეტარული მითოლოგია და საზრისი, კოლხურ, კავკასიარ ფასეულობებს.

საილუსტრაციოდ, მოზრდილ მონაკვეთს მოვიშველიებთ ერთიანი კავკასიის საჩვენებლად:

„ოდი უყურებს: აფხაზები წველიან ფურებს,
რძით სავსე გობთან ბუზანკალის რიგია მსმური,
დასაბეჭავებს აღულები ყველით ბეჭავენ,
ოსნი ეროთი ფუტკრებისთვის გეჯებს გეჯავენ,
აკაციებში განაყარი ფუტკარი ჩეჩენს
კაკუნით მიჰყავს და იმ ტოტებს არარა შერჩეს,
აჰა, ბჟედუხებს ფერდზე გეჯა ჩამწკრივებია,
ამოაქვთ ფიჭა და თაფლუჭით გაბრწყინდებიან.
აქეთ თექავენ ინგუშები ქათქათა ნაბდებს
და შუაკაცებს ნისლებივით ფიქრები ადევთ,
2038
ხედავს: მირბიან ყაბარდოში ყაბარდოულნი,
რაშები თეთრი და შავები შუბლდათოული,
ჩერქეზ გმირებზე ლეგენდები დაარიკობენ,
მათრახის ქნევით თეთრ ნაბდებზე თოხარიკობენ,
ლეზგის მრჩევლები დასხდებიან ნიხასში ბჭობად,
უდეს ასული სატრფოს დეზზე ლურსმნად ერჭობა
და ქროლებაში წითელ ღვინოს სვამენ კულადან,
უპყრიათ თვალნი სიყვარულით მოსარკულადა,
ლეკის ბავშვები ჭადრის ტოტზე ჩამოსხდებიან,
იმათ თვალებით ბრძენკაცები სოფელს წვდებიან,

გური ოტობაიას სასიქადულოდ უნდა ითქვას, რომ 10 1000 სტრიქონიანი პოემა ჯერ ბწკარედულად თარგმნა სრულიად საქართველოსთვის. მერე ესეც არ იკმარა, რითმით გაანყო, გასაოცარი პოეტური აღმაფრენით შექმნა ახალი მონოლოთური სივრცე, როგორც მშვიდობისა და კაცობრიული ამაღლებულობის სიმბოლო.

მან ამ პოემით ფაქტობრივად მოგვცა პროტოიბერიული სულის თვალუწვდენელი ბიოგრაფია, რომელიც ლოცმანივით წინ მიუძღვის კაცობრიულ ცივილიზაციას, რომლის მთავარი მაჩვენებელი ალტრუიზმია, სხვისთვის თავდადება, სხვისთვის სულის გაღება (ზ. გამსახურდია, რ. ჩხეიძე) და არა კაცთაკვლა, არა შური და მტრობა, არა ჯანდაბა და დოზანა.

**სოსო სიგუა**



## აკაკი ბიძინაშვილი

### წმინდანი

სამშობლო - მშობლის მკერდია,
დედის რძით არის მდიდარი.
ღმერთივით მუდამ ერთია,
ღმერთივით მუდამ წმინდანი!

თან დაგდევს, წახვალ საითაც,
ივსები მისი ღირსებით,
სხვა წყალს ალბათ ვერ აიტან,
ვერც ჰაერს შეეთვისები!

სამშობლო შენს სულს იტოვებს,
სხეული დადის სხვა მხარეს...
თავს დასტრიალებს მინდორ-ველს,
მისი მშვენება გახარებს!

აუღებელი ციხეა,
გადაუვლელი აღმართი,
ბედნიერების ის ხეა,
რომ ხარობს შენი აღმასვლით.

სამშობლო - მშობლის მკერდია,
არის დედის რძით მდიდარი,
ღმერთივით ერთადერთია,
ღმერთივით მუდამ წმინდანი!

### უნდა გერქვას...

მტერი ხშირად გაწუხებს,
მეორდება ეს წლობით.
გკუწავენ - ვერ დაგკუწეს,
გაწყობენ - ვერ ეწყობი.

გტანჯავს ხშირად იარა,
ბოროტების მომგონთა,
საქართველო, კი არა,
უნდა გერქვას: გოლგოთა!

### იქნებ იპოვო

სადამდე უნდა მიაღწიოს ადამიანმა,
მისმა გენიამ, მთვარეზეც კი გადაიარა.
ოკეანეებს გაუსინჯა მაჯა და ფსკერი,
ვარსკვლავებისკენ გაიშვირა ამაყად ხელი.
წყლისა და მიწის საიდუმლო თითქმის
გაიგო,
ცაში აიჭრა, ხელთუქმნელი ძეგლი აიგო...
დინოზავრები გადარეკა სათაფლიაზე,
სამყაროს იქით შეაჩერა თვალი იაზე...
ლხინშიც იყო და მტრის დახვედრით
გული იჯერა,
ზეზვას და მზიას გარდასული ჟამი გვიჩვენა.
ეყოფა, ნეტავ, იმ საქმისთვის ჭკუა საჭირო,
რომ მან წამალი უკვდავების აღმოაჩინოს?!
შეძლებს თბილისში დააბრუნოს წმინდა
სულები,
მეტეხის ხიდთან დაცემული წამებულების?!
მტკვრის ტალღებს აჰყვეს და ბრძენ
ქართლოსს გაესაუბროს,
სვეტიცხოველში დაამატოს მადლი
საუფლო?!
ხევსურთა ფიცი ჩაუნერგოს ყველა
არაგველს
და მოღალატე ყორღანაშვილს
მტრისკენ არ გაჰყვეს.
ცხრა შვილის დედას გაუმრავლოს
შვილები კიდევ,
ქეთევანის და წმინდა ნინოს შარას რომ
მისდევს.
იქნებ თამარმა იქორწინოს კვლავ
დიდუბეში,
რათა არასდროს არ დაგვაკლდეს
უფლის ნუგეში.
ვახტანგის მადლით წინ წარმართთა
გზებით ვიაროთ,
რომ აჩეხილი საქართველო
გავამთლიანოთ.
აღარ დასჭირდეს მოძმის ძებნა მეფე
ირაკლის,
ამერ-იმერში თვით ააგოს კოშკი
მინანქრის...
ზეციდან მშვიდად დაგვიბრუნდეს
ნატო ვაჩნაძე,
სარაჯიშვილმა წაიმღეროს ვარდის
გაშლაზე.
გალაკტიონმა გადმოფრენა გადაიფიქროს,
ის გველეშაპი ჩამოგვცილდეს მზის
შუქს ვინც გვიქრობს.
ვაჟა-ფშაველა მოაბრუნოს მთის წყლის
დალევამ,
მამული ჩვენი ასახელონ შოთასთანებმა.
კიდევ იპოვნოს ფარნავაზმა განძი ულევი,
ისევ გაცოცხლდნენ სამშობლოსთვის
დაცემულები.
სიმღერის ტალღამ გადაფაროს მთელი
კოლხეთი,
მზეს არასოდეს მოერიდოს ჩვენსკენ
მოხედვის!

### დაბრუნდით, უკან!

დაბრუნდით, უკან! მთები გეძახით!
გიხმობთ ცხვრის ფარა, სახლი ვენახი!

ამომავალი იქ თქვენი მზეა,
ნუ მიატოვებთ ქსანსა და ლიახვს;

მის ჯვარცმას მხოლოდ სიზმარში ხედავთ,
თვალთაგან ცრემლი როგორ სდის ქედანს;

„ცხრა წყარო“ როგორ ცხარედა ტირის,
რა ხმითა გლოვობს ლერწამის სტვირი;

მაცხოვრის ზარი აღარა რეკავს,
გადაუვლია ტაძარზე ეკალს;

გაქრა ყვავილის ნაფეხურები,
თვალჩალეწილი ყრია ურმები;

ჟანგმა შეჭამა: ცელი და ბარი,
ძროხის ლოდინში ხბო აღარ ბღავის;

შარა-გზა მეწყერს ჩაულეწია,
მადლით აღსავსე მიწა ბერწია;

არსად ქორწილი, არსად ძეობა,
თქვენს ხმას მოითხოვს ქსანის ხეობა.

გზააბნეული „როკის გვირაბით“,
სულს ვერ იბრუნებს მთებში ლიახვი;
ფრდებდალეწილი ყივის არწივი,
ქორი და სვავი მის ხმას დასცინის;

შემოცლილი აქვთ ჩიტებს ბუმბული,
სანატრელია სტვენა ბულბულის;

სიმშვიდეს ტანკის ხმაური სწამლის,
აღარ ამოდის ბუხრიდან კვამლი;

თეოზე ძაღლი აღარა ჰყეფავს,
ავტომატის ხმა ჰაერსა კეპავს;

შავი ღრუბელი ღრუბელს მისტირის,
სოფელში აღარ ბრუნავს წისქვილი;

აკვნები ბავშვებს აღარ ელიან,
სეტყვა მატულობს, ქრება კერია;

სასაფლაოზე ცივი ქვა ტირის,
შხამად ქცეულა მომხდურის ტვინი;

მართულხლართებზე ჭრელი წყეული,
უშიშრად არის თავაწეული;

გიხმობთ: ცხვრის ფარა, სახლი, ვენახი,
დაბრუნდით, უკან! მთები გეძახით!

### და მაშინ

და მაშინ, როცა მე უკვე
ცივ სამარეში ვიქნები.
წირვას აღავლენს მეუფე,
შანდალზე სანთლის მიმკვრელი...

ვეღარ გავივლი ლამაზად,
მთებს დააკლდება სითეთრე,
მკაცრი ზამთარი გავა და,
მწვანე ფერები იფეთქებს.

ცივი საფლავის კორდიდან
მეტს აღარაფერს გავალებ -
მონახე ჩემი ლოდი და,
ცხარე ცრემლებით დანამე.

### ასე მგონია

ქართულ ყვავილებს შევიცნობ მუდამ,
სავსე არიან მადლის მშვენებით.
ისინი, მართლაც ახლოა გულთან
და სხვაზე მეტად მათ ვეფერები.

ასე მგონია, ცოცხლობენ შენში,
მათ ხშირად შენგან ვერცკი ვანსხვავებ.
სავსე არიან შენეულ ეშხით
და შენნაირად ჰგვანან ვარსკვლავებს!

### აღარც მიწა...

აღარც მიწა, აღარც ზეცა,
მხურვალე მზით ნაშუქი,
შუშასავით დაილეწა
წინაპართა ფარ-შუბი.
ვაგლახ, როგორ აირია
ჯიში ქართლოსიანთა...
ჩვენი აღარც ჰაერია,
არც ზღვა, აღარც მყინვართა.
ყველა ისე შეიცვალა,
ვერვინ უგებს ერთმანეთს,
ღრუბლად იქცა ჩვენი ცა და
ძმები ძმებსა გესლავენ.
ასე არის, რასაც ვხედავთ,
მისული ვართ იქამდის,
მტერი ისე გათავხედდა,
მთლად გაქრობას გვიქადის.
კოლხეთიც და იბერიაც
ინდოევროპულია,
მსახურებად მიგველიან,
სატყუარა ფულია.
ქალს ქალობა არ ეტყობა,
ქალებს სცვლიან კაცები,
აფრიალებს დროშას მტრობა,
მოწმენი ვართ დაცემის.
გორგასალო, წამოდექი,
გადიარე ზეკარი,
აგვაცილე სულში ბზარი,
ისევ ერთად შეგვკარი,
რომ დიდგორში ძმა ძმას ენდოს,
ზეიმობდეს ქართველი,
მის სხეულში ისევ ენთოს
პატრიოტის სანთელი!

### არის ნათელი

ასე ურწმუნო ნეტავ რადა ვარ
ან იმედს რატომ ვკარგავ?
ხელიდან ხელში რომ არ გადავა
ეს წიგნი, ვიცი კარგად.
მაგრამ ისიც ხომ არის ნათელი,
არ შეგაწუხებთ ომით,
ენთება მშვიდად, როგორც სანთელი
ან შავ მიწაში ბროლი.
ზოგი სტრიქონი თქვენს სათქმელს
ამბობს,
თქვენს ნაცვლად იქნევს ცელსაც...
სატრფოს მიანდობს თქვენს წმინდა
ამბორს,
თან უწილადებს ცრემლსაც.

### პასპორტი

არც ლოთი იყო, არც შფოთი,
სიწმინდით ჰგავდა სანთელს,
გენეტიკური პასპორტი
ქართლოსმა მისცა ქართველს.
გამოაყოლა თან სული,
აჩუქა თავის გენი,
ჭკვიანიც იყო, ტანსრულიც,
მამა ამ ჩვენი ერის.
ვერ შეეჩვია მტრის ყური,
არასდროს დავთმობთ ამ მთებს,
გონება ფანტასტიკური
დღემდე ჩვენს სხეულს ანთებს.
ფარნავაზმა და ვახტანგმა
გადმოაბარა დავითს,
მტერი დიდგორთან წახდა და
დღემდე მოვედით ამით...
გულში გროვდება ტკივილი,
თვალებში ჩნდება ნისლი,
რადგან ამ სისხლის ყივილი,
მგონი, აღარსად ისმის...

### ეტყვიან

ვშრიალებ ვერხვის ტოტივით,
ხან მზე, ხან მთვარე მაშუქებს,
ჩემი სიმღერის მოტივი,
ლექსებს სიცოცხლედ ვაჩუქე.
ხან ჩანჩქერივით ვიცინი,
ხან ვენახს ვგავარ სეტყვიანს...
რაც მათ გადავეც, ისინი
შთამომავლობას ეტყვიან.
სამშობლოსავით ვეწამე,
მტერი რომ ებრძვის უშვერი,
მე ვხედავ როგორ ლეწავენ
ქართულ მიწა-წყალს რუსები...
თურქებს, სპარსებს და არაბებს
მთელი ცხოვრება ვეომე.
ძლივას გადვურჩი სარანგებს,
ღმერთმა დამბადა მეორედ...

## ნანა ცინცაძე

### მკვლელი აჩრდილი
### სონეტი

შენ მე გიყვარდი, გრძნობა ცაში, თოკზე ეკიდა,
მიყურებდი და სიშორისგან თრთოდნენ თითები.
ჩემი სიტყვები მუნჯ რითმებად გამოგეკიდა
და გაგაოცა სასიკვდილო გადაფითრებით:
მერე კი უცებ გამოფხიზლდი, სადღაც წახვედი,
მალე დაერქვა აღტაცებას სახელად – იყო...
გეგონა ცრემლებს, შესაბრალისს, დაგანახებდი,
მე კი ღიმილით გეუბნები – არ დაივიწყო
ჟამი, როდესაც შენი ნებით საწამლავს სვამდი,
ისიც იცოდე, რომ ის შხამი ახლაც გჭირდება.
მე, ძველებურად, მისტიკური სურნელი ამდის,
ცოცხალს მიყურო და სხვასთან მყოფს, გაგიჭირდება.
შურისძიება, წლებთან ერთად უფრო მძაფრდება,
მკვლელი აჩრდილი ყველა კართან ჩაგისაფრდება.

### მინდა წავშალო
### სონეტი

ფერი ვიცვალე... ვიზრდები და... ვრჩები პატარად,
ეტყობა წლები დამიბრუნდა სადღაც წასული,
ტკივილი ფიქრშიც მოვისროლე, ვატან ამ ტარას
ცრემლებს, რომლებიც წვიმას შერჩა გამონასკვული.
ყველა უჯრედი ჩავატიე ერთ ამებაში,
ვატყობ, წარსული ტვირთია და უნდა წავშალო,
აღარ მჭირდები და სულსაც გხდი დღეს წამებაში
გონიერებავ, მთის ზვავივით ჩამონაშალო.
თუ ვერ დავხარჯე, ვანადგურებ ამ ენერგიას,
რადგანაც მინდა არაფერი აღარ ვაკეთო,
დროის ხუხულა, სჯობდა დროზე რომ დამენგრია,
დღეს გვიანია, რომ ცხოვრება გადავაკეთო.
წლები გავიდა... ზღაპრის ბოლო ცოცხლდება მითში,
არ დაიჯეროთ, დავიკარგო ამ ლაბირინთში.

### დრო... ექსები
### სონეტი

დღეს გამქრალია... ხვალ იქნება ადრე რაც იყო,
ახლა ყველაფერს ბანალური მზის სხივი აკრავს,
ხედავთ? ეს წამი რამდენ გამქრალ წამად დაიყო
და ვიღას ახსოვს ან შოპენი, ან მისი დაკვრა.
ხვალ? ხვალ ყველაფერს მიეცემა უკვე სხვა სახე,
ზარმა დარეკა... ჰო, ამ ზარსაც სხვა ხმა ექნება,
რატომ მოგიყვე ვინ მოვკალი, ან სად დავმარხე,
ან რა დამწამეს განდევნილმა ჩემგან ექსებმა.
წყვდიადი დგება, ბუხრის ალი ურცხვად ხარხარებს,
რადგან დაიწვა მოგონების ყველა აქცია,
მაინც ჩემია ის სამხილი, რაც გამახარებს,
ხორცი უძლური, სულმა ჯერაც ვერ მოაქცია.
რა ვქნა, რომ მიყვარს ეს თამაში, ყოვლის მომცველი,
თუკი მომცელავთ? მეორედ ვარ ქვეყნად მომსვლელი.

***

საქართველოს აღარა ჰყავს ცოტნე,
(ბრძენიც დადის ახეული სახით)
მის მაგივრად თბილისს მართავს კახი,
ეს ბილიკი არწივებმა კორტნეს,
წინ რა გველის? ალბათ მხოლოდ კრახი.
ხომ ვუტირეთ ტრადიციებს დედა
და წარსული დავამსგავსეთ აჩრდილს,
ღვთისმშობელო, კითხვას გაგიბედავ –
ვინ შეგვიცვლის დავითსა და არჩილს?
მეცოდება მიწის ერთი ბელტიც,
სადღა შეგვრჩა ცხინვალი და გაგრა.
რაღა გითხრათ დღეს ამაზე მეტი,
თითქოს გვიყვარს ერთმანეთი, მაგრამ...
ვფარისევლობთ და სიყვარულს ვარქმევთ,
რასაც ყველგან ჰქვია მხოლოდ შური,
ნიჭიერს ვკლავთ და სულ იმათ ვაქებთ,
დემენცია რომ აქვთ დაფარული.
აღარ მინდა ვინმეს რამე ვკითხო,
თითქოს ჩაქრა მეამბოხე სული,
დღეს სამშობლო ერთად ყოფნას ითხოვს,
ვის სჭირდება მხოლოდ დაფარული
დიდება და ფარისევლის ლოცვა,
მთაწმინდიდან (გენიოსთა) ოლიგარქის ჩრდილი?
რა ვქნა, თუკი ფიქრმაც გაიოცა,
აზროვნება რომ დაგვყვება ჩვილის.
დროა უკვე, რეკდეს დედო ზარი,
თორემ ერი მილევადი გახდა.
მომავალი რომ სჩანს შესაზარი,
ამიტომაც დარდი განმიახლდა,
მაგრამ ვიცი, რომ ყველაფერს შევძლებთ,
ჩვენ მზეს, რადგან სამშობლოს მზე ჰქვია.
წამოდექით, ქართველებო, ფეხზე,
არაფერი ჯერ არ არის გვიან.

### პერსპექტივა

ღმერთო, დღეს სხეული ისე მტკივა,
როგორც ახეული ლაყუჩები,
გაქრა იმედი და პერსპექტივა
და მეც აღარასდროს გავყუჩდები.
თუმცა უცნაური საღამოა,
სულში სტანდარტული მყავს ურჩები.
სიკვდილი აქ ისე საამოა,
აღარც კი მჭირდება მაყუჩები.
ვინც არ მინდოდა და წერილს მწერდა,
ისევ უსურვილოდ დავურჩები,
როგორ შევარჩინო ბედისწერას
ჩემი ახეული ლაყუჩები.

### თორემ, მერე

სიმყუდროვე, ტალღების ხმით დარღვეული,
სანაპირო, შეშლილი და თავნება,
ზღვა, სოდომის ცოდვებისგან ამღვრეული,
ჩემი მზერის ათინათით დაება.
ველარ იცდის, ისე უნდა ჩახუტება,
ცდილობს, უცებ გამახსენოს რაც იყო,
მზის ანარეკლს ჩემი ჩრდილი აუხტება,
რომ ცოდვები ნაპირისკენ გარიყოს.
აუ... ისევ დაიწყება, ,,მიყვარხარო,
,,რატომ მტანჯავ", ან ,,ასეთი ვინა ხარ",
მე კი მინდა უმიზეზოდ ვიხარხარო,
რადგან გრძნობებს სხვა ტალღისთვის ვინახავ.
ახლა უნდა წყლის სიღრმეში დავიკარგო,
რომ იქ ვიგრძნო მიწის მძლავრი სურნელი,
ადამს ვუთხრა — დაახვიე ჩემო კარგო,
ვაშლის მერე არ მჭირდები სულელი...
ვერ გაიგე? ზღვის ტალღები ავირჩიე,
მთვარის შუქზე გახელებულ რითმებით,
დედამიწავ, საქმე უცებ გაგირჩიე,
მეც არ ვიცი, ასე რატომ ვირთვები...
(თან ახალი ადამისთვის ვირთვები)
(და ნეპტუნის შესახვედრად ვირთვები).

### ეს ჰორიზონტი

ზღვის ნაპირიდან, სივრცედ აშლილი
დრო, მთელ ცხოვრებას იტევს,
ღმერთო, მითხარი, როგორ წაშლიდი,
სულში (გაჩხერილ) ჩარჩენილ სიტყვებს?
ეს ჰორიზონტი წარსულს მაგონებს,
მეც არეული გზის ვარ.
ავედევნები შავ-თეთრ ვაგონებს,
ცივ საფეხურზე ვზივარ.
ცის და ზღვის კვეთის იქით ვისროლე,
რის დაბრუნებაც არ მსურს,
ისევ ის გიჟი ჩამომიქროლებს,
(ბავშვად ვინც მხედავს ზრდასრულს)
ვინც ისარს პარავს ამურს.

### ადამიანო!

მინდა გაგიცნო თავიდან,
გული სხვაგვარად ხმიანობს,
რა ვქნა, მჯეროდეს არ მინდა,
გამწირავ, ადამიანო.
ცოდვები შენით იწყება,
გინდ ..ინო", გინდა ,,იანო".
ნუთუ სულ ღმერთი გიწყრება,
რომ ავობ, ადამიანო.
ადრე დაკარგე სიკეთე,
ახლა ღიმილიც გვიანობს,
ბოროტების ნემსს იკეთებ
მორფივით, ადამიანო.
არაფერი რომ არ გყოფნის,
იქნებ სიყვარულს მიაგნო,
მანდ, ოცნებებში ცად მყოფი,
აქ კვდები, ადამიანო.

### თრიაქი

თვალუწვდენელი ცა და ქვეყანა,
თვალუწვდენელი გიჟი სამყარო,
ნეტავ, ვინ უნდა მომკას ეს ყანა,
ფიქრები გზიდან ვინ გადაყაროს?
ყოველი დილა სიცოცხლის ჩრდილი,
ყოველი ღამე სიკვდილის კალო,
იქნებ შეუჩნდა კაცს ეჭვის ჩრჩილი,
რომ ღირსეული უღირსად ხარობს...
ნეტავ, ვინ ნახა ზღაპრების ბოლო,
თუ ბავშვობაში ვრჩებით მთლიანად,
ხორცის ტკივილს თუ ვატარებთ მხოლოდ,
სული ნეტავ რამ გაამთლიანა?
თუკი ცხოვრება არის თრიაქი,
რაში გვჭირდება გამოფხიზლება,
თუ უფლის ხელით დაჯდა იაქე,
შველა ვის ვთხოვოთ მაშინ ხიზნებმა?
რამდენი კითხვა დაგვყვება თურმე,
რაც ბრძენისთვისაც არის კაზუსი
და მიუყვება მირაჟში ურმებს,
ბახუსზე უფრო მთვრალი ბახუსი.

### მელაპარაკე, ღმერთო...

მელაპარაკე, ღმერთო,
შენი ტკივილი გამანდე,
სიცოცხლეს რატომ ვერ ვთმობთ,
ან ევა რატომ ააგდე,
გაეგო, რაა ცდუნება,
თან ყოფილიყო შიშველი,
ადამს აემღვრა გუნება,
ვეძახი — გველი გიშველის...
ისევ მას უნდა გაენდო,
ვინც საწამლავი მოგართვა,
მტერს, არც მოშორდე, არც ენდო —
ესაა ჩემი მომართვა.

### სარფიანი დაბანდება

არაფერი არ იცვლება, თუ არ შეცვლი,
გათენდება ისე, როგორც თენდებოდა,
ერთს, ფუფალას უწოდებენ ჩვენში შეშლილს,
თუმც შიოლას სხვაც მრავალი ვერ ხვდებოდა.
მზის ლაქები მთვარეს დამღად ავაკარი,
ის მიოოვის, ვინც არასდროს დამეძებდა,
საოცნებოდ ავიჩემე ავატარი,
თუმც ვიცოდი, მის სიყვარულს სხვაც შეძლებდა.
გალაქტიკას ახლა უფრო ხშირად ვსტუმრობ,
დღეს მერკურზე მერამდენედ გავათენე,
რა ხანია გავიზარდე, აღარ ვხუმრობ
და ღიმილით ვანაწილებ ანათემებს.
იქ უფალმა სიკეთესთან მაზიარა,
მე აქ თვალი ცოდვებისგან დავიელმე,
სულ მრუდი მაქვს, ერთი სწორი ხაზიც არა,
ცოდვილს ცოდვის სიყვარული გამიელვებს.
გული მტკივა, დრო მუჭში ვერ მოვაქციე,
ისე გარბის, ვიცი, ველარ დავეწევი,
ფეხქვეშ ვთელავ გამოგონილ გრადაციებს,
რომლის გამოც გულში ყველას დავეწვები.
სიკვდილს მოვკლავ, რომ სიცოცხლე არ დამთავრდეს,
დროსთან დავდე სარფიანი დაბანდება,
ღმერთთან ვგზავნი ერთსიტყვიან ამანათებს -
დაბადება!!!

### სიყვარულის არითმია

ეს მანძილი, ეს დრო, დროში დაკარგული,
უკან მომდევს და ვერასდროს დამეწევა,
მე მზე მიყვარს, სხვანაირად დაბინდული,
ნისლის ჩიბუხს თრიაქით რომ არ ეწევა.
მკლავი მიყვარს შენი, ჩემო, საფერებლად,
მაგ თვალების მზერა მათრობს ალმაცერი,
მიყვარს მიწის სხვანაირი დაფერდება
და აკიდო, ვაზის რქაზე ანაცერი.
სიტყვა მიყვარს, არასდროს რომ არ ითქმება,
თან სტრიქონებს შუა რაც დევს, ის მაგიჟებს,
დაძახება, უფსკრულში რომ დაინთქმება
და მერე ფეხს სიმართლესაც დააბიჯებს.
მიყვარს ის, რაც არაფერში არ ეტევა,
ჩემი სულის ცად აჭრილი ციტადელი,
ურცხვი ხორცის სამსჯავროსთვის გამეტება,
სარკის მიღმა გამოხედვა წინანდელი.
სიყვარულის დაშლა მიყვარს ნაწილებად,
მთლიანი ხომ მთელ სამყაროს ანამდვილებს,
მიყვარს, როცა ხორცი ისე აწივლდება,
რომ ის მოთქმა სიკვდილსაც კი აადვილებს.
მე მზაკვრული ღამეების შიში მიყვარს,
როცა შენში ადრენალინს ვერ აოკებ,
როცა ეძებ ბნელ ღამეს და თელავ ცისკარს,
მზის სხივებით სამყაროს რომ შეატოკებს.
მე რვეული მიყვარს, ფიქრში დახეული,
ეს ნაწერიც, ჩათვალეთ რომ სხვა რითმია...
კოცნა მიყვარს, ცხელ ბაგეზე ახეული
და მუდმივი სიყვარულის არითმია.

### გულო, დაიმახსოვრე

როცა მინდა ჩავუწევ, როცა მინდა ავუწევ,
ცხოვრების გზას გავინათებ ფითილით,
მტერს თუ მინდა დავხვდები, მეგზურობას გავუწევ,
ჯოჯოხეთის კარს გავუღებ სიცილით.
დავიჯერებ სხვის ნათქვამს, თუ მინდა რომ მჯეროდეს,
თუ არ მინდა, არ მოვესმენ არავის,
ჩემი დასაფიცარი, ფიქრშიც უნდა მღეროდეს,
რომ მომიხდეს ბედუინთა კარავი.
ყველაფერი ფარსია, რაც ამ გზებით ვატარე,
ეს წალკოტი სხვა სამყაროს ხედია,
ვარსკვლავები ცის ხოლმზე გალაქტიკას გადარევს,
ბედაური მარტოს გამიხედნია.
არასოდეს არავის არ დავუშლი არაფერს,
მე ბილიკზეც მრუდე გზებით მივლია,
დანას სარკეს ვუმოწმებ, ჩემი ცრემლით დანაფერს,
ვამპირები დედასავით მივლიან.
ასთავიან ალქაჯებს სიფხიზლეშიც ვიცოდებ,
ზღაპრის ბოლო სულ იქნება კეთილი,
გულო, დაიმახსოვრე, უშენოდაც იცოცხლებს,
სული ჩემი, ქვაში გამოკვეთილი.

## თინათინ ჭედია

# ნიკორწმინდა რომ დაინგრეს...

ახლახანს გამოვიდა მანანა გორგიშვილის წიგნი „შეუვალი კაცი," (რედაქტორი სოსო სიგუა). ავტორი მოგვითხრობს ბატონი თამაზ ვაშაძის ცხოვრების შესახებ. ნაწარმოები არის დოკუმენტურ-მხატვრული პროზის ნიმუში და ვულოცავ ქალბატონ მანანას ეპოქალური შინაარსის მქონე წიგნის ავტორობას, ვინაიდან ის მკითხველის წინაშე წარსდგა, როგორც მწერალი და მემატიანე. ქალბატონი მანანა თხრობისას მიმართავს თითქმის ყველა მხატვრულ ხერხს, რომლებსაც მწერლები პროზაული ნამუშევრების შექმნისას იყენებენ, რის შედეგადაც ამბავი ერთი ადამიანის ცხოვრების წასაკითხად არის საინტერესო და მიმზიდველი.

გასული საუკუნის 80-ანი წლებიდან ნათელი გახდა, რომ კომუნიზმის უტოპიური ხანა დასასრულს უახლოვდებოდა., რასაც მოჰყვა საქართველოს დამოუკიდებლობა და დაიწყო ახალი ეპოქა, რომელიც ძალზედ ძნელი გადასალახი აღმოჩნდა. დალაგებული და მოსაწონი ცხოვრება არც ახლა გვაქვს. ჩვენი პოსტმოდერნული ყოფა შედეგია საქართველოს ახლო წარსულისა, როცა პატრიოტულმა სულისკვეთებამ ზენიტს მიაღწია, ხალხს ნათელი მომავლის იმედი და რწმენა ჩაესახა. იმ ადამიანებსაც იგივე აღტკინება ჰქონდათ, რომლებმაც სრულიად საქართველო აიყოლიეს და შემართეს ეროვნული თავისუფლებისათვის ბრძოლაში ჩაბმულიყვნენ. ახლო წარსული ისტორიკოსებს ამომწურავად ჯერ არ განუხილავთ, ვინაიდან დრო, რომელიც გამოვიარეთ და რაშიც ახლა ვიმყოფებით, დაუსრულებელია და ავტორი უღრმესი პატივისცემით, სიყვარულით მოგვითხრობს ამბავს ადამიანზე, რომელიც შვილია ქართულ-ბერძნული ოჯახისა.

90-ანი წლების საქართველო რეალურად იყო უშუქოდ, უგაზოდ... დაცარიელებულიყო დახლები, ყაჩაღობა, ქურდობა, უფულობა და შიმშილი მძვინვარებდა. აბობოქრებას იწყებდა ღირებულებათა გადაფასება, რასაც მოჰყვა არეულობა, გაუგებრობა, თითქოს ქვეყანამ ფორმა დაკარგა, აღარც სამართალია და არანაირი წესრიგი. ჩამოქცეული საბჭოთა კავშირის ნანგრევთა ქვეშ მოყოლილი საქართველო ძლივს სუნთქავდა და ბუუტავდა.

დრომოჭმულობა ახალით უნდა ჩანაცვლებულიყო, მაგრამ ხალხმა ჯერ არ იცოდა, როგორი და რანაირი იქნებოდა განახლებული ქვეყანა. ამგვარად აყალიბებს იმდროინდელ ვითარებას მანანა გორგიშვილი. ის, როგორც ქალი, დედა, მოქალაქე წერს, რომ 30 წლის მანძილზე შიგადაშიგ გაუგებარ ღირებულებათა გადაფასებას გადააყოლეს ადამიანთა ადამიანური, უბრალო, ყველასათვის გასაგები ინტერესები. საქართველომ მოიპოვა ნანატრი თავისუფლება, მაგრამ ხელისუფლებაში მოსულთ თავისივე ხალხი დავიწყნიათ. ახალ მთავრობებს ავიწყდებათ ამ ქვეყანაში მცხოვრებ, ერთი შეხედვით უბრალო, თითქოსდა არაფრით გამორჩეულ ადამიანთა სურვილები, ოცნებები, დავიწყნიათ, რომ ეს ადამიანები ინდივიდები არიან. ცუდი შედეგიც მივიღეთ, ხალხი გადასხვაფერდა. ყოველდღიურ ფუსფუსსა და ყოფით პრობლემათა მოგვარების პროცესში ადამიანები ერთმანეთის მიმართ გულგრილნი გახდნენ. პრობლემას ავტორი მძაფრად განიცდის, ვინაიდან უსიყვარულოდ, ემპათიის გრძნობის გარეშე ქვეყნის აღდგენა-აშენება, წინსვლა და განვითარება ძალზედ ძნელია. თავისუფლების მოპოვების სიხარული დროთა განმავლობაში გაბათილდა, გაბატონდა ნიჰილიზმი და ქვეყანა გაქვავებულ მდგომარეობაში დარჩაო, ამბობს წიგნის ავტორი.

მანანა გორგიშვილი სპეციალობით ჟურნალისტია და მკითხველს უმხელს ყველაზე მეტად რა ნიშნით მოსწონს ჟურნალისტიკაში მოღვაწეობა. ჟურნალისტმა, სულერთია პრესის წარმომადგენელია თუ ტელევიზიის, უპირველესად უნდა შეარჩიოს თემა, მონიშნოს რესპონდენტები და ამის შემდგომ იწყება თავდავიწყება. პიროვნებები თავს გამახსოვრებენ აზრიანი პასუხებით, ზოგიც საკუთარი პროფესიის მიმართ სერიოზული დამოკიდებულებით. ჟურნალისტობა ნიშნავს, ყოველდღიურად აწყდებოდე სხვადასხვაგვარ პრობლემას და მანანა ფიქრობს, რომ გამოსავალი არსებობს, რომელიც ერთადერთია. სახელმწიფოს და საზოგადოების ნება და ინტერესი ერთურთს უნდა ემთხვეოდეს. არც ერთმა მხარემ არ უნდა დაინანოს ენერგია პროფესიონალიზმის გამოსავლენად, აგრეთვე ყველამ დროებით გვერდზე უნდა გადადოს პირადი ინტერესები, მხოლოდ საკუთარი კეთილდღეობისთვის გარჯა და საზოგადოების, სახელმწიფოს ინტერესების რეალიზაციისთვის იღვაწოს.

მანანა ხვდება თავის რესპონდენტს, რომლის ბინაშიც თურმე ერთ დროს დიდი სუფრები იშლებოდა და ყველა სტუმარს შუაგულ დარბაზში ასვეტილ დედაბოძზე ავტოგრაფი დაუტოვებია. ამ ოჯახს საქართველოს პირველი პრეზიდენტი ზვიად გამსახურდიაც სტუმრობდა და მერაბ კოსტავაც, რომელიც დაგამახსოვრდებათ სიტყვებით, ბატონ თამაზ ვაშაძეს რომ ეუბნება: - „ეს რა მომივიდა, ეს როგორ მოხდა, რატომ ვერ მივხვდი ვისთან მივდიოდი, ან ასე რამ შეცვალა, ადრე ასეთი არ იყო... ეს რა მომივიდა, ეს სად წაგიყვანე... საწყალი საქართველო, ვის ხელში ვართ!" - უღირსი კაცის გვერდით ისხდნენ ბატონი მერაბი და თამაზი, იმ კაცის მიერ გაშლილ სუფრასთან, რომელსაც „ქართველობა" სადღაც დაჰკარგვოდა და ამას განიცდის ჩვენი ეროვნული გმირი მერაბ კოსტავა, განცდებს ბატონ თამაზს უზიარებს და სრცხვენია კიდეც იმ უღირსი კაცის მაგივრად. უნდა, რომ გაეცალონ უღირსს, თითქოს რაიმე მომაკვდინებელი სენი სჭირდეს უღირს არსებას გადამდები.

წიგნის ავტორი ათვალიერებს რესპონდენტის საცხოვრისს და გაოცებასთან ერთად მოწიწების გრძნობაც უჩნდება ბატონი თამაზის მიმართ. გულითადი სულისკვეთებითაა გაჟღენთილი მონათხრობი და კიდევ ამიტომაცაა წასაკითხად საინტერესო და სასიამოვნო. ოსტატურად გადადის მე-19 საუკუნის ბოლო პერიოდში, როცა ქალაქი ჭიათურა აშენდა, ამ ხერხს იმიტომ მიმართავს, რომ ცოტა რამ მოგვითხროს წიგნის მთავარი გმირის წინაპრებზე, რომლებიც გამოირჩეოდნენ პატრიოტიზმით, შრომისმოყვარეობით. შიში, დაუფასებლობა, ტანჯვა-წამებაც არ მოჰკლებიათ ბატონი თამაზის წინაპრებს, ის რეპრესირებული ოჯახის შთამომავალია.

ინფორმაციული თვალსაზრისით წიგნი მრავალფეროვანია. დღეს წარმოუდგენლად მოგეჩვენებათ და მწერალი ლევან გოთუა იმიტომ დაუპატიმრებიათ, უწამებიათ და ფრჩხილები დაუგლეჯიათ, რომ დააბრალეს, ვითომც ქაშუეთის ტაძრის აფეთქება ჰქონდა განზრახული და კონსტანტინე გამსახურდიას, როგორც მწერალს, კარგა ხანს არავინ აფასებდა, მეტიც, აბუჩადაც კი იგდებდნენ ქვეყნის სათავეში მდგომნიც და მწერლებიც, რომ შემთხვევით დახვრეტას გადარჩენილი მწერალია; გაიგებთ, როგორ შენდებოდა თბილისში მეტრო; როგორ იცავდა ბატონი თამაზი ცხინვალის რეგიონში კულტურული მემკვიდრეობის ძეგლ წითელ საყდარს; როგორ გადაარჩინა ობეხეს თანამშრომლების მიერ დაგეგმილ უბედურებას ბატონი თამაზ ვაშაძე პირადი მდივნის, თამთას ერთგულებამ და სხვა მრავალ საინტერესო ამბავს, მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი ზვიადისა და თამაზის გაცნობის, მათი დამეგობრების ისტორიაა.

არ შემიძლია არ შევეხო დავით გარეჯის თემას, რომელიც მეექვსე საუკუნის უნიკალური ძეგლია და ქართულ უდაბნოში დღესაც ამაყად დგას, ასხივოსნებს იქაურობას, ამიტომ ამბობს თამაზ ვაშაძე, ვისაც დავით გარეჯი არ უნახავს, მას საქართველო არ უნახავსო. დაუტყვევებია წიგნის მთავარი გმირის სული და გული იქ ნანახ ფრესკებს და აღნიშნავს, მაშინ, დავით გარეჯის ფრესკები რომ გადარჩა, ზვიად გამსახურდიას დამსახურებაა. ჩვენ დღესაც გვადარდებს ჩვენი საამაყო დავით გარეჯი და ადრეც სატკივრად დასდებიათ გულმხურვალე ქართველებს! ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის საპროტესტო აქციების შედეგად, სამონასტრო კომპლექსთან დაბანაკებული რუსეთის ჯარის მიერ მოწყობილი საწვრთნელი სროლა-ბათქი-ბუთქები შეწყდა, რომლებიც ზიანს აყენებდნენ უნიკალურ ფრესკებს.

მანანა გორგიშვილი ყურადღებას ამახვილებს 1989 წელს მომხდარ მნიშვნელოვან მოვლენებზე, ფაქიზად ეხება ქართულ-აფხაზურ ურთიერთობებს. მონათხრობში პერსონაჟებადაა წარმოჩენილი აწ მივიწყებული მაშინდელი უნიათო მინისტრები, სხვა პირები, რომელთაც გულგრილად ხელთ ეპყრათ საქართველოს მომავლის მართვის სადავეები. მრავალ არასასიამოვნო ადამიანს გაგახსენებთ ნაწარმოები, მაგალითად ჟირინოვსკის, რომელსაც გულწრფელად უთქვამს ზვიადზე - „აი, ასეთი პრეზიდენტი უნდა ჰყავდეს რუსეთს, ასეთი განათლებული და ასეთი მცოდნეო..." ამას ჟირინოვსკი ამბობდა, ქართველთ მოძულე, ენანებოდა ქართველთათვის ყოველმხრივ დადებითად შემკობილი რაინდი, მაგრამ ზვიად გამსახურდია გახდა საქართველოს პრეზიდენტი, ის ხალხმა აირჩია.

1991 წლის 9 აპრილს, 1991 წლის 1 მარტის საყოველთაო სახალხო რეფერენდუმის შედეგების საფუძველზე, უზენაესმა საბჭომ საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა აღდგენილად გამოაცხადა, ზვიად გამსახურდიაც ქვეყნის პრეზიდენტად აირჩია, რაც იმავე წლის 26 მაისს საყოველთაო-სახალხო საპრეზიდენტო არჩევნებზე დადასტურდა. მიუხედავად იმისა, რომ უკვე პოლიტიკურ ასპარეზზე გამოჩდნენ სხვადასხვა პარტიები, ლიდერები, რომლებიც ყველა ხერხსა და ღონეს ხმარობდნენ, ამომრჩეველთა ნდობა მოეპოვებინათ, მაგრამ პირველ მრავალპარტიულ არჩევნებში გამარჯვებული მაინც ზვიადის „მრგვალი მაგიდა - თავისუფალი საქართველო" აღმოჩნდა და მადლიანმა კაცმა მადლობაც მადლიანად თქვა: - „მადლობელი ვარ ქართველი ერის, ვინც ღირსად მყო ასეთი პატივისთვის..."

ღვთის წყალობად და ნებად მიმაჩნია, ორი ღირსეული ადამიანი, ქალბატონი მანანა და ბატონი თამაზი ერთურთს რომ შეახვედრა. როგორი ყურადღებითაც გაამახვილა ბატონმა თამაზმა ზვიად გამსახურდიას პიროვნულ დადებით ღირსებებზე ყურადღება, იმგვარივე გულმოდგინებით წარმოაჩინა მწერალმა თავად მთავარი პერსონაჟისა და თავისუფალი საქართველოს პირველი პრეზიდენტის სულიერი სიმდიდრე, წესიერება, პატიოსნება. ეს იყო მართლა განათლებული, შემოქმედი, ღირებულებათა დამფასებელი პიროვნება. მწერალს ხაზგასმით დაუმახსოვრებია ის, რომ ზვიადს თავისი პრეზიდენტობის მანძილზე მხოლოდ ერთხელ შეუგინია, რომ მისთვის საქართველო იყო უპირველესი საზრუნავი, მას ადამიანები უყვარდა და როცა მიწისძვრამ ქვეყანა დააზარალა, ნიკორწმინდაზე დარდობდა, როგორც ძვირფას, ახლობელ ადამიანზე. ის ვაშაძეს ენდობოდა, ემეგობრებოდა, პატივს სცემდა, ამიტომაც დაურეკა და უთხრა: - უნდა უშველო, შენი იმედი მაქვს. თამაზ, ნიკორწმინდა რომ დაინგრეს, ჩვენი შთამომავლობა ვერ გაიგებს გალაკტიონის ლექსს..."

ქვეყანას კარგი პრეზიდენტი ჰყავდა, მაგრამ საქართველო მარტო იყო, მეგობარი ქვეყნები არ ჰყავდა, ჩაკეტილი იყო ჩვენი სამშობლო. ზვიადის მოშურნეები და სულით მეძავი ამა სოფლისა ძლიერნი, შინაური მტრები ღალატის ბადეებს ქსოვდნენ, ზოგი აშკარად, ღიად, ზოგიც ფარულ-მალულად, თანაც, ეგრეთ წოდებული „უფროსი ძმის" ანუ რუსეთის იმედიც ჰქონდათ და იყო ერთი ადამიანი ქვეყნის საზღვრებს გარეთ, კავკასიელი ჯოხარ დუდაევი, ვინც ქართველ პრეზიდენტს და საქართველოს შეძლებისდაგვარად ხელს აშველებდა.

ზვიადმა „შეუვალი კაცი" ქვეყნის დედაქალაქის მერად დანიშნა. თამაზს არ უნდოდა, სხვა საქმეები ჰქონდა დასასრულებელი, მაგრამ ზვიადმა შეაფასა: - „არა, შენ უნდა იყო, შენ კარგი მუშაობა იცი." და თამაზ ვაშაძეც პირდაპირ მერიაში მივიდა, ყოველგვარი წარდგენის გარეშე და შეუდგა მუშაობას ახალი, კარგი საქართველოს ასაშენებლად, მაგრამ არ დაასრულებინეს დიადი საქმე. შინაურმა მტრებმა შინაურებსვე გამოუცხადეს ომი. ცრემლმოურეკავად ვერ წაიკითხავ 6 იანვრიდან დაწყებულ ამბებს, თუ როგორ გამოაღწიეს ზვიადმა და მისმა მთავრობამ ალყაშემორტყმული შენობიდან, გაიქცნენ აზერბაიჯანში, მაგრამ იქ არ შეიფარეს, სომხეთმაც არასტუმართმოყვრულად მცირე ხნით მიიღო ქართველი პრეზიდენტი და უარი განუცხადა საქართველოში ექსტრადიციაზე. ზვიადი ჩეჩნეთს გაეშურა და იქ ჯოხარ დუდაევმა თავშესაფარი მისცა. ამ დროს კი საქართველოში ზვიადის მომხრეებს დასდევდნენ, შეუვალ კაცსაც.

ქალბატონი მანანა კარგი ანალიტიკოსია, ყველა კონკრეტულ საკითხზე მსჯელობს, ფიქრობს და დასკვნები გამოაქვს, რომლებიც არ მგონია მძაფრად სუბიექტური იყოს, ეს მსჯელობანი უფრო მეტად ობიექტურია. მასვე მოჰყავს მაგალითად ალბერ კამიუს ნააზრევი, „ისტორიის შექმნა ერთეულების ხვედრია, ისტორიაში მონაწილეობა კი თითოეული ჩვენგანის ვალდებულებაა". წიგნის ავტორი თავის მთავარ გმირს, თამაზ ვაშაძეს თვლის საქართველოს უახლესი ისტორიის ერთ-ერთ შემქმნელად. ამგვარი ადამიანების გარეშე ქვეყნის ისტორია ვერ იქმნება.

ქალბატონმა მანანა გორგიშვილმა პატრიოტებზე, დაუღალავ მუშაკებზე დაწერა და როგორც დაწერა არის საუკეთესო. ქალბატონი მანანაც გახლავთ მამულიშვილი, საქართველოს ღირსეული ასული და მადლობა მას ასეთი კარგი მონათხრობისთვის!

## ცირა ნუცუბიძე

### გვიყვარდეს

სიყვარულზე ძლიერი
ქვეყნად არაფერია,
იმას არ უცხოვრია,
ვისაც არ ჰყვარებია.

ნიჭი ერთგულებისა
სიყვარულის ნდობაა,
დიდი ბედნიერება
და უზადო გრძნობაა.

სიყვარული ღმერთია
და სიცოცხლის არსია,
იგი სულის ძალაა
და ღვთიური მადლია.

სიხარულს ვანიჭებდეთ,
სიყვარულით ვტკბებოდეთ,
მის გარეშე ვერ ვძლებდეთ,
უიმისოდ ვკვდებოდეთ.

## ირაკლი ნადარეიშვილი

### თუ ვინმეს გეწერებათ...

ყველა ლექსი ვერ იქნება „შედევრი“,
და ვერ მოწყვეტს მოკიაფე ვარსკვლავებს,
მაგრამ, რა ჰქნას კაცმა, როცა მუზა ღრღნის,
და სათქმელი ცხელი შანთით აწამებს.

ზოგი ცდილობს რითმით აზრის გარანდვას,
ზოგს კი აზრში რითმა გვერდით გაურბის,
გულზე გხვდება ზოგი, როგორც ქარაგმა,
მაგრამ არ ღირს თქმა არცერთზე აუგის...

ზოგი ღიმილს, ზოგიც ტკივილს ჩაგიქსოვს,
ზოგის რითმაც იბარბაცებს, მთვრალივით,
ზოგი სევდის ფანტელებად დაგათოვს,
გაგიტაცებს ზოგიც ნიავქარივით.

ყველა ლექსი ვერ იქნება ,,შედევრი“.
ზოგს მოხიბლავს, ზოგიც წაიქილიკებს,
დროის მიმართ ზოგი ხდება მედეგი
და გაიკვლევს უკვდავების ბილიკებს.

ყველა ლექსზე ჰანგი ვერ შეიქმნება,
ამღერდება ზოგიც ლამაზ ბგერებად,
ყველა ლექსი ვერ იქცევა ,,შედევრად“,
მაგრამ წერეთ, თუ ვინმეს გეწერებათ.

## ლალი ასაბაშვილი

### ბედის ირონია

მუდამ ვემდუროდი,
მუდამ ვუჩიოდი ბედს...
ჩემს თავს ვადარებდი,
ტბაში მოფარფატე გედს.

ბევრჯერ გავექეცი,
ბევრჯერ დავემალე ხვედრს...
ამ ცხოვრებისაგან,
არასდროს ვითხოვდი ბევრს.

ბევრჯერ მიღალატეს,
ბევრჯერ გულს ლახვარი მცეს...
ჯერაც ფეხზე ვდგავარ,
გული სიყვარულით ძგერს.

ყველამ მიმატოვა,
მარტოდ მივუყვები გზებს,
ბედის ირონია,
კვლავაც ფეხდაფეხა მსდევს.

## მაია კახიძე

### კოცნასავით

ხელებს მიფათურებს
შენი მონატრება
და ეს სიყვარული ვერსად დავატიე,
დღეს თუ უშენობა ისევ მოვარდება,
დიდხანს ვიტირებ და...მერე ვაპატიებ.
ღამე შემომიწვა
ფიქრებმორეული,
მგონი, ჩემნაირად ესეც შეშლილია,
ისე ახლოს ხარ და მაინც შორეული,
გულს კი მარტოობის როგორ ეშინია.
წლების არითმია
წარსულს შევატოვე,
ქარი შემოვარდა სულში გამეტებით,
ლექსი, კოცნასავით ბევრი დაგიტოვე,
იცი, სხვა ქალისთვის აღარ მემეტები.
მაჯა ისე ფეთქავს,
ლამის ამოვარდეს,
მთვარე ღამეშია ფეხადჩამოსული,
შენი გული მინდა გულში მყავდეს,
ისევ ჩემი იყო, ისევ ჯადოსნური...
ხელებს მიფათურებს
შენი მონატრება
და ეს სიყვარული ვერსად დავატიე,
დღეს თუ უშენობა ისევ მოვარდება,
დიდხანს ვიტირებ და...მერე ვაპატიებ.

## ნინო მღებრიშვილი

### წვიმას!

ციდან მოხველ ისე წყნარად,
ისე წრფელად, სათუთად,
სიყვარულის ცრემლს მოჰგავხარ,
ჩამოვარდნილს მალულად.

ყვავილებმა შემოგცინეს,
მთამ გაგიხსნა წარბი და
შენმა სევდამ დაამწუხრა,
ირგვლივ ყველა ატირდა...

მთის ბროლივით ბრწყინავ თმაში,
სულს ატყვია იარა,
შენმა ცრემლმა სხვას უშველა,
შესვა შენი ფიალა!

შენი გრძნობის აბაზანამ
სხვას სიცოცხლე შთაბერა,
წვიმა, წვიმა მოვიდაო,
ცეკვავს ბაბუაწვერა...

ციდან მოხველ ისე წრფელად,
ისე წყნარად, უჩუმრად,
მიგამგვანეს ნატიფ ქალს და
დაგიძახეს ჟუჟუნა!

## ხათუნა კვესელავა

### საოცნებო ღამე

გახსოვს, ზაფხული, ანდა ის ღამე,
ან ის უძირო ჩვენი თვალები?!
ბედნიერების წუთებით სავსე,
დაგვტრიალებდნენ ვნების ქარები...

დრო სად გარბოდა? ჟამი დარდობდა,
გვენანებოდა ღამე ნეტარი,
გული გულს მაინც კოცნით არ თმობდა,
რამდენი შევსვით ერთად ნექტარი...

გახსოვს, ზაფხული, ანდა ის ღამე...

## ლიკა ფარცვანია

### თუ დააცადეს...

ჩამოაფარეთ! ფარდა სულის ყველა
ფანჯარას,
ვატყობ, ვერ უძლებს ამდენ საცდურს
სუსტი სხეული ...
შემოსკუპდება ბნელ ღამეში ხეთა ქანდარას,
დაელოდება მსხვერპლის ტკივილს
ჯოჯო წყეული...
ბორგავს ქალაქი...ვერ წყნარდება უძილო
ღამე...
შერეკილების მეჯლისია ქუჩის ბოლოში.
გაზაფხული კი ისევ ითვლის დარჩენილ
წამებს,
დაღლილი სული მუზას ეძებს თავის
სოროში...
ჩამოაფარეთ! ფარდა ცხედარს! გათენდა
უკვე...
ჭექა-ქუხილმა გაანათა ბნელი სამყარო.
წვიმა საჩუქრად ჩემს პასკვილებს
საკმეველს უკმევს,
ვიღაცა ცდილობს დღე და ღამე
ერთურთს გაჰყაროს...
უნდა გადავრჩეთ! ბეწვის ხიდზე
გავდივართ ყველა...
უსიტყვოდ სიკვდილს მირჩევნია ლომის
ღრიალი!
თავისუფლება ცაზე ლამაზ ვარსკვლავად
ელავს
თუ დააცადეს დედამიწას ღერძზე ტრიალი...

ჩამოაფარეთ! ჩამოაფარეთ!..

## ხათუნა ცომაია

### დამპირდი

ალუბლის ფერი დასდებია ჩუმ
მონატრებას,
კუნწულ-კუნწულად დაგროვილა
ფიქრებში ცრემლი.
ატმის ყვავილად აფეთქებულ
მოგონებას კი
გულის სიღრმეში დაუპყრია ნატიფი
წლები...

ქარვად გიზგიზებს ნატვრა - მტევნად
მზისგან ნაჟური,
ცეცხლწაკიდებულს გული მისდის
ბროწეულის ხეს.
დარდად მაწვება შენს გარეშე ეს
გაზაფხული,
არადა დროსაც ვერ აჩერებს მწველი
სიგიჟე...

უაზრობაა, ჩავისუნთქო იასამანი,
აკაციასაც დავეწაფო ნანატრ
წყურვილით,
თუკი სიცოცხლე გაიმარჯვებს
დამპირდი მაშინ
არ მიმატოვებ, ჩემთან რჩები
დასაბამამდე...

ალუბლის ფერი დასდებია ჩუმ
გადარევას,
სულ ფთილა-ფთილა დაგროვილა
სიზმრებში ცრემლი.
აკაციის ხედ აფეთქებულ მოგონებას კი
სულის სიღრმეში დაუპყრია ნაჟური
წლები...

## მაკო გელაშვილი

### ***

პოეტი არ მისდევს მდინარის დინებას,
ის ალიგიერის სულივით ანთია,
პოეტი მისწვდება მწვერვალთა სიშორეს,
მის გულში მწუხრი და განთიადია,
პოეტი წვიმაში მზედ ამოენთება,
პოეტი გაგიშლის ღიმილის ბაირაღს,
ღიმილის მიღმა თუ სევდა იმალება,
გამოსდის ცხოვრება დაიწყოს თავიდან,
პოეტი გინათებს უკუნეთს, გაპურებს,
პოეტი ნამდვილი, წრფელი და ნაღდია,
პოეტის კალამი ღაღადებს სიყვარულს,
პოეტის განცდები ყოველთვის საღია...
პოეტი სინდისის შუქურაა,
მკითხველის გულამდე თუ რა გზა გალია...

## თამარ ტყაბლაძე

### კადრი

ჩვენი ცხოვრება გადის კადრებად, —
იღებენ ხან კარგს,
ხანაც ცუდ კადრებს,
ხან ფიქსირდება განცდილი სევდა,
ხან სიხარული, რაც გვერგო ადრე...
და ეს კადრები რჩება წარსულში:
ზოგში ვიღიმით,
ზოგშიც — ვიცრემვლით, —
შემოვინახავთ
ყველა კადრს ჩვენთვის
მერე ვუყურებთ გაფაციცებით; —
ვხედავთ წარსულში
როდის რას ვგრძნობდით,
რაც დღესაც სევდით
მოგვიხმობს შორით
და რა იქნება ის ბოლო კადრი,
რომელიც რჩება ოთხ ჩარჩოს შორის?..

## ლია გიგიტაშვილი

### დაფიონის სიმფონია

ყურმა ისმინა დაფიონზე
ცისკრის გალობა,
ქართულად ხმობდა
მგალობელი ყველა ფრინველი:
დიდება შენდა, შემოქმედო,
დაუსაბამო,
ბედნიერია გული ჩვენი -
შენი მხილველი!
ახარე ყველა, დიდ-პატარა,
შენი მცნობელი;
მეფე და გლეხი,
ვინც იმედით
თესავს ყანასო,
წყალობის თვალი მოაფინე
დედაბუნებას...
იქვე მამალმაც დაიყივლა:
ამ-ქვე-ყა-ნა-სო!
ხმობდნენ ფრინველნი სიყვარულზე,
ცის საუნჯეზე,
სთხოვდნენ ზეციერს,
რომ ივერი ხვავით აავსოს...
ეზოს მამალმა იჩურჩულა:
ღმერთო, მოხედე...
მერე ქართულად შემოსძახა:
ამ-ქვე-ყა-ნა-სოოოო!



## ავთანდილ ყურაშვილი - 80

**80 წლისა შესრულდა გამოჩენილი ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე ავთანდილ სერგოს ძე ყურაშვილი. ამის გამო საქართველოს მწერალთა კავშირმა იუბილარს მისალმება გაუგზავნა. მისალმებაში ნათქვამია:**

**ჩვენო ძვირფასო ბატონო ავთანდილ!**

საქართველოს მწერალთა კავშირი, თქვენი მეგობარი ქართველი მწერლები დიდი სიყვარულით მოგესალმებიან თანამედროვე ქართული მწერლობის ერთ-ერთ უბრწყინვალეს წარმომადგენელს და გილოცავენ ღირსშესანიშნავ თარიღს თქვენს ცხოვრებაში - დაბადების 80 წლისთავს.

თქვენ ქართველ მწერალთა იმ მცირერიცხოვან გუნდს მიეკუთვნებით, რომელიც ფაქტობრივად განსაზღვრავს XXI საუკუნის ქართული სიტყვაკაზმული მწერლობის განვითარების ორიენტირებს. თქვენი სამწერლო დებიუტი 1961 წელს შედგა, როდესაც გაზეთ „ქუთაისში“ გამოაქვეყნეთ ლექსების ციკლი. მას შემდეგ განვლილმა ექვს ათეულ წელზე მეტმა ცხადყო, რომ თქვენი სახით ქართულ მწერლობაში შემოაბიჯა კიდევ ერთმა უნიჭიერესმა შემოქმედმა, რომლისთვისაც მშობელი მიწაა არსებობის უპირველესი გამართლება, რომელიც თავისი უსპეტაკესი ცხოვრებით ამტკიცებს, რომ საქართველოსთვის ცოცხლობს და თავის დროზე საქართველოსთვის აღესრულება, როგორც მისი სისხლი სისხლთაგანი და ხორცი ხორცთაგანი...

გამორჩეულად მნიშვნელოვანი, საკუთარი ხელწერის მქონე პოეტი ხართ. ამის დასტურია თქვენი ისეთი პოეტური კრებულები, როგორიცაა „სინათლის ნაპირი“, „გამოჩნდა მიწა“, „რკინის ყვავილი“, „მარად და მარად“, „ნობი“, „სიზმარ-ბალადა“, „ხატ-პეპელა“, „აქ, ამ სამოთხეში“, „სიკვდილი სინათლეა“, სამტომეული... ამ კრებულებში ძალუმად გამოჩნდა თქვენი პოეტური ძალმოსილება, აზროვნების ორიგინალური, მრავალწახნაგოვანი სტილი, ექსპრესია, ისტორიული და ბიბლიური თემატიკის გააზრება, სამყაროს ფილოსოფიური ჭვრეტა. თქვენი პოეზიის ლირიკული გმირი მართლაც რომ დაბნეულია დედამიწაზე გამეფებული ქაოსით, განუკითხაობით, სიძულვილის იმ ბაცილებით, წალეკვით რომ ემუქრება ჩვენს ულამაზეს, უმშვენიერეს ცისფერ პლანეტას, ვერ გაუგია, თუ რისთვის მოევლინა ამ ცოდვით დაცემულ სამყაროს, ასე უღვთოდ და უმოწყალოდ რატომ კლავენ და თელავენ მის სულს, შეჰღაღადებს შროშანას. ღელეთა და ცათა კიდეთა ყვავილს და იმის იმედად რჩება, რომ ის მაინც ხვდება ცათამაღლების უსაზღვრო სურვილით აღსავსე პილიგრიმის წადილს, შეუძლია ახლადდაწურული ღვინოსავით დაუსრულებლად სვას ცამდე განფენილი მშვენიერება ნანდაურისა, ნიამორები ჩასახლებიან სულში და მოსვენებას არ აძლევენ, უფლისციხესთან თავს დიდი სახელმწიფოს საჭეთმპყრობელად გრძნობს, სწორედ აქ, ამ ქვაბულებთან, უცოცხლდება სერაფიტა, ასე უსაშველოდ სასურველი, მწუხარე და უთეთრესი. პატარა ბავშვივით წუხს იმაზე, გაზაფხულის პირს თუ მოფრინდება მის ბაღში ალუბლის ტოტების ბინადარი ჩიტი; თანდათან ემსგავსება მგელს, ბებერ, დაუძლურებულ, შიმშილისგან აყმუვლებულ მგელს, რომელსაც ერთი სული აქვს გამოფიტული მკერდი ძველებური შემართებით შეუშვიროს ავბედით ტყვიას...

მრავალწახნაგოვანი შემოქმედი ხართ და ამის დასტურია თქვენი მშვენიერი პროზა, თქვენივე პოეზიის ორგანულ გაგრძელებას რომ წარმოადგენს და თანამედროვე ქართული პროზის მიღწევათა რიგს რომ განეკუთვნება. ცალკე აღნიშვნის ღირსია რომანი „ცდომილთა დღესასწაული“, რომელშიც პირუთვნელი მემატიანის დარად აღწერეთ XX საუკუნის სისხლიანი წლების პერიპეტიები, აღწერეთ დამაჯერებლად, მწერლური სიმართლით დაგვიხატეთ სიკეთისა და ბოროტების მარადიული ბრძოლა...

საყურადღებო ესეები მიუძღვენით ვაჟა-ფშაველას, გალაკტიონ ტაბიძის, ლეო ქიაჩელის, ჭაბუა ამირეჯიბის, ოტია იოსელიანის, ჯანსუღ ჩარკვიანის, ჯანსუღ ღვინჯილიას და სხვათა შემოქმედებას.

თქვენი ტექსტების საუკეთესო ნიმუშები თარგმნილია სომხურ, აზერბაიჯანულ, რუსულ ენებზე. თავადაც ჩინებული მთარგმნელი ხართ და ქართველი მკითხველი სწორედ თქვენი თარგმანებით გაეცნო ბაირონის, ბლოკის, მაიაკოვსკის, შინქუბას პოეზიის ცალკეულ ნიმუშებს, ვლადიმერ უსპენსკის, ელვირა გორიუხინას, ივან პერევერზინის, მარინა პერეიასლოვას პროზას.

სად არ გიმუშავიათ, საავტომობილო თუ სატრაქტორო ქარხნების მუშად, მშენებლად, სკოლის მასწავლებლად, მცირეტირაჟიანი გაზეთების რედაქტორად, ქუთაისის საჯარო ბიბლიოთეკის განყოფილების გამგედ, ჟურნალ „განთიადის“ პასუხისმგებელ მდივნად და რედაქტორის მოადგილედ. 1992 წლიდან კი ამავე ჟურნალის მთავარი რედაქტორი ხართ და თქვენი დიდი დამსახურებაცაა, რომ ამ ყველასთვის საყვარელ ჟურნალს არამატერიალური კულტურის ძეგლის სტატუსი მიენიჭა...

სიკეთით და ღირსებით სავსე პიროვნება ღირსეულად დაჯილდოვდით ღირსების ორდენით. მინიჭებული გაქვთ საქართველოს მწერალთა კავშირის (3), დავით აღმაშენებლის, აკაკი წერეთლის, დავით კლდიაშვილის, გალაკტიონ ტაბიძის, გიორგი ლეონიძის, ოთარ ჭილაძის სახელობის პრემიები, წმინდა ნინოს ფესტივალის მთავარი პრიზი...

ბატონო ავთანდილ!

კიდევ ერთხელ გულმხურვალედ გილოცავთ საიუბილეო თარიღს ღირსეულ შემოქმედსა და ერისკაცს, დღეგრძელობას და მზეგრძელობას გისურვებთ თქვენი საესავი ქვეყნის სადიდებლად.

*საქართველოს მწერალთა კავშირი*

### ჩემო ავთანდილ!

ოთხმოცს გილოცავ!

არსთაგამრიგე მამულიშვილს იმდენ წელს აძლევს, რამდენი ძალაც დაანათლა, რომ ამა ქვეყნის ვალი გადაიხადოს.

როგორც ჩანს, შენ და შენთან ერთად სამშობლოს გადარჩენის უღელში შებმულთ ჯერ ჩვენი საღვთო ვალი არ გადაგვიხდია და იქნებ ამიტომაცაა, რომ ჯერ საიმქვეყნო ზარი არ რეკავს ჩვენთვის.

ღმერთმა ჯანის სიმრთელე მოგცეს.

სახელოვანი მწერალი ხარ.

გამორჩეულია შენი პოეზიაც და პროზაც.

რასაც ამბობ და წერ, ერის საგანძურს ემატება, რადგანაც საქართველოს გაძელქვების სურვილითაა გაცისკროვნებული.

რა უანგარო და მლმობელი გულის კაცი ხარ.

შენ ლამის ერთადერთი ხარ, ვისაც ჩემი ოცდახუთტომეული თავიდან ბოლომდე გაქვს წაკითხული.

საიდან ვიცი?

მახსოვს, 80 რომ მომილოცე, მაშინ მითხარი: რეზო, ხელხვავიანი მწერალი ხარ, შენს 25 ტომეულში 12 ტომი მარტო ნოველას უჭირავს. დანარჩენი სხვა ჟანრებსო.

მადლობელი ვარ ამ ყურადღებისთვის.

შენი კარგი „განთიადით“ დიდხანს გეგანთიადოს.

*რევაზ მიშველაძე*

## მიხეილ ზანდუკელი

### კახეთის ღამის ელეგია

თელავის თავზე თრთოლვით შემოდგა
ქინძმარაულით შემთვრალი მთვარე...
იდუმალ ღამეს სიო შვენოდა,
მე კი მმონებდა ფიქრები მწარე.

ზნე შეიცვალა სამყარომ რთულმა,
ვინ სწავლობს შოთას, ვაჟას, ჰომეროსს?!
ბორკილგაყრილმა პოეტის გულმა
სევდის ჰანგებით სანამ იმღეროს?!

ვითარ გაუძლოს არეულ აწმყოს,
რომელიც ცდილობს მყოფადის ჩაკვლას...
თავისუფლება როს იყო ახლოს,
რად მივაბარეთ უდროოდ საფლავს?!

არავინ უწყის სადამდე გასტანს
ეს არეული მკვახე ცხოვრება...
თუ არ ვუშველეთ მთელ ერს და ჩვენ თავს,
წარსულიც არვის გვემახსოვრება!

### ცხოვრება მიქრის

გიჟური ტემპით მიქრის ცხოვრება,
კუთვნილი წლები გვეცლება სწრაფად...
ქვეყნის სიკეთეც ნელა გვშორდება,
ვერც ჟღერს გიტარა, ჩანგი და არფა.

ჩვენს ასეთ ყოფას რა უნდა ერქვას?
როს უმრავლესთა სულში ბინდია
და ფიქრის ნაცვლად მშვენიერ მწვერვალს,
ნისლად თვალებზე ცრემლი ჰკიდია?!

ვეძებთ, ვესწრაფვით, სიყვარულს ველით,
სიცოცხლე როცა უკუღმა მიქრის...
გულიც და კვარიც გვიჭირავს ხელით,
მაგრამ ტაძრისკენ ვერ ვკვალავთ ბილიკს.

ვადიდებთ მწუხრზე ცის სილამაზეს,
ის თუ დასერეს სხივთა ეშვებმა...
იმ ქალსაც ვლოცავ, სულს ვინც შეაღწევს
და სიკვდილამდე არ მოეშვება.

სიტკბოს, რაც შეგვხვდა და განვიცადეთ,
განმეორება არ უწერია...
და თუნდაც ბედი გვიტევდეს მწარედ,
ვთქვათ, რომ ცხოვრება მშვენიერია!

### შემოღამება

ჩვენი მზეც, მწუხრზე, თანდათან ჩადის,
დაკარგა ბრწყინვა მწვერვალთა ბროლმა...
დარდს გვმატებს ფოთოლთ შრიალი ჭადრის
და ნაზი ვერხვის გრძნობათა თრთოლვა.

ჩათვლემენ თოვლში ცისფერი მთები,
არაგვსაც, თერგსაც, სიწყნარე მოსავს
და კვლავ ობოლი სულით დავხვდები,
უგრძნობი ზამთრის ნაადრევ მოსვლას.

ვერვის ეღირსა შეცვლა ჩვენ ყოფის,
ცხოვრება, ბნელში, უაზროდ გარბის...
და შეყვარებულთ გულში შემოდის
სევდა ნოემბრის გაზრდილი ღამის.

### ნუ ვებრძვით ქარის წისქვილებს

ქარის წისქვილებს ვებრძვი უაზროდ,
ხალხმა ვერ პოვა როს სამართალი...
მთავრობა ერთან აღარ საუბრობს,
ვერც ჭვრეტს ბრძოლის ველს მთავარსარდალი!

საღად მსჯელობა „ზევით“ არვის სურს,
მთავრობის წევრთან ვერც მე მივედი...
განცხადებებზე არვინ გვცემს პასუხს,
გადაგვეწურა ყველა იმედი!

არც ინტერესი გვაქვს, არც ღირსება,
ვდავობთ: „ჩიხირთმა სჯობს თუ ბოზბაში”...
პატიოსნება დღეს იძირება
ავ მოხელეთა მცირე ხროვაში!

სული აგვივსეს სევდის ქარებმა,
უგნურთ სიმართლის ხმა ვერ მისწვდება...
ხდება ქართველთა გადაგვარება,
ბრძნული წარსულის ქრება ღირსება!

ჭეშმარიტება ვერ გვიპოვია,
„არსაიდან ხმა, არსით ძახილი”...
მთვლემარ სულებში ყინვა, თოვლია,
სწორ გზას ვერ ადგას მრუდე მარხილი!

### თოვლის მოსვლა

დილიდან თოვდა, - სიცივე აჟღერდა,
სადღაც ღმუოდა მგელი მშიერი...
დამხვდა სიძუნწე ბუნების ფერთა,
სივრცის სითეთრე და ტყის გიშერი.

როს ვხედავ, – მიგვდის ცხოვრება დაღმა,
ფიფქთა ყურებით ვეღარ ვმშვიდდები...
ჩამოგვიტანა მთებიდან ქარმა -
გაძარცვულ ხეთა პანაშვიდები!

უფლისგან, თუმცა, არ მეძღვნა ფრთები,
ტანჯულ გულს აკლდა ყოფის დარები...
წრფელი გრძნობებით და აღმაფრენით
ცის გუმბათისკენ გავემგზავრები.

ტკბილი ოცნება ნათელს დღესაც მფენს
და გზებს მინათებს წყვდიად ღამეში,
ცისფერ სივრცეში ბოლოს ამაფრენს,
უმეცრებით დაბლა თუ დავეშვი.

მეოცნებე – ავ ბედს ვეურჩები,
შუბლს მიგრილებენ თოვლის წვეთები...
და კვლავ მარტოკა, ნაცნობ ქუჩებით,
ტკბილ მოლოდინით დავეხეტები.

დილიდან ბარდნის, ფანტელს ვერ დავთვლი,
თოვლში ისვენებს მთა და ტყე-ველი,
ბუნაგში ტკბილ ძილს განაგრძნობს დათვი,
ბალახს კი უკვე ვერ აგნებს შველი.

# ჭირისუფალი

კარგა ხნის წინათ, აღდგომის კვირაში, უფროსი მეგობარი, ცხონებული გენო კალანდია, მესტუმრა. სუფრაზე დედაჩემის, თამარ ნაფეტვარიძის, სადღეგრძელო შევსვით და გენომ, მოულოდნელად, გიორგი ნაფეტვარიძის ლექსების კითხვა დაიწყო. მოგეხსენებათ, ის არაჩვეულებრივი დეკლამატორი გახლდათ. ახლაც ყურში ჩამესმის :

„მე მოვალ შენთან, როდესაც მდუმარ
ღამეს მოუხმობს ტბიდან გედები
და ავტირდები შენს მკერდზე ჩუმად
ჩემი ეჭვებით და იმედებით
ჩვენ ვივლით დიდხანს, გვიან ღამემდე,
დედა იჯავრებს: სად წახვედითო!
შენ დაიღლები, მხრებზე დამენდე
და მე წაგიყვან, ძვირფასო ტვირთო!...“

ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, წინ მეჯდა კაცი, რომელთანაც შემეძლო ჩემს უსაყვარლეს პოეტზე, ჩემს სისხლით ნათესავზე, გიორგი ნაფეტვარიძეზე მესაუბრა. მეც იმ სოფელში და იმ სამეზობლოში გავიზარდე, სადაც გიორგი იზრდებოდა. იქ ჩემი დედულეთია. დედაჩემი და გიორგი, როგორც იმერლები იტყვიან, ერთი ბაბუეს შვილები იყვნენ. უფრო ზუსტად, დედაჩემის ბაბუა და გიორგის ბაბუა, ძმები იყვნენ. იქით გენო გაოცდა გიორგი ნაფეტვარიძის შემოქმედების ჩემგან ასე საფუძვლიანი ცოდნით და აქეთ მე - რატომ დაიზეპირა მან გიორგის ამდენი ლექსი. პოეტმა პოეტის ლექსები იცოდეს, გასაკვირი ამაში არაფერია, მაგრამ იმ თაობაში, რომელსაც ლადო ასათიანის თაობა ჰქვია, და რომლის ერთ-ერთი კაშკაშა ვარსკვლავი, ჩემი აზრით, გიორგი ნაფეტვარიძეცაა, ის ნაკლებად აღიარებული და შესაბამისად, ნაკლებად ცნობილია. ამიტომაც, მისით დაინტერესებამ, ცოტა არ იყოს, გამაკვირვა. მაშინ გენომ შემაგულიანა, შემესწავლა გიორგი ნაფეტვარიძის ცხოვრება და შემოქმედება და ჩემი საყვარელი პოეტისა და ნათესავისთვის ქართულ ლიტერატურაში თავისი კუთვნილი ადგილი მიმეჩინა. თითქოს შევთანხმდით კიდეც და პირობაც დავდე, მაგრამ მე ეს ვერ მოვახერხე. ამას ყოველთვის ვწუხდი და ლიტერატურულ საზოგადოებაში ამაზე ხშირად მიწუწუნია.

შარშან, ერთ შეკრებაზე, ერთმა ლიტერატორმა, არსებობს მშვენიერი წიგნი გიორგი ნაფეტვარიძის ცხოვრებაზეო და ავტორიც დამისახელა - როზა დევდარიანი, ქუთაისელი ქალბატონია, ფილოლოგიის დოქტორიაო. მივდექ-მოვდექი, მაგრამ ეს წიგნი ვერ ვიშოვე. დალოცვილი ფეისბუკით დავუკავშირდი ქალბატონ როზას და ერთ მშვენიერ დღეს შინ მივადექი. კარი მეუღლემ გამიღო და მისაღებ ოთახში შემიძღვა, როზა ახლავე გეახლებათო. ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს ლიტერატურულ სალონში მოვხვდი, წიგნებიანი, მშვიდი, და სასიამოვნო გარემო დამხვდა. შემობრძანდა ქალბატონი როზაც და ჩვენ შორის დიალოგი ისე აეწყო, თითქოს გუშინ დაწყებულ საუბარს ვაგრძელებდით. ვსაუბრობდით გიორგიზე, მის და-ძმაზე, მეუღლეზე, შუამთაზე, იმ საფიჩხიეს გორაზე, სადაც ჩემამდე დიდი ხნით ადრე გიორგი დარბოდა. გაოცებული ვუსმენდი, ნაფეტვარიძეთა სამოხიოს იმჟამინდელი ყოფა-ცხოვრებისა და გარემოს ასე ზუსტი აღწერა დედაჩემისაგან თუ მომისმენია. (დედა მხოლოდ რვა წლით იყო გიორგიზე უმცროსი და მათი ბავშვობა ერთმანეთის ნაკვალევზე დააბიჯებდა.) საუბარი ჩამოვუგდე გიორგის ცხოვრების ისეთ წვრილმანებზე, რომელიც მე ოჯახში მქონდა განაგონი და წესით, ქალბატონ როზას, თუნდაც მისი შემოქმედების მკვლევარს, არ უნდა სცოდნოდა, მაგრამ გავწბილდი, ეს ქალბატონი თითქოს მის გვერდით იყო გაზრდილი, მისი ბიოგრაფიის ყველა დეტალი ახსოვდა.

ჩემი გაოცება მერე უნდა გენახათ, როცა ქალბატონ როზას გამოვემშვიდობე, რამდენიმე წიგნი საჩუქრად გამოვიყოლე და მანქანაში ჩაჯდომისთანავე, მშვენიერი პოლიგრაფიით გამოცემული „დაიჭირეთ ჩემი სული...“ გადავშალე. წესად მაქვს პირველად ბოლოთქმის წაკითხვა:

„ოთხი ათეული წელია, რაც გიორგი ნაფეტვარიძის ნათელი ხატება მდევნის. ფეხდაფეხ მაქვს მოვლილი მისი ნატერფალები, მისაუბრია მის დედასთან, დასთან, ძმასთან, შევხვედრილვარ მის თანაკლასელებს, მოსწავლეებს, თანამოკალმეთ, თანამებრძოლთ... ვკრებდი მოგონებებს, ჩავკირკიტებდი მის სტრიქონებს, ვცდილობდი შემეცნო მისი სული და ქაღალდზე გადმომეღვარა... „დაიჭირეთ ჩემი სული“ - ამ ფრაზაში, ცხადია აზრი მეტაფორულად არის გამოხატული და მთქმელის სულიერ სამყაროს წვდომას გვდებს ვალად. რამდენად შევძელი ამ ვალის მოხდა, მკითხველმა განსაჯოს“...

ერთი სიტყვაც კი, ამ აღსარებაში, ტყუილი არაა, აქ გულწრფელადაა გამხელილი ის შრომა, რაც ქალბატონს გაუწევია ამ მისთვის უცნობი ადამიანის უკვდავსაყოფად. ამაში მერე, როცა წიგნი მთლიანად წავიკითხე, თავად დავრწმუნდი. „უცნობი ადამიანის მეთქი“, შემთხვევით არ დამიწერია. ლიტერატურის მკვლევარი, როცა მწერლის შემოქმედებას სწავლობს, და როცა ამას სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად აკეთებს, ნაკლებად ცდილობს, ძირფესვიანად ჩაეძიოს მწერლის ბიოგრაფიას და ისეთი წვრილმანები გამოამზეუროს, რაც არაფერს რგებს და არაფერში სჭირდება მის ნაშრომს, მაგრამ მწერლის სულიერი პორტრეტის სრულყოფისათვის, აუცილებელია. ამას მხოლოდ მკვლევარი - ჭირისუფალი აკეთებს!

დიახ, ეს წიგნი არაა მხოლოდ ლიტერატორის დაწერილი, ეს ჭირისუფლის მონათხრობია. ეს ჭირისუფალი კი, გინდ დაიჯერეთ და გინდ არა, გიორგის თანამედროვეცაა, მეგობარიცაა, სატრფოცაა, დაცაა, მეზობელიცაა... ყველაა, ვისაც პოეტის „სულის დაჭერა“ შეუძლია!!

„გიორგის ცხოვრების რომანი“ - ასე დავარქმევდი ამ წიგნს. ზოგადად, ასეთ ნაწარმოებებს, ასე არქმევენ კლასიკოსები. წიგნის პირველი ნაწილი, „სხვის ომში ტოტებდამტვრეული ღიმილის ბიჭი,“ წმინდა წყლის რომანია, ბიოგრაფიული რომანი. აქ მწერლის მთელი ცხოვრებაა ასახული დაბადებიდან უგზო-უკვლოდ დაკარგვამდე. ერთი სიამოვნებაა გასული საუკუნის ოციან-ოცდაათიანი წლების იმერული სოფლის ყოველდღიური ყოფის აღწერის კითხვა. ეს ყველაფერი, პოეტს რომც არ უკავშირდებოდეს, იმდენად მიმზიდველადაა დაწერილი და იმნაირი მხატვრული ფერებითაა გალამაზებული, თვალს ვერ მოწყვეტ, მითუმეტეს, თუ იცნობ იმერეთს, და უფრო უმეტეს, თუ ამ სოფელში შენი ბავშვობაც გეგულება. ჯერ მარტო გიორგის დაბადება და გაშვილება - „გაყიდვის“ სცენა რად ღირს, მერე მისი ავადმყოფობის და მისგან შაკო ბიძიას რძლის, სენაკელი ნინო შამუგიას მეგრული „ნანას“ მონატრება. როგორი სრულყოფილი ლიტერატურული პერსონაჟია ნინო შამუგია, როგორი მხატვრული დეტალია იმ ღამესვე მისგან ტყუპების გაჩენა და მათგან ერთისთვის ნანასი და მეორისთვის გიორგის დარქმევა. რად ღირს ნინოს ჩონგურიანად გიორგის საძინებელში შემოსვლის რიტუალი:

„ნინომ მოხდენილად მოიღერა კისერი, სათუთად შემოიდო მუცელზე ჩონგური და ტკბილად დაამღერა:

„ნანაია, ნანა-სკუა, ნანაშ ჭირიმა,
არკვანიშა აშამჯანუ, ვარდიშ პირი მა,
გამნუონწყი შქართუნი დო, აშვოჯინი მა,
ბჟა დო თუთს ქოგურაფუ, მუში ჭირიმა!“

ყველანი მონუსხულნი უსმენდნენ სენაკელ პატარძალს. ნარნარად თამაშობდნენ სიმებზე თლილი თითები, ვარდი და ზამბახი ელვარებდა ფაქიზ ღაწვებზე, გიშრის ტბორები ლივლივებდნენ წამწამთა ჩეროში, კუთხეში ცრემლად იღვრებოდა წმინდა სანთელი, ბუხარში უხმოდ იფერფლებოდა მოზრდილი კუნძი, ტყემლის ხეზე მესკია გალობდა და შვიდმაისის შხაპუნა წვიმაც უჩუმრად რეცხავდა აშოლტილ ხეთა მწვანე კუნკულოებს.“

ეს ნინო შამუგია და მისი ტყუპები გიორგის ბავშვობის თანამდევი ადამიანებია. გიორგიმ თავისი „საუკეთესო „ნამუშაკევი“, მამობილის რჩევით, ნინო შამუგიას ტყუპებს მიართვაო“, წერია ერთგან. „მუშაკობასთან“ დაკავშირებული გიორგისა და მისი მამობილის ცხოვრების ერთი ეპიზოდი ისეთი წყობილი სიტყვით, ისე სადად და იმავდროულად მწერლური აღმაფრენითაა აღწერილი, ნებისმიერი პრეტენზიული მწერალი მოაწერდა ხელს:

„ტარასი დროს არასდროს კარგავდა უქმად. ზამთრის საქმეზე ზაფხულში იწყებდა ზრუნვას, ამიტომაც დილით სისხამზე ადგებოდა, წინა დღით გალესილ წალდს ერთხელაც გაამარმალებდა, მსუბუქად ისაუზმებდა და ტყისკენ მიმავალ გზას დაადგებოდა. გიორგი ხან წინ უსწრებდა, ხან გვერდით მიჰყვებოდა, ხანაც კვალში მისდევდა. წაბლნარში შესვლას კარგა ხანს უნდებოდნენ, მაგრამ გიორგი ერთსაც არ დაიჩივლებდა, ცქვიტად მიბაკუნობდა, გზადაგზა თავისი გაკეთებული შვილდისთვის საისრე ჯოხებს თლიდა და ქამარში იმაგრებდა. ნათლია წაბლის ტყეში მაჯის სისხო ტოტებს არჩევდა, მოზრდილ კონას კრავდა და სახლში მიჰქონდა. მეორედ თხილნარისაკენ გასწევდა, ცერის სისხო ტოტებს გამოსხეპავდა და ამასაც შეუსვენებლივ მიიტანდა სახლში. დაზამთრებამდე სხვა საქმეებთან ერთად საგოდრე მასალის გამზადებასაც ახერხებდა. წაბლის ტოტებს ლაჩებად დახლეჩდა, თხილისას - ტკეჩებად დათლიდა, დაასუფთავებდა და ცალ-ცალკე აწყობდა. მოსავალს რომ დააბინავებდა და არაყსაც გამოხდიდა, ბუხრისპირს მიჯდებოდა და გოდრების დაწვნას იწყებდა.“

ზღაპრების, მითებისა და გიორგის ბავშვობის პასტორალური სურნელებიდან ნელ-ნელა გადავყავართ ავტორს ოცდაათიანი წლების სასტიკ და განუკითხავ გარემოში. ეს იყო უმძიმესი წლები თავისი კოლექტივიზაციითა და დასმენა დახვრეტებით. წიგნში ეს პერიოდიც არანაკლებ საინტერესოდაა აღწერილი. ვერ მოთვლით, იმ დროის რამდენი დოკუმენტი და ეპისტოლეა შესწავლილი და გაანალიზებული. რა ზუსტადაა მოხმობილი პოეტის სტრიქონები ამა თუ იმ აზრის დასასაბუთებლად. პედინსტიტუტის წლები, მეგობრები, ურთიერთობა პოეტებთან, რედაქციებთან, პარტიულ მუშაკებთან, ეს ყველაფერი ისე ოსტატურადაა შერწყმული ავტორის გამოგონილ ამბებთან და სიტუაციებთან, არსად ჰარმონია და დამაჯერებლობა არ ირღვევა. ცალკე თემაა გიორგის სიყვარული. მისი ნათელა, გიორგის წერილების ადრესატი კი არაა, ამ ბიოგრაფიული რომანის ერთერთი მნიშვნელოვანი პერსონაჟია. მათ მიმოწერას მე ისე ვკითხულობ, როგორც შეყვარებულთა ცოცხალ დიალოგს.

მინდა გითხრათ, რომ ამ წიგნის ანალიზს არ ვაპირებ. მე არ ვარ კრიტიკოსი. მე მხოლოდ ჩემს დამოკიდებულებას გამოვხატავ. არ ვეხები წიგნის მეორე ნაწილს, სადაც გიორგი ნაფეტვარიძის პოეზიაზეა საუბარი. სადაც გაანალიზებულია ყველაფერი, რაც კი დაუწერია ოცდაოთხ წლამდე ამ უნიჭიერეს ყმაწვილს. ამ კუთხითაც ბევრი რამაა ახლებურად დანახული და გააზრებული.

„მას არ დასცალდა მნიშვნელოვან ესთეტიკურ ფენომენად ექცია კაცობრიობის მატიანეში სისხლიანი ასოებით აღბეჭდილი საუკუნის „წყევლაკრულვიანი საკითხავი“, არც იმის შესაძლებლობა მიეცა, ორი ათწლეულის მიჯნაზე დამდგარს, გადაეფასებინა „სიყრმისდროინდელი ცოდვის“ ანაბეჭდები და „ხმარებიდან ამოეღო“ ისინი. გიორგი ნაფეტვარიძის შემოქმედებითი ანალიზი, ბუნებრივია, პოეტის შესაძლებლობათა რეალურ სურათს ვერ წარმოგვიდგენს. 24 წლის ასაკში ჩაეხერგა მას ჭეშმარიტ ხელოვნებასთან მისასვლელი დიდი აღმართი და ხანმოკლე ფიქრისა და ძიების დასტურად მხოლოდ ერთი კრებული დაგვიტოვა. ორი პოემა, ათი ნოველა, ფრონტული დღიურები და პირადი წერილები აქვს მხოლოდ. ბევრ მაგანს, ცოცხალი რომ ყოფილიყო, თავადვე უარყოფდა.“

ამას წერს როზა დევდარიანი, კიდევ ვიმეორებ, ასე თბილად და ზომიერად ჭირისუფლები და მადლიანი ადამიანები წერენ. თქვენი არ ვიცი, და მე ცრემლიც ჩამომიგორდა.

თავში რომ ვთქვი, როცა მე და გენო კალანდია გიორგი ნაფეტვარიძის შემოქმედების კვლევასა და ქართულ ლიტერატურაში მისი ადგილის მიჩნევაზე ვსაუბრობდით, როზა დევდარიანის ეს წიგნი, პოეტის ცხოვრების რომანი, გამოცემული ყოფილა. რა საწყენია, რომ ცოცხლობენ ასეთი წიგნები და მათზე არავინ საუბრობს, არავინ აღნიშნავს მათ ღირსებას. არავინ წერს მათ ავტორებზე. არადა, ამ დონის წიგნები ჰაიჰარად არ იწერება, ნახევარი სიცოცხლე მიაქვს ამ კვლევებსა და წვალებას. ემოცია და სტრესი კიდევ სხვაა.

„ მე , ომში წასულს, ან შენ მიშველი, ან ეს ლექსები მიპატრონებენო“, წერს ერთგან გიორგი ნაფეტვარიძე. როგორ მიხარია, რომ ამ უხანო კაცს ეს წიგნიც პატრონობს...

მისი საფლავი არ არსებობს, არც მშობლებია ცოცხალი, არც ცოლი, არც და-ძმანი და მეზობლები... მარადიულია მისი ნაწერები და მასთან ერთად, გულიდან ამოხეთქილი ეს უთბილესი სტრიქონები, რომელიც, ერთმა მშვენიერმა ქალბატონმა, თითქოს უკანასკნელი სიყვარულის გასამხელად, შემოდგომის ყვავილივით მიართვა გიორგის, ამ მარადჭაბუკ პოეტს!

ეს ქალბატონი როზა დევდარიანია!

დიდი მადლობა მას ვასილ ბესელიასგან, მკითხველისაგან, რომელსაც გიორგი ნაფეტვარიძესთან ერთი წვეთი სისხლი მაინც აქვს საერთო...

**ვასილ ბესელია**
**22. 06. 22.**

## ნაილი ნეკერიშვილი - 80

80 წლისა შესრულდა თვალსაჩინო ქართველი ქართველი პოეტი ნაილი პავლეს ასული ნეკერიშვილი. ამის გამო საქართველოს მწერალთა კავშირმა იუბილარს მისალმება გაუგზავნა. მისალმებაში ნათქვამია:

ქალბატონო ნაილი!

ჩვენო საყვარელო თანამოკალმევ!

საქართველოს მწერალთა კავშირი, თქვენი მეგობარი ქართველი მწერლები ღრმა პატივისცემით მოგესალმებიან ჩვენი სამწერლო ოჯახის ერთ-ერთ უბრწყინვალეს წარმომადგენელს და გილოცავენ დაბადების 80 წლისთავს.

თქვენი პოეტური ნათლობა 1970 წელს შედგა, როდესაც ჟურნალ „ცისკარში“ ლექსები გამოაქვეყნეთ და ქართველი მკითხველი თქვენი მშვენიერი სულის თანაზიარი გახადეთ. მას შემდეგ თქვენი ნაწარმოებები პერიოდულად ქვეყნდება სალიტერატურო პერიოდიკაში, გამოდის ცალკე წიგნებად.

თქვენმა პოეტურმა კრებულებმა, ისეთებმა, როგორიცაა „დამაბრუნე მზიანეთში“, „მშვენიერი გალავანი“, „ფერადი ველი“, „სამოთხის ჩიტის სიმღერა“, „მიყვარხართ“, კიდევ ერთხელ შეგვახსენა, რომ არსებობს მარადიული ღირებულებანი, რომელთა გარეშე არსებობა წარმოუდგენელია, უფრო მეტიც, მათი იგნორირება აზრს დაუკარგავდა ჩვენს სიცოცხლეს. ამ კრებულებმა კიდევ ერთხელ დაგვანახა თქვენი სულის სინარნარე, გულწრფელობა, კდემამოსილება, სისადავე, განცდათა მრავალმხრივობა, ლირიზმი და გამძაფრებული გრძნობა სიტყვისა.

სიყვარულითა და სიყვარულში გათანგული თქვენი პოეზია. სათნოების ულამაზეს სრა-სასახლეში გამოკეტილა თქვენი ლირიკული გმირი და იქიდან გვიამბობს დიდ და ყოვლისშემძლე სიყვარულზე, რომელიც მისი სამეფოს უმთავრეს ბასტიონად ეგულვის. სუსტია, უღონო, თუმცა სწორედ ამ უმწერობით და სისუსტით არის ძლიერი, იცის, დიდი ძალისხმევაა საჭირო, რომ ოქროს ზანზალაკებმა სამყაროს ამცნონ ამქვეყნად საკვირველზე საკვირველი ფრინველის - სიყვარულის დაბრუნება.. საკუთარ ტკივილებზე აგებს თეთრ, ქათქათა ტაძარს, ცაცხვის ხეებს სიყვარულის ცრემლებს ჩუქნის და გოლეული მიაქვს შესაწირად. იმ დროზე ოცნებობს, როდესაც ყველა უბედურება, ყველა ქარბორბალა, ყველა წარღვნა ჩაივლის და მისი საესავი მამულის მკერდზე ვულკანებივით იფეთქებენ გაზაფხულები. შეიძლება ითქვას, რომ თქვენ საკუთრი საუფლო გაგაჩნიათ, ულამაზესი ვარსკვლავებით მოჭიქული, მოჩუქურთმებული და იმ წალკოტიდან გვაფრთხილებთ, თუ რამ დაღუპავს კაცობრიობას, გულგრილობა და ღალატი დაღუპავს. ამიტომაცაა, რომ დარდის ხალიჩას რიკულებიან აივანზე ამზეურებთ, რათა ტანჯვისა და სიხარულის ყვავილები ადამიანთა თვალების შუქმა გააბრწყინოს და გააციაგოს.

თქვენს საუკეთესო ლექსებს მშობლიურ ენაზე ეცნობიან სომეხი და რუსი მკითხველები.

წლების განმავლობაში მუშაობდით საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებული გამოთვლითი ცენტრის ლაბორატორიის უფროსად, გიორგი ლეონიძის სახელობის ლიტერატურის მუზეუმის მეცნიერ-მუშაკად და ყველგან სიყვარულით იყავით გარემოცული.

თქვენი დიდებული შემოქმედება ქართული პოეზიის დედოფლის ანა კალანდაძის პრემიით აღინიშნა.

ქალბატონო ნაილი!

კიდევ ერთხელ გულითადად გილოცავთ საიუბილეო თარიღს მშვენიერ პოეტსა და ბანოვანს, გისურვებთ დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და ახალ დიდ შემოქმედებით წარმატებებს.

*საქართველოს მწერალთა კავშირი*

## ნუნუ დალაქიშვილი - 70

70 წლისა შესრულდა ცნობილი ქართველი მწერალი და ჟურნალისტი ნუნუ გრიგოლის ასული დალაქიშვილი. ამის გამო საქართველოს მწერალთა კავშირმა იუბილარს მისალმება გაუგზავნა. მისალმებაში ნათქვამია:

ქალბატონო ნუნუ!

ძვირფასო მეგობარო!

საქართველოს მწერალთა კავშირი, თქვენი მეგობარი ქართველი მწერლები პატივისცემით მოგესალმებიან ჩინებულ შემოქმედს და გილოცავენ ღირსშესანიშნავ თარიღს თქვენს ცხოვრებაში - დაბადების 70 და ლიტერატურულ-შემოქმედებითი მოღვაწეობის 50 წლისთავს.

თქვენი ლიტერატურული დებიუტი 1972 წელს შედგა, როდესაც გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტში“ გამოქვეყნდა თქვენი პირველი ლექსები. მას შემდეგ სისტემატურად იბეჭდებით ქართულ პერიოდიკაში.

გულწრფელობა, ემოციურობა, სათქმელის ცხადად და ლაკონურად გადმოცემის უნარი გამოარჩევს თქვენი მინიატურებისა და ჩანახატების წიგნს „უფრთო ჩიტებს“, რომელშიც სრულად წარმოჩინდა თქვენი პოეტური ბუნება, რომანტიკულობა, ადამიანის სულში მხოლოდ სიკეთისა და სათნოების ძიების დაუოკებელი სურვილი, ემოციურობა...

არაერთი ლექსის, თეატრალური რეცენზიისა თუ ლიტერატურულ-კრიტიკული წერილის ავტორი ხართ.

ნაყოფიერ საზოგადოებრივ მოღვაწეობას ეწეოდით წლების განმავლობაში, მუშაობდით საბავშვო ბაღის აღმზრდელად, ჟურნალ „პრეს-პრემიერის“ ლიტმუშაკად გაზეთ„2X2“-ის კორესპონდენტად, ლექტორად სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში, სადაც რადიოჟურნალისტიკის საფუძვლებს ასწავლიდით სტუდენტებს. და მაინც ცალკე აღნიშვნის ღირსია თქვენი მრავალწლიანი საქმიანობა საქართველოს ტელერადიომაუწყებლობაში, სადაც რადიოს „ოქროს ფონდის“ მკვლევარ-რედაქტორი იყავით და ყველაფერს აკეთებდით საიმისოდ,რათა ისეთი დიდი ქართველების ხმა, როგორნიც იყვნენ აკაკი წერეთელი, ვანო სარაჯიშვილი, ივანე ჯავახიშვილი, კორნელი კეკელიძე, გალაკტიონ ტაბიძე, გიორგი ლეონიძე, გრიგოლ რობაქიძე, კონსტანტინე გამსახურდია, ექვთიმე თაყაიშვილი, სხვანი და სხვანი ჩვენი ყოფის, ჩვენი არსებობის თანმდევი სულები ყოფილიყვნენ. ამიტომაც გვესახებით ქართული კულტურის უანგარო მოღვაწედ. თქვენ ხომ თითმის შეუძლებელი შესძელით და ფაქტობრივად, შიშველი ხელებით მოახერხეთ უნიკალური წიგნის „საუკუნის ხმების“ გამოცემა, რაც საყოველთაო პატივისცემით განაწყობს თქვენდამი იმათ, ვისთვისაც ძვირფასია ქართული სულიერების, ქართული გენის ნებისმიერი გამოვლინება.

სწორედ ამიტომაც სრულიად დამსახურებულად ხართ დავით აღმაშენებლისა და ნიკო ნიკოლაძის სახელობის პრემიების ლაურეატი.

ქალბატონო ნუნუ!

კიდევ ერთხელ ღრმა პატივისცემით გილოცავთ საიუბილეო თარიღს ქართული კუტლტურისა და ხელოვნების ამაგდარ ქალბატონს, გისურვებთ დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და თქვენი ოცნებების განხორციელებას.

*საქართველოს მწერალთა კავშირი*



## ვლადიმერ ველიჯანაშვილი - 80

80 წლისა შესრულდა ცნობილი ქართველი პოეტი ვლადიმერ ველიჯანაშვილი. ამის გამო საქართველოს მწერალთა კავშირმა იუბილარს მისალმება გაუგზავნა. მისალმებაში ნათქვამია:

ბატონო ვლადიმერ!

ჩვენო ძვირფასო თნამოკალმევ!

საქართველოს მწერალთა კავშირი, თქვენი მეგობარი ქართველი მწერლები გულმხურვალედ მოგესალმებიან ჩინებულ შემოქმედს, მამულიშვილს, ჭეშმარიტ მეციხოვნეს თქვენი სათაყვანებელი სამშობლოისა და გილოცავენ ღირსშესანიშნავ თარიღს თქვენს ცხოვრებაში - დაბადების 80 და ლიტერატურულ-შემოქმედებითი მოღვაწეობის 60 წლისთავს.

დიახაც რომ ქართველ შემოქმედთა იმ რაზმს ეკუთვნით, რომელიც სამცხე-ჯავახეთში, საქართველოს ამ ულამაზეს და, ამავე დროს, უმკაცრეს კუთხეში მოღვაწეობს, იმ კუთხეში, რომელიც უამრავი საფრთხის წინაშე დგას და რომელსაც იუველირის სიზუსტით სჭირდება მიდგომა, რათა ბნელეთის სახედაღმეჭილმა მოციქულებმა ვეღარასოდეს შექმნან ავადსახსენებელი „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი“, ქართველთა გვემისა და ვაების დავთარი...

პირველი ლექსი „გაზაფხული“ 1965 წელს გამოაქვეყნეთ გაზეთ „განახლებულ მესხეთში“ და მას შემდეგ თქვენი ქმნილებანი ქვეყნდება ქართულ პერიოდიკაში, გამოდის ცალკე წიგნებად.

ქართველი მკითხველი მოწონებით შეხვდა თქვენს ისეთ პოეტურ კრებულებს, როგორიცაა „მარადიული შთაგონება“, „ხმაურობს ფიქრი“, „პოეზია - 89“. ამ კრებულებით კიდევ ერთხელ გაცხადდა, რომ თანამედროვე ქართულ პოეზიას თქვენი სახით მოაზროვნე, ღრმად დაფიქრებული შემოქმედი ჰყავს, პროტესტანტის სული რომ უდგას და ვერაფრით ატყუებს ცრუ და მუხთალი წუთისოფელი. ყველა ფერზე მეტად ჩალისფერი გიყვართ - სითბოსა და სიმწიფის მარადიული შთაგონება, რომელსაც ტკივილიანი სიზმრები აწერია, ჩვენი მარადიული ტკივილიანი წარსულის ფერი. თქვენი პოეზიის ლირიკული გმირი ლექსებად აჭიხვინებულ რაშებზე შემომჯდარა და ისე მიაპობს ლაჟვარდებს და იქედან დაჰყურებს მტკვარს, ვერცხლის ქამარივით რომ შემორტყმია სამცხეს ტანჯულ სანახებს და მისი მარადმედინი ჭრილობებიდან გამოხმობილი მიყუჩებული ექოების ჭირისუფალია; იმის დანახვა შეუძლია, თუ როგორ გდია მოთენთილი და დასიცხული მზე რიყეზე და თვლემს, როგორ კენწლავს სველ ფოთლებს წვიმა, როგორ აცვდება ლილისფერ სიზმრებს მარაოსავით გაშლილი ქარების ხსოვნა, როგორ ჩაეხლინა ქარს ყელი აცრემლებული ცის თვალის ძებნაში და როგორ უკაწრავს იგივე ქარი მისი გრძელი თითებით მოუთოკავ სიზმრებს...

თქვენი, 80 წლის შემოქმედის, ცხოვრება ალალი გულმართალი კაცის ცხოვრებაა. თქვენ ხომ ძალიან დიდხანს ემსახურებოდით მშობლიური სოფლის ფხუროს მოზარდი თაობის აღზრდას, როგორც სკოლის დირექტორი და ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი, იყავით ადიგენის რაიონულ გაზეთ „განახლებული მესხეთის“ ლიტერატურული მუშაკი.

მონიჭებული გაქვთ გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ პრემია, აგრეთვე განათლების სამინისტროს საპატიო სიგელები, სახალხო განათლების წარჩინებულის სამკერდე ნიშანი.

ჩვენო კარგო ბატონო ვლადიმერ!

კიდევ ერთხელ გულმხურვალედ გილოცავთ საიუბილეო თარიღს ჩვენს საყვარელ კოლეგას, დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, სულიერ სიმტკიცესა და შეუპოვრობას გისურვებთ.

*საქართველოს მწერალთა კავშირი*



## დავით იაკობიძე - 80

80 წლისა შესრულდა ცნობილი ქართველი პოეტი დავით რაფიელის ძე იაკობიძე. ამის გამო საქართველოს მწერალთა კავშირმა იუბილარს მისალმება გაუგზავნა. მისალმებაში ნათქვამია:

ბატონო დავით!

ჩვენო ერთგულო და ნაცადო მეგობარო!

საქართველოს მწერალთა კავშირი, თქვენი მეგობარი ქართველი მწერლები გულითადად მოგესალმებიან პატიოსნებით გამორჩეულ მხცოვან შემოქმედს და გილოცავენ დაბადების 80 წლისთავს.

თქვენი სამწერლო ნათლობა 1968 წელს შედგა, როდესაც გაზეთ „ჭიათურის მაღაროელში“ გამოაქვეყნეთ პირველი ლექსი „საჩუქარი“. მას შემდეგ თქვენი ნაწარმოებები პერიოდულად ქვეყნდება ქართულ სალიტერატრო პერიოდიკაში, გამოდის ცალკე წიგნებად.

გულწრფელობა, ემოციურობა, უშუალობა გამოარჩევს თქვენს პოეტურ კრებულებს („გამოზამთრება“, „აისი“). ამ კრებულებში შესული ლექსების ავტორი ხომ ქვეყნის ერთი გულმდუღარი ჭირისუფალია, რომელსაც არასდროს არ ტოვებს სამშობლოს გადარჩენისა და გაბრწყინების იმედი, ამიტომაც მედგრად, შეუპოვრად ებრძვის ყველას და ყველაფერს, რაც იავარქმნით ემუქრება თქვენს სამშობლოს...

თქვენს ლექსებზე მრავალი მშვენიერი, გულში ჩამწვდომი სიმღერა შეიქმნა.

ჩვენი პატარები მუდამ სიამოვნებით კითხულობენ თქვენს საბავშვო ლექსებსა და ზღაპრებს.

გვიხარია, რომ თქვენი საუკეთესო ლექსები შევიდა ისეთ მნიშვნელოვან ანთოლოგიებში, როგორიცაა ქართული პატრიოტული პოეზიის ანთოლოგია „შენ ხარ ვენახი“ და ქართული პოეზიის ანთოლოგიის ორტომეული.

თქვენ სიკეთის, სათნოების, კეთილშობილების იდეების ერთ-ერთ მეციხოვნედ გვეგულებით. სადაც კი გიმუშავიათ, იქნებოდა ეს ჭიათურმარგანეცის მაღაროები, თბილისის მეტროპოლიტენი თუ გაზეთი „მეტრომშენებელი“, ყველგან დამსახურებული სიყვარულით და ავტორიტეტით სარგებლობდით, ყველგან სიყვარულისა და ადამიანური ურთიერთობების ატმოსფეროს ქმნიდით.

ბატონო დავით!

კიდევ ერთხელ პატივისცემით გილოცავთ საიუბილეო თარიღს ამაგდარ, ღვაწლმოსილ შემოქმედს, მშობელი ქვეყნის უანგარო სამსახურში ბოლომდე დახარჯულ მამულიშვილს და გისურვებთ დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და შემოქმედებით წარმატებებს.

*საქართველოს მწერალთა კავშირი*

## ლია ქაბაშვილი

### ჩემო სამშობლო!

სამშობლო ჩემო, ჩემო ტანჯულო, მრავალ ომებში ჭირგამოვლილო, გმირო, დიადო და მძლეთამძლეო, შენსი სულ ყივის გენი ქართული. ქრისტეს მორწმუნე, ქრისტეს ერთგულო, ქრისტესთვის ეროვ თავდადებულო, რამდენი გლეწეს, რამდენი გკაფეს, სული გინგრიეს, მამული ჩეხეს და ყოველ ჯერზე შენ ფენიქსივით ფერფლიდან აღსდექ და აღორძინდი.

მამულისათვის და ქრისტესათვის ხმალ-შემართულო სულ მეომარო, მედგარი სულით, მართალი სულით, უფლის შეწევნით გამარჯვებულო. დღეს დაჭრილო და ტკივილიანო, გაყიდულო და ფრთებ-დამსხვრეულო, მუდამ გფარავდა- უფალი- გფარავს, კვლავ დაგიფარავს ჩემო სამშობლო.

### ქრისტე აღდგა! ჭეშმარიტად!

ქრისტე აღსდგა და განიღო ბჭენი სამოთხისანი, მოგვცა შანსი დაკარგული ვპოვოთ ისევ ღვთისანი, შევიმეცნოთ უფლის მცნება, ნეტარება უფლისა, დავადგეთ გზას უფლისას და ვცნათ ჭეშმარიტება.

ქრისტე აღსდგა და ზეიმობს სულნი მწუხარისანი, იმ სიკეთის, სიყვარულის, სიხარულის ზიარნი-კვლავ ვიგემებთ, თუ ავირჩევთ გზას უფლისას სამოთხის, მწუხარების კვალზე გადის ბოლოს ტკბილი ნექტარი.

ქრისტე აღსდგა! ჭეშმარიტად! ვხარობთ ქრისტეს მდევარნი.

### ჩიტი, მზე და სამოთხე

იდუმალია სამყარო შეუცნობელი არსით, უფალი გმოძღვრავს „გიყვარდეს „ ეს არის ჩვენი მრწამსი, გარეთ ჟივჟივებს ჩიტი და უნაზეს ფერით გვმოსავს-სული სამოთხეს ეწვევა, იმ სამოთხეში გვძირავს, აფერადდება სამყარო მზისფერ სხივების ჩქერში, ეს სამოთხეა მიწაზე, ამ სამოთხისთვის იღწვის სული ჩვენი და სიმშვიდეს მასში ჰპოულობს მხოლოდ, რა ცოტა რამე სჭირდება,რა რთულად ჰპოვებს მხოლოდ.

ახლა მზე არის გარეთ და ლაღად ჭიკჭიკებს ჩიტი, მისგან სამოთხე მიწაზე უფლისგან რგული ისმის.

### უფალს რომ დაამახლოვე

სამყარო მიღიმის ზეციდან და რჩება სიბნელე ჯურღმულში, მე შენთან მოვედი ზეციდან, შენ ჩემთან მოხვედი სულეთში და ახლაც სულში ხარ უშენოდ, არც ერთი წამი არ არის, უფალთან ერთად არსებობ ჩემში, ჩემს სულში გრძნობებში. როცა მზე ნათობს ზეცაზე, და როცა ზეცა ღიმილობს, ამ დროს შენ გხედავ, ეს შენ ხარ, ჩემში ღიმილი აანთე, სასუფეველს მფენ ღმერთივით, რადგან ღმერთიდან იარე, ჩემთვის, ჩემკენ და ჩემს გამო, გზა გამიხსენი უფლისკენ. განა მადლობა არ მეთქმის ? უფალს რომ დამაახლოვე.

### ცხოვრება

ცხოვრება გვაყრის ნარ-ეკალს, ღიმილით უნდა დავადნოთ, უნდა გავუძლოთ ტკივილებს, ტკივილმა გაგვაძლიეროს, ტკივილი უფალს გვაახლებს, ტკივილით მადლი გვეფრქვევა, სტკიოდა უფალს ჩვენთვის და, ჩვენ ჩვენთვის დავითმინოთ, რა!

ბნელ და ნათელის ჭიდილი ცხოვრების თანამგზავრია, ბნელი მარცხდება, სინათლე-იმარჯვებს როგორც წესია.

ცხოვრება გვაყრის ნარ-ეკალს, ღიმილით უნდა დავადნოთ, უნდა გვუძლოთ ტკივილებს, ტკივილმა გაგვაძლიეროს.

### რომ იცოდე

რომ იცოდე, მე შენ როგორ მიყვარხარ, ყველა უფსკრულს დალახავდი ჩემამდე, რომ იცოდე, მე შენ როგორ მიყვარხარ, თვით ზეციდან ჩამოხსნიდი ვარსკვლავებს, რომ იცოდე, მე შენ როგორ მიყვარხარ, დითირამბებს მიმღერებდი დილამდე, რომ იცოდე, მე შენ როგორ მიყვარხარ, ღმერთს ჰკითხავდი, დასტურს გეტყვის იცოდე.

## გიორგი შამათავა

### მებრძოლო გმირებო!

მკითხავენ ვინა ხარ, რა სისხლი
გიჩქეფსო,
ყველასთან წარსვდგები და პასუხს
გავცემ:
მე ხალხთან ერთად მტრის სისხლი
მწყურია,
მწამს, გამარჯვების დროშასაც ავწევ.

დიდგორში მდგომარე, სისხლში
ამოსვრილი,
შიგ გულში დაჭრილი დედაჩემს
ვიხმობდი,
გამექცა ილღაზი ცხენით დაოთხილი,
მივდევდი სისხლის ღვრით, ბოლომდე
ვიბრძოდი.

სამშობლო, ოდითგან სისხლით
გაჟღენთილო,
თაობის თაობა შენთვის თავს
გავწირავთ,
მებრძოლო გმირებო, ფეხზე
წამოდექით,
ჩვენი საქართველო გმირულად
დავიცვათ.

### ხალხის ცოდვა

შოლტით გვემულს, მძიმე ჯვარი მხრით
მოგქონდა
ეკლის ჯიღა გკაწრავდა და სისხლს
გადენდა,
კაბადონზე მამა ღმერთი ბობოქრობდა,
იქვე ახლოს დედაღვთისა ცრემლს
აფრქვევდა.

შენს თვალებში ნათლად კრთება
გოლგოთის მთა,
გზა ფერდობზე ასავალი რა ძნელია,
ჯვარია თუ ცოდვა მიგაქვს ჩვენ
ცოდვილთა,
მის მწვერვალზე აღსრულდება
მისტერია.

გაგაკარით ჩვენივ ხელით ლურსმნით
ჯვარზე,
შენ წამოგცდა ბოლო სიტყვა
თვალცრემლიანს,
ჩვენი ხსნისთვის მამა უფალს
შეჰღაღადე,
შეუნდეო, თუ „რას იქმნენ, არ იციან“.

ცად აზიდე ქვეყნის ცოდვა,
მაცხოვარო,
ნაწამები შენი სული ზეცად აღსდგა,
ქრისტიანებს დაგვაფარე შენი კალთა
და მლოცველი კაცთა მოდგმა
ქვეყნად დარჩა.

### ერთადერთი ხარ

ცა გაიხსნა და დაიწერა შორს -
იზაბელა,
გული აენთო და ნაბიჯი ძლიერ
აჩქარდა,
ჩამოვიღვენთე, სიმარტოვემ გული
შემიკრთო,
ხმამაღლა უცებ დავიყვირე: ახლა
სადა ხარ?

სივრცემ ხმაური გაიტაცა, ხმები
გაისმა,
ო, სიმარტოვის განსაცდელმა როგორ
მაწამა,
უცებ აღვაპყარ ხელები და ჩემს ახლოს
გიხმე,
ჩემო იზაბელ, საყვარელო, მოდი,
სადა ხარ?

### ჩამოვჯექ

გადავიღალე, გადაღლილი ქვაზე
ჩამოვჯექ,
გული სიღრმიდან თითქოს ყელში
ამოიწურა,
ზეცა გაშავდა, შავ ღრუბელმა
გადაიარა,
თითქოს ქვემეხმა კლდეთა შორის
ამოიქუხა.

გაწვიმდა ძლიერ, მე კი პროსპექტს
ნელა მივდევდი,
წვიმის წვეთებმა მხურვალე გულს
გადაუარა,
სახლის საფეხურს ამოვყევი ნელი
ტაატით,
შენმა ღიმილმა ჩემს გულს დარდი
გადაუფანტა.

### შენი ხელები

გავხსენ სარკმელი და გავხედე ჩვეულ
ბილიკებს,
შენ კი ნარნარით მიყვებოდი სასახლის
ნაპირს,
იზაბელ, ჩემო სიყვარულო და
უკვდავებამ,
უცებ გავხედე ჩვენს ცხოვრებას,
სიამით განცდილს.

დასაბამიდან შენ გეკუთვნის ეს წმინდა
გული
და იმ განვლილ დროს მოგონების
ფიქრში ვევლები.
მომიახლოვდი, საყვარელო, გულში
ჩამიკარ
და შემომხვიე უნაზესი შენი ხელები.

### შენი სურნელი

შენმა სურნელმა შემმოსა,
ედემის ბაღში ნაზარდო,
შენმა ღიმილმა შემამკო,
უკვდავ მწვერვალის სადარო.

განა ძალიან შორსა ხარ,
მაგრამ სულ ახლოს მჭირდები,
თვით სამარეში, ძვირფასო,
ჩვენ მარად ერთად ვიქნებით.

## ბესიკ კაიშაური

**ჩანახატები**

**ეს მე ვიყავი!**

ისეთი არაფერი მომხდარა, - სხვა დროს რომ არ მომხდარიყოს: მძღოლმა გაუჩერა მგზავრს და ჰკითხა: „საით მიდიხარო?„ მგზვრმაც უპასუხა: „აგერ, 8 კილომეტრშიო„ და სოფელიც დაუსახელა.

„აბა, აბა, არავითარ შემთხვევაში,... ვერ წაგიყვან... სხვები მელოდებიანო„ და კარების დაკეტვა უბრძანა, თან მიაძახა: „დაელოდე, სხვა მარშუტკა ჩამოივლის და ის წაგიყვანსო„

ასაკითა და ავადობით გამოფიტულმა კაცმა ძლივს მიკეტა მიკროავტობუსის კარი და სევდიან-ეჭვიანი ღიმილით უკან დაიხია.

მივხვდი, რასაც ნიშნავდა ეს ღიმილი: „დალოცვილო, თუ სხვა მგზავრები გელოდებიან და ადგილი აღარა გაქვს, რაღაზე გამიჩერე, მაგრამ...„ იმასაც მივხვდი, ამ „მაგრამის„ მიღმა რასაც იგულისხმებდა წიხლით გაგდებული მგზავრი:

„...მაგრამ მე ერთ ლარიანი მგზავრი ვარ, ხოლო თუ ვინმე დედაქალაქამდე გამოგყვა, 5 ლარს გადაგიხდის და ამიტომაც ის უპირატესია ჩემზე.“

...

მიკროავტობუსი დაიძრა და პირველი რაც შევნიშნე, ეს იყო ხატები, რომლებიც მწარე მდუმარებით დაცქეროდნენ მძღოლს, ხოლო სარკეზე ჩამოკიდებული იყო ჯვარი მაცხოვრის გამოსახულებით, იგი მშფოთვარედ ქანქარებდა და თითქოს ეუბნებოდა მძღოლს: „ეს მე ვიყავი, მე ვიყავი, გაჭირვებული და ავადმყოფი, შენ კი დამტოვე ქუჩაში უსასოოდ. ეს რა ქენი?! სხვამაც რომ იგივე გააკეთოს, როგორ ვიარო ამ სიცხეში 8 კილომეტრი?„

ჯვარმა უმატა შფოთსა და ქანქარს, მაგრამ მძღოლი ვერ ამჩნევდა და რაკი ვერ ამჩნევდა, არც ესმოდა მაცხოვარის ხმა.

გზის პირას ეკლესია გამოჩნდა, მძღოლმა გახედა, პირჯვარი გადაიწერა და რაღაცა წაიბუტბუტა. მის ცხვირწინ კი ჯვარზე მილურსმული მაცხოვარი ნერვიულად ბოლთას სცემდა და ცდილობდა, როგორმე შეეხსენებინა საჭესთან მჯდომ ქრისტიანისთვის, რომ მგზავრი არ არის საშუალება, არამედ მიზანია... რომ სიტყვა „მგზავრი„-ს ფუძე გზა არის და ამ გზით, ამ მსახურებით მიდიხარ ღმერთთან.

...

ასე ჩავედით თბილისში სამი თავისუფალი ადგილითა და დახუნძლული უკეთური ფიქრებით.

ვერც სანატრელი 5 ლარიანი მგზავრი ნახა ჩვენმა ცოდვიანმა წინამძღოლმა და ის ერთ ლარიანი გლეხიც დაკარგა.

...

ამ ფიქრებში მყოფს გამახსენდა თბილისი - ფასანაურის მძღოლი, სახელად თემური, რომელიც სოფლელებისთვის მძღოლიც არის, ფოსტალიონიც, მოკითხვებისა და ამანათების მიმტან-მომტანიც; უანგარო მსახური და იმედიც უპოვარ მგზავრებისთვის.

ერთხელ თემურიმ თქვა: თუ ადგილი მაქვს, ყველა მგზავრს ვუჩერებ, სულ რომ ერთ კილომეტრში მიდოდეს, რომ არ გავუჩერო, მერე იმაზე ფიქრი მომკლავს, „ვაითუ, სხვამაც არ გაუჩეროს და ასე ფეხით მიმავალს ან მანქანა დაეჯახოს, ან ცუდად გახდეს და რამე დაემართოს, ხომ მკაცრად მომეკითხება უფლის სამსჯავროზეო„

მე შევესწარი ამ ფაქტს: თემურიმ სახლამდე მიიყვანა მხცოვანი ქალბატონი, მადლობა უთხრა მგზავრმა და ჩავიდა. მძღოლმა ღიმილით გახედა, ცოტახნით დაელოდა და ის იყო დაძრა ავტომანქანა, ქალი შემობრუნდა და წუხილით ჩვენკენ გამოემართა: „ვაიმე, ბილეთის ფული არ გადამიხდიაო!“

„ააა, ბებო, უფასოდ გინდოდათ მგზავრობა, ჰო?!“ - გავეხუმრე მე.

„თბილი ბებოა, უფასოდაც რომ ემგზავრა, რა მოხდა მერეო?“ - თქვა გულღმერთიანმა მძღოლმა და განაგრძო გზა.

ამას ჰქვია ადამინობა, რომელსაც მართვის მოწმობასთან ერთად უნდა სთხოვდნენ და უმოწმებდნენ იმ პირებს, ვისაც მგზავრთა მომსახურებას ანდობენ.

**გარდაცვალებისთვის ვემზადები!**

ამას წინათ, კარგახნის უნახავ თანაკლასელს შევხვდი ქუჩაში და მოვიკითხეთ ერთმანეთი.

„კარგად ვარო“ - მიპასუხა ჩემს კითხვაზე და „შენ როგორ ხარო?“ - რომ მკითხა, ვუპასუხე: გარდაცვალებისთვის ვემზადები -მეთქი.

„ვაიმეო!“ -ჯერ მისმა თვალებმა იყვირა, მერე შეშფოთბულმა შეჰკივლა და მკითხა: „რა ხდება შენს თავსაო?!“

ჰოდა, რა ხდება ჩემ თავს, ამაზე მინდა მოგითხროთ ამ წერილში.

ის ხდება, რომ სინანულის ჟამი დამიდგა!

„განა ისეთი რა დააშავეო?“ - მკითხავთ იმ ჩემი კლასელივით. მეც არ დაგიმალავთ და გეტყვით: ღმერთთან არ მყოფობას ვჩივი და ვნანობ.

ბედნიერება, რომლისკენაც მე ვისწრაფი, მხოლოდ ამ ქვეყნიური მიზნებისკენაა მიმართული, ხოლო ამ გზაზე მავალი ღმერთს ისე ხშირად ვშორდები, რომ ნებით, თუ უნებლიედ, მავიწყდება ...სიკვდილი.

მოდით, თქვენ განსაჯეთ, როცა მე სხვას განვსჯი და განვიკითხავ, განა მახსოვს ღმერთი? მე რომ ღმერთი მახსოვდეს, ისიც ხომ მემახსოვრება, რაც მან გვითხრა წმინდა წერილში: „როგორც განიკითხავ სხვას, ისე განგიკითხავ შენო“ მშასადამე, თუ მინდა არ განმიკითხოს და არ დამსაჯოს ღმერთმა, ამიტომ მაინც არ უნდა განვიკითხო მოყვასი (თორემ მისი სიყვარული სად შემიძლია!). ჰოდა, რაკი განვიკითხავ, არ მახსოვს არც ღმერთი და არც სიკვდილი, არც სხვა მიყვარს და არც ჩემ სულს ვუფრთხილდები, რადგან არაფრად ვთვლი იმ მოსალოდნელ სასჯელს, რომლის შესახებაც წინასწარ მაცნობა ღმერთმა.

როდესაც, „მამაო ჩვენოში“ ვეუბნები ღმერთს: „ისე მომიტევე ცოდვები, როგორც მე ვპატიობ სხვებსაო“ - ვპატიობ?!

როცა არ გახსოვს ღმერთი და არ გახსოვს სიკვდილი, ეს იმას ნიშნავს, რომ არ ემზადები გარდაცვალებისთვის. ხოლო როდესაც გარდაცვალებისთვის არ ემზადები მოდის უეჭველი სიკვდილი.

როდესაც სიკვდილი არ გახსოვს, - ვერ ეღირსები გარდაცვალებას!

როდესაც ვიმეზე გავიგებ ხოლმე: „გარდაიცვალაო“ სულ იმას ვფიქრობ: „ღმერთო, ნეტავ თუ მართლა გარდაიცვალა-მეთქი.

როდესაც ვინმეზე იტყვიან: „მოკვდაო“ ერთი სული მაქვს ვკითხო: „შენ რა იცი, რომ მოკვდა? იქნებ ისე იცხოვრა, რომ გარდაიცვალა-მეთქი“.

როგორ შეიძლება არ ემზადებოდე გარდაცვალებისთვის, როცა ყოველდღიურად ვუახლოვდებით სიკვდილს!

თუ არ ემზადები სიკვდილისათვის, მაშინ უბრალოდ, ბრმად და უგუნურად უახლოვდები სიკვდილს;

თუ ემზადები სიკვდილისათვის, მაშინ გაცნობიერებულად, გონივრულად და ნაყოფიერად ხარჯავ კუთვნილ დროს, ენერგიას და სიცოცხლეს;

თუ არ ემზადები სიკვდილისთვის, - კვდები!

თუ ემზდები სიკვდილისთვის – გარდაიცვლები!

არა თუ წელი, არა თუ დღე, წამიც არ გვაქვს იმის გარანტია, რომ არ მოვკვდებით და ამ დროს, სრული უპასუხისმგებლობა: არ ვემზადებით გარდაცვალებისთვის!

თუ გიყვარს სიცოცხლე, როგორ შეიძლება არ ემზადებოდე გარდაცვალებისთვის, ამ დროს ხომ სიცოცხლის თითოეულ წუთს უფრთხილდები და ახმარ ისეთ საქმეს, მარადიულ სიცოცხლეს რომ განაპირობებს.

ქრისტეს სიტყვები მახსენდება იოანეს სახარებიდან: „ვინც ჩემს სიტყვებს ისმენს და ჩემი მომავლინებელი სწამს, მას აქვს საუკუნო სიცოცხლე და სამსჯავროზე არ მიდის, არამედ უკვე სიკვდილიდან სიცოცხლეში გადავიდა.»

სწორედ ეს არის გარდაცვალებისთვის მზადება: ისმინო ქრისტეს სიტყვების, იწამო ღმერთი, აღასრულო მცნებები ღვთისა და ნება ღვთისა...

მე სიკვდილისთვის ვემზადები! ეს იმას ნიშნავს, რომ ვმოქმედებ, რათა ჩემი ცხოვრება ცხონების გზით წარემართოს და ვრეალიზდე საამქვეყნოდ, რომ საიმქვეყნოდ დავიმკვიდრო სასუფეველი.

და კიდევ, როგორც ერთი წმინდა მამა გვირჩევს: „ვიდრე ხილულად მოკვდებოდე, მოაკვდინე ცოდვები!“.



## ბადრი სულაძე

***

საწუთრომ თეთრი პერანგივით სუფთა
ნისლებით,
უკუღმაც ბევრჯერ მატარა და მატარა -
წაღმით...
ხმა ჩამესმოდა: - ჭუჭყისგანაც თუ
დაისვრები,
გადაირჩინე გული, როგორც ქათქათა
სახლი...
თანდათან ხახვის კვალიც ვავლე, ყანაც
ვარჩიე,
დედის ხელებით ქვაც ვამტვრიე
შაქარყინულად...
და ეს ჭიდილიც, უსასრულო, აღარ
მაშინებს, -
მოწმენდილ ცაზე - გზაც რომ მალე,
კვლავ გატყიურდა...
რას გადიდგულდა ნეტავ ასე, ღამის სახება,
საცრისოდენა თვალები რომ მიუგავს
შეშლილს, -
მე ხომ შევძელი დაკეტილი კარის გაღება,
ხან რომ მძიმდება და ზურგს უკან
ვიხურავ ხვნეშით...
იქ, უღრან ტყეში რახანია, ცხოვრობს
ალქაჯი,
ხისტი ხელებით ისევ რომ თლის
ბედის ცივ მშვილდებს...
ჩემი სახლიდან მთვარე მოჩანს,
როგორც ზამთარში,
შალის ძაფისგან მოქსოვილი
დედის სიმშვიდე...

***

მოისხეს მხრებზე
მთებმა თოვლის თეთრი ქათიბი,
ზეცას რომ ღამით შეუკერავს
სახელდახელოდ, -
და გეფიქრება, ალბათ სულშიც მკვეთრად
დათბება,
დარდს რომ ვერ მალავ, თვალებივით
ფართოდ გახელილს...
თოვლის ქუდები დაიხურეს სახურავებმაც
და სახლებს თითქოს პოდიუმზე უწევდეთ
გასვლა, -
სულ აღარ ახსოვთ გაცრეცილი ცა
წუხანდელი,
მონატრების და მარტოობის უწყვეტი
ვალსით...

***

რა უსიცოცხლო ღამეა გარეთ,
სახეს რომ მალავს, არ მენახვება;
გაზაფხულობით თუმცა კი ვბარე,
რქა ვერ გამართა ნავენახევმაც...
ყველა ირემი გამექცა მთისკენ, გულის
კედლებში რაც კი ვამწყვდიე,
ახლა ღამესაც სარეცლად ვირჩევ,
რომ წამით მასთან მაინც დავწყვილდე;
რომ წავუკიდოთ ერთმანეთს ცეცხლი,
ნაცარმიყრილი კერის ღველფიდან,
თორემ ვინ იცის, რამდენჯერ შევრცხვი,
მწყერიც რომ ნატვრის ხეზე შეფრინდა...
ფაცერში თევზი ვეღარ ჩერდება, გონების
თვალსაც გაკვრია ლიბრი,
მაგრამ ტკივილის შესაჩვენებლად,
სირთულესთანაც მარტივად ვიბრძვი...
თუმცაღა მართმევს სიცოცხლის ძალას,
მთა რომ თავს მადგას სულთამხუთავად,
მაინც ვერ ვიტყვი - რომ ცა ჰგავს წალამს
და რომ სამყარო - გუდაფშუტაა...
გავერიდები საკუთარ სათქმელს,
აზრი თუ აზრად აღარ იბმება, -
და ვერ მოვარგებ გრძნობების სარქველს,
სულის შესაძლო გაღარიბებას...
გზაც კატასავით კუდით რომ ვცოცხო,
და ვერ დავესწრო კვირტების კრებას,
მე მაინც ვიტყვი - რომ ვარ და ვცოცხლობ,
სანამდე ლექსის რითმები
მკვებავს...

***

ჭანჭურის ხეზე გამეფდა ფერი,
თოვლის სითეთრით ანთებულ ხედის, -
როცა ფიქრებად ღამენათევი,
ჩამოფრთხიალდნენ ქათმები
ხიდან...
ვით მორღვეული ჟამის თერძები,
თოვლის მიმართაც ბევრის მკადრებნი,
მოურიდებელ ჟინით ეძებენ,
დაკარგულ მიწას - სველ
ნისკარტებით...
ეძებენ ხორბლის დაკარგულ მარცვლებს,
ზეცაც ღრუბლით რომ უკმევს უეცრად,-
და პოულობენ ფქვილივით გაცრილს
მას, რაც უფლისგან უკვე მიეცათ...
ფორიაქობენ სრულ სითეთრეში,
გადმოსულები მიწაზე ციდან,-
რაც ჟამთა ქროლვის
პირნათელ რაშთან
გადამტერების
მეტადრე
ცდაა...
დაკარგულ სივრცეს რად უნდა ძებნა,
რთულად შესაცნობ ხმით და კრიახით,
როცა ცისგანაც იხსნება გზები,
კართან მომდგარი უფლის
კარნახით...
უნდა წავშალო რუხიც და მწვანეც,
გზა უნდა დათმოს შავმაც, ყვითელმაც,
რადგან ყოველთვის მადლივით მწამდა,
სამყაროს თეთრად
გადაფითრებაც...
როცა ფიქრებად ღამენათევი,
ჩამოფრთხიალდნენ ქათმები
ხიდან, -
ჭანჭურის ხეზე გამეფდა ფერი,
თოვლის სითეთრით ანთებულ ხედის...

***

შემოდგომაზე ცაც იჯაბნება,
მთები რომ ბგერებს ნთქავენ ვოკალურს,
როცა ზუზუნებს ქარი ფანჯრებთან
და არახუნებს ქვაბებს მოკალულს...
ფოთლები ყვითელ ჰამაკში წვანან,
ტყეების ყველა წამის სახებად, -
როცა დროც თამაშ-თამაშით წავა,
მაგრამ თავიდან ჩაისახება...
ნოყიერ საკვებს კვლავ მოხარშავენ,
მოკალულ ქვაბებს როცა ძებნიან, -
და მეც კვლავ უნდა
ამოვფართხალდე,
ამ უეცარი
მოძალებისგან...
როცა დღეები არვის არ სცნობენ
და გაუმართავთ ქართან მარულა...
გზებიც როდემდე უნდა ანცობდნენ,
ან დილის ნისლი სად გაპარულა...

.....

ვარ უმთვარეო ღამის მტვირთველი,
მეც ამ მთებივით მაინც უცვლელი, -
თუმცა მევსება ქარის ზვირთებით,
გამოშიგნული
მთვარის
მუცელი...

## უკვდავება სხვა რა არის

რამინ მიქაბერიძის
საიუბილეო წიგნისთვის

რამინ მიქაბერიძის უკვდავი ხელოვნების დასახასიათებლად სიტყვა „თვითმყოფადი“ ძალიან ცოტას ნიშნავს.

რა დიდებულია მისი ჰანგის მოსმენის შედეგად მოგვრილი გარინდება.

რა ღრმადქართულია საუკუნეთა სიღრმიდან დარხეული, რამინის ყელში გამოვლილი და მისთა ბაგეთაგან წამოსული სიმღერა, რომელსაც ოდენ სიმღერას ვერ დაარქმევ, ის ლოცვაა, ის წინაპართა სულის ღაღადისია და სიამაყის მომგვრელია, წელში გამმართავია, საკუთარ ჯიშს რომ შეგაყვარებს ისეთია.

რამინ მიქაბერიძეს თვალდახუჭულმა უნდა უსმინო.

ასე უფრო შეიგრძნობ იმ გარდასულ აჩრდილთა თრთოლვას ღამის მეხრეებად, ეულ მეურმეებად და თორ-აბჯრიან მეომრებად რომ ჩალაგდნენ ჟამთა ავბედით ტრიალში.

დგას იგი სცენაზე მომღერალ ძმათა საიმედო გუნდში და ელოდები, აი, ახლა, აი, ახლა შეაშველებს , ახლა შეაწებებეს იგი თავის განუმეორებელ ხმას ანსამბლს, შეაწებებს უზუსტესი, უნაზესი, უნატიფესი სინარნარით.

საქართველოში სიტყვა „გალობა“ სიტყვა „სიმღერის“ სინონიმად იქცა და ეს შემთხვევითი როდია. გალობა ხომ ბულბულის გრძნეულ ხმათა შეკონებასთანაა დაკავშირებული და სამი უკვდავი მომღერლის - ვანო სარაჯიშვილის, ჰამლეტ გონაშვილის და რამინ მიქაბერიძის სახელთან სწორედ რომ გალობა ასოცირდება.

ისინი კი არ მღერიან, გალობენ ამ სიტყვის ყველაზე დიდი მნიშვნელობით.

განა ისე დიდი დრო გავიდა მას შემდეგ, რაც ქართული ჰანგის გადამრჩენ-მაძიებლები კარდაკარ დადიოდნენ ძველმოდური ჩამწერებით მხარზე, იქნებ კიდევ არსებობს სადმე „დედას ლევანას“ და ძმათა მისთა სიმღერის თუნდაც ხორკლიანი ჩანაწერებით.

დღეს კი... დღეს, როცა ასე გულუხვად გვთავაზობს თანამედროვეობა ხმათა დაფიქსირების ათასგვარ საშუალებას, რატომ არ დევს ყველა ოჯახში ვანო სარაჯიშვილის, ჰამლეტ გონაშვილის და რამინ მიქაბერიძის მიერ გაცოცხლებულ ქართულ ჰანგთა მფრქვეველი მაგნიტოფონ-აპარატები!

რატომ, რატომ იღვრება ასე უმოწყალოდ თბილისის ერთი მშვენიერი უბნის ფანჯარა-სარდაფებიდან შიქასტა-ბაიათები?

ჩვენ, ქართველები ათასწლეულთა ულმობელ დგანდგარში სიმღერამაც გადაგვარჩინა.

სწორედ ამიტომაა, რომ ჩვენს სიმღერაში ძალიან ხშირად ძალისმომგვრელ ჰანგთან ერთად, სევდაც გაკრთება, ის სევდა, რომელზედაც ილია ბრძანებდა „ერთი დიდი ტირილია და მაინც სიმღერას ეძახიანო“.

მაშ, წინ, ძვირფასებო, ვანო სარაჯიშვილისკენ, ჰამლეტ გონაშვილისკენ, რამინ მიქაბერიძისკენ, ანზორ ერქომაიშვილისკენ.

რამინ მიქაბერიძე ყველაზე კარგად ხედავს.

მისი მზერა სწორედ რომ მზის ჰანგისკენ მიმართული მზერაა.

*რევაზ მიშველაძე*

---

თერძი (? - დაახლოებით 1250 წ.)

თერძის ზუსტი სახელი და გვარი, დაბადების თარიღი უცნობია. ფიქრობენ, რომ დაიბადა ავსტრიაში. თერძს ეკუთვნის ეპოსი კარლ დიდი. თერძი თავის იგავებში ამორალურობაზე და გარყვნილებაზე წერდა.

### ჩიტი და მიმინო

დილაადრიან მწვანე ტოტზე ერთი ჩიტი გალობდა. ის სიმღერაში ისე გართული იყო, რომ სულ დაავიწყდა ირგვლივ ყველაფერი. ჩიტი ასე იჯდა და მღეროდა, მანამ სანამ მიმინო არ დააცხრა და ბრჭყალებში არ მოიგდო. ჩიტს ხმა ჩაუწყდა და სააბოლოდ როდესაც მოკვდა, სააბოლოდ დადუმდა. ასე განცხრომით ცხოვრობენ მიწიერი ადამიანები, რომელთაც ღმერთი დავიწყებული ჰყავთ და იმას აკეთებენ, რაც გაუხარდებათ, მანამ სანამ ყველანაირი შველა უკვე გვიანი იქნება, სიკვდილი მოაწევს და მოახრჩობს. ადამიანების განცხრომით ცხოვრებას უფრო ცუდი ბოლო აქვს, ვიდრე ჩიტს, რომელიც თავისთვის მღეროდა. ჩიტი რომელიც გალობდა და საკუთარი თავი დაკარგა, ის ამ დროს თავის ჭმუნვას იქარვებდა, მაგრამ მიწიერს, რომელიც განცხრომაში ცხოვრობდა, სიკვდილის დროს ადამიანთათვის წარმოუდგენელი და მრავალმხრივი სადარდებელი უჩნდება.

### კურდღელი და ლომი

კურდღელს, რომელსაც ლომის წინააღმდეგ ბრძოლა სურს - მე ვერ ვუწოდებ გმირს, ის შეშლილია. ვინც ისეთ ძალის წინააღმდეგ იბრძვის, ვისაც ვერასდროს დაამარცხებს, და უცილობლად მოკლული იქნება, ამტკიცებს რომ ეშმაკით შეპყრობილია. ვინც პატიოსნად არ ცხოვრობს, ის ღმერთის წინააღმდეგ იბრძვის და შემდეგ მისი სული გადარჩენის უფრო შეუძლებელია, ვიდრე ლომთან მებრძოლი კურდღელის.

**თარგმნა ჰარლი ჰამპტონმა.**

## ბათუ დანელია

ილია ჭავჭავაძის პრემიის ლაურეატი

### უნდა გველოდო, აფხაზეთო!

უნდა გველოდო, აფხაზეთო, უნდა
გველოდო,
როგორც არ უნდა გაიწელოს
უსაშველოდრო!
ო, უჩვენობით გულმოკლულო,
მაინც დიდგულო,
სიზმარში შენს წინ დაჩოქილი,
ლოცვებს ვკითხულობ.
მე მინდა, ღვთისგან მონიჭებულ
წმინდა უფლებით,
ანგელოზები დაირაზმონ ერთხელ
უკლებლივ
და დაგვაბრუნონ შენს ტკბილ მკერდში
ჩასახუტებლად,
რომ სხვამ ვერ შეძლოს შენი გულის
დასაკუთრება...
ცა ზაფხულისა რაზე დარობს,
ზამთრის – რაზეთოვს,
თუკი ჩვენ აღარ გველოდები, შენ,
აფხაზეთო?!
არ დაუდვია ღმერთს ჩვენს შორის
საზღვარ-მიჯნადა -
ქართველი – აფხაზს, აფხაზი კი
ქართველს ნიშნავდა.
სად გაგონილა ცა უმზეო, ზღვა –
უხმელეთო
და აფხაზეთი – უქართველო?! –
უნდა გველოდო!
ჩვენ უსიკვდილოდ დავბრუნდებით
სულის ფრთებისთვის,
მოვალთ, მოგივალთ და მწუხარე იერს
შეგიცვლით,
ისე მოგივალთ, როგორც მწყურვალს
წყალი კოკიდან
და შენთვის დაღვრილ სისხლის
ვარდებს უხვად მოგიტანთ...
სხვებმა რაც უნდა მოგიტანონ
ძვირფასეული -
და რაც არ უნდა დაამშვენონ შენი
სხეული,
და რაც არ უნდა გაიწელოს
უსაშველოდრო,
უნდა გველოდო, აფხაზეთო,
უნდა გველოდო!



## იოანე ქართველი

***

დაღამდა, მახსოვს რომ მახსოვხარ,
და შენზე ფიქრებთან ვჩერდები,
გულს თითქოს არ ვიცი რა უნდა,
ვნებდები, სიჩუმეს ვნებდები.
გზები ხომ საოცრად ბევრია,
ირგვლივ იღიმიან ვერხვები,
არ ვიცი, მე გზა ამერია,
თითქოს გულს რა უნდა ვერ ვხვდები.
ვინ იცის დაკარგვის შიში მაქვს,
სიხარულს ველოდი ცრემლიდან,
მოდიხარ ნისლისფერ ბინდიდან,
ვხვდები რაც გულს უნდა მეც მინდა.
მე ვიცი მახსოვხარ, სადა ხარ?
მოვდივარ ვერ ვუძლებ ამ წამებს,
ამ ბედნიერების დანახვა
მოუნდათ ვერხვებს და ამ ღამეს.
მოვდივარ!

***

შენ წახვედი...
სიჩუმეა უფერო,
ჩამოღამდა,
გაილია ეს დღეც...
სადღაც მიდის დრო და შენზე ფიქრები
არ მშორდება ვსევდიანობთ ისევ,
მე
და შენი სიყვარულის ზღაპარი;
ჰო, ვიხსენებთ განშორების წამებს,
რა თბილი და რა სასტიკი იყავი,
მომეხვიე...
გეხვეოდი ყელზე,
ცრემლღიმილა ტუჩთან ბოლო ამბორი
ვერ იტევდა ტკივილებს და წუხდა,
შენ წახვედი, ვიცი არ დაბრუნდები,
მეც არ მოვალ ჩვენს სიყვარულს ვფიცავ!

***

მე არასდროს დავიღლები შენი ცქერით,
ძველებურად გეტყვი, ჩემო: მივდივარ!
გულს არ გატკენ დამიჯერე გეფიცები,
გრძნობებს ვიცი, ჰო, ღმერთამდე მივიტან.
შენ სიყვარულს, უცნაურ და ფაქიზ
განცდას,
განა წლები დააკლებენ რაიმეს;
მაშინ როცა ორი გული, მზესაც გასცდა,
ივლის ყველგან, ნუ მომიშლი ამ იმედს.
ჰო და იცი, სად გავყვებით გზებს და
სივრცეს? -
იქით, სადაც მხოლოდ სიყვარულია;
შეგიყვარებ, ვით ანგელოზს ისე გიცქერ,
ახლა ღამის გათენება რთულია...
თქმა იმისა, რომ გაფრინდა სიყმაწვილე,
შენს თვალებში ისევ ბავშვის ფერია,
მე როდესაც უშენობით ვიაპრილე
სევდა, დარდი ახლა უფრო ძნელია...
და დრო მიდის, დრო არ იცდის არც რა
მინდა,
მხოლოდ მინდა ძველებურად გინდოდე,
ისევ ისე მინდა იყოს ღამე წმინდა,
დრომ იაროს, თუნდაც საიქიომდე!

## მილოცვა

საქართველოს სახალხო მწერალს, მრავალი პრემიებისა და ბოლოს შ. რუსთაველის პრემიის ლაურეატს, ნობელის პრემიის ნომინანტს, დავით აღმაშენებლის პრემიის და ოქროს ორდენის კავალერს ეპოქის დიდ მოაზროვნეს დიდ მოაზროვნეს და ქართველი ხალხის, ერის მზრუნველ მამას რევაზ მიშველაძეს, არა თუ მთელი საქართველო, ყველა მსოფლიოში ლიტერატურის მოყვარული და მოაზროვნე იცნობს, როგორც ბრძენ, ენამჭევრ ერისკაცს, და ყველა თაობისათვის საყვარელ მწერალს, „მწერალთა გაზეთის“ საქართველოს მწერალთა კავშირის მთავარი ორგანოს რედაქციას უდიდეს მადლობას გიხდით თქვენი გაზეთის მკითხველი ყოველი საინტერესო ნომრის შეჯერებული სამეცნიერო-ლიტერატურულ-პოლიტიკური თუ ღვაწლმოსილი ადამიანების პუბლიკაციების გამოქვეყნებისათვის.

გვსურს განსაკუთრებული აღფრთოვანებით აღვნიშნოთ, 2023 წლის 15 მარტის 3(299) „მწერლის გაზეთი“, საიდანაც შევიტყვეთ ჩვენი სასიქადულო მწერლის რევაზ მიშველაძის დაჯილდოების შესახებ ჯემალ გაბელიას წერილიდან „ეპოქის შემქმნელი სახალხო მწერალი და დიდი მოაზროვნე“ - დავით აღმაშენებლის ორდენის და პრემიის მინიჭების თაობაზე.

გულმხურვალედ გილოცავთ, ბატონო რევაზ, ბრწყინვალე მიღწევას და გისურვებთ დიდხანს სიცოცხლეს და წარმატებებს ცხოვრებაში და შემოქმედებით საქმიანობაში.

„მწერლის გაზეთისა“ და რევაზ მიშველაძის ნაწარმოებების მკითხველთა ჯგუფი. აფციაურების, პირველების, ქოქიაშვილების, ცერცვაძეების, ჭარელიშვილების, ელიზბარაშვილების, ასიტაშვილების, გეთიაშვილების, ცომაიების, გოგიაშვილების, დათაშვილების, ბერიძეების და ბევრ სხვათა - ყველა პატრიოტ გვარ-ტომთა მკითხველის სახელით.

*მზიური დათიაშვილი-აფციაური*



## რობერტ ადარი

### ვულოცავთ!

ბატონ რ ო ბ ე რ ტ ა დ ა რ ს ისრაელის საერთაშორისო საქველმოქმედო ორგანიზაცია „გულთა კავშირის“ პრეზიდენტად არჩევას!

ბატონო რ ო ბ ე რ ტ, საქართველოს მწერალთა კავშირი გილოცავთ ისრაელის საერთაშორისო საქველმოქმედო ორგანიზაცია „გულთა კავშირის“ პრეზიდენტად არჩევას! ორგანიზაცია, რომელიც თქვენ, თანამოაზრე სახელოვან მეცნიერებთან, კულტურის და მწერლობის ცნობილ მოღვაწეებთან ერთად დააარსეთ, ემსახურება ქართულ-ებრაული მრავალსაუკუნოვანი თანაცხოვრებისა და მეგობრობის, კულტურულ-ლიტერატურულ, სახელოვნებო, სამეცნიერო და საერთოდ, საზოგადოებრივ კავშირ-ურთიერთობების შენარჩუნებას და განმტკიცებას!

გისურვებთ კვლავაც წარმატებებს!

ღმერთმა დაგლოცოთ და გაგაძლიეროთ!

ლ ე ხ ა ი მ !

საქართველოს მწერალთა კავშირი

## „მომცენ ფრთენი და ავფრინდე“

„მომცნეს ფრთენი და ავფრინდე, მივხვდე მას ჩემსა ნდომასა,

დღისით და ღამით ვხედვიდე მზისა ელვათა კრთომასა“.

ვფიქრობ, მე-12 საუკუნეში ალბათ საქართველოში ვერავინ წარმოიდგენდა რუსთაველის გარდა, რომ შეიქმნებოდა „ლითონის ჩიტი“. შოთას გონება ნათელი დადასტურებაა იმისა, რომ სხვა გენიოსებთან ერთად რუსთაველმაც დიდი ხნით ადრე განსაზღვრა გრანდიოზული მნიშვნელობის მოვლენა. და სამართლიანად მიმაჩნია ისიც, რომ თბილისის აეროპორტი დღეს ატარებს შოთა რუსთაველი სახელს.

გენიალურმა პოეტმა რომ 7 საუკუნით ადრე განსაზღვრა საფრენი აპარატები, ბრწყინვალედ ადასტურებს თავად 850 წლის დაუჭკნობელი მგოსანიც „წუთისოფლის წიგნში“.

აი, ასრულდა წადილი, „ლითონის ჩიტით“ ვიფრინე,

გავინავარდე ზეცაში, ძალმომეტებით ვილხინე,

ჩემს ხელით ტურფად დაწნული რითმები ცაში მოვფინე,

ვარსკვლავთან მიახლოებით ქართველი მეტად ვაბრწყინე.

უფრო კარგი კი ისიც იქნებოდა, რომ იქვე, აეროპორტის ცენტრალური შესასვლელის თავზე, სადაც აწერია „შოთა რუსთაველის სახელობის აეროპორტი“, როგორც შევთავაზე თბილისის მერიას, ეწეროს შოთას სიტყვებიც

„ღმერთმა ქმნას შინა მოვიდეს ძე ჩემი გამარჯვებული“.

იმ მიზნით, რომ უცხოეთში სასწავლებლად, სამუშაოდ, სამეცნიერო, საგამომგონებლო ღონისძიებებში, სპორტულ შეჯიბრებაში მონაწილეობის მისაღებად გამგზავრებული ახალგაზრდები თავიანთმა გამცილებლებმა მშობლებმა დალოცონ რუსთაველის სიტყვებით

და სამშობლოში დაბრუნდნენ ისეთივე გამარჯვებულები, ოქროს მედლით დამშვენებულები, როგორც 1973 წელს არა მარტო საჭიდაო ხალიჩიდან, არამედ ირანის შაჰთან ვაჟკაცური გადაწყვეტილებით გამარჯვებული დაბრუნდა სახელოვანი თედიაშვილი ლევანი.

ახლა, როდესაც მიმდინარეობს ახალი ბაღებისა და სკვერების შენება, შემოვდივარ ინიციატივით ერთ-ერთ ბაღს ეწოდოს „**მგოსნების ბაღი**“, ერთ-ერთს კი „**რუსთაველის პარკი**“, და ვიძლევი სიტყვას საქვეყნოდ, წარმოვადგენ იმდაგვარ ხედვას და იდეას, რომ იგი, დარწმუნებული ვარ, ღია ცის ქვეშ „ვეფხისტყაოსნის“ მუზეუმადაც გადაიქცევა.

აი ასეთი ქმედებით, იდეებით, ოქროს მედლებით, გამოგონებების წყალობით შევძლებთ გადავაქციოთ ჩვენი ჩამორჩენილი ქვეყანა მძლავრ განვითარებულ სახელმწიფოდ. მსოფლიოს ჭკვიანი ხალხის მიერ 21-ე საუკუნის იდეების საუკუნედ გამოცხადებაც ამ მიზანს ემსახურება - რადგან იდეები და გამოგონებები განვითარების საფუძველთა საფუძველია.

პატივცემულო მკითხველო, თუ მიიჩნევთ, რომ ზემოაღნიშნული რუსთაველური ფრაზის დედააზრი უცხოეთში გამგზავრებულებს (ყველას თუ არა) უმეტესობას მაინც გონებაში ჩინებულად ჩაებეჭდება სამშობლოს საკეთილდღეოდ აეროპორტის შესასვლელი დავამშვენოთ შოთას სიტყვებითაც.

„ღმერთმა ქმნას შინა მოვიდეს ძე ჩემი გამარჯვებული“.

თუ დამეთანხმებით იმაშიც, რომ პოეზიის ქვეყანაში უნდა გვქონდეს შოთა რუსთაველის სახლიც, ბაღიც, მუზეუმიც და სკოლაც, მივმართოთ ხელისუფლებას აღნიშნული სახვალიო საკითხების განსახორციელებლად.

*თამაზ ქვლივიძე*

## ნატალია ზღვისპირელი

***

მინდვრის ყვავილო,
შენც ხომ ზაფხულის
თვალს არ გჭრის უხვი მზე და
დიდება
და ქარიშხალიც იმ
გაზაფხულის,
არ გემეტება
დასავიწყებლად.
არ გინატრია შენც ხომ
ვერსალის
ბაღის ამინდებს ჰყოლოდი
მძევლად
და ამოსული გზად
ნარ-ეკალში,
ბევრჯერ წასულხარ
ბედის საძებნად.
არ გიმზერია სეტყვა
სარკმლიდან,
ელვა იყო თუ ქარი
გდევნიდა,
თავს გადახდენილ ყველა
წარღვნიდან
დაბრუნდი, როგორც
ახალ ქვეყნიდან...
არავინ იცის შენი
სახელიც,
ბაღს მოფენილი
ია-ვარდივით,
მაინც არა ხარ
სახლის ყვავილი
და ერთნაირიც არ გაქვს
ამინდი.
მოყევი ნიავს, რომელ
მხარიდან,
დანამდვილებით ხარ თუ
არცა ხარ,
უჩინმაჩინის ქუდი
გახურავს,
ყველას არ ძალუძს შენი
დანახვა...
ან მთვარის შუქზე ვისთვის
იწვოდი,
ვინ გითეთრებდა დარდით
გარიჟრაჟს,
აღარც იმ ნიავს
ეცოდინება,
რომ გადაგექცა ერთ დღეს
ქარიშხლად.
მაინც ხომ სულ სხვა იყო
აპრილის,
ქარტეხილიც და
დართა სიამეც,
ყველა ამინდი იყო
ნამდვილი,
რაც გაზაფხულზე
გამოიარე.
მეც სულში შენი სევდა
მიტირის,
ვერ მიმღვრევს თვალს სხვა წყალთა
დინება
და გამოზრდილი გულში
ტკივილიც
არ მემეტება
დასავიწყებლად.

საქართველოს მწერალთა კავშირი და „მწერლის გაზეთი“ თანაუგრძნობს მწერალ თათია დოლიძეს მამის **თამაზ დოლიძის** და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს

საქართველოს მწერალთა კავშირი და „მწერლის გაზეთი“ თანაუგრძნობს მწერალ მელანო ზუკაკიშვილს მამის **ზაქარია ზუკაკიშვილის** გარდაცვალების გამო

მწერლის გზეთი
№5
ფასი 150 ლარი
15 მაისი - 15 ივნისი 2023
მისამართი: ვაჩაბლის ქუჩა №13 მეორე სართული. ტელ.:293-55-75
გაზეთი გამოდის 2001 წლის 8 ნოემბრიდან

მთავარი რედაქტორი სოსო სიგუა
სარედაქციო საბჭოს თავმჯდომარე რევაზ მიშველაძე
პასუხისმგებელი მდივანი მანანა გორგიშვილი

რეგისტრირებულია ვაკე-საბურთალოს სასამართლოს მიერ.
რეგისტრაციის № 5ა-4-3098
e-mail: mgorgishvili@mail. ru; sososigua@yahoo. com
9 771987 698009